

დალი კანდელაკი



XIX საუკუნის კავკასიური ისტორიები:  
რუსი ავტორები და პირადი ნარატივები





დალი კანდელაკი

XIX საუკუნის კავკასიური ისტორიები:  
რუსი ავტორები და პირადი ნარატივები



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**Dali Kandelaki**

**19<sup>th</sup>-Century Caucasian Stories:  
Russian Authors and Personal  
Narratives**

Tbilisi  
2026

**დალი კანდელაკი**

**XIX საუკუნის კავკასიური ისტორიები:  
რუსი ავტორები და პირადი  
ნარატივები**

თბილისი  
2026

წიგნი – „XIX საუკუნის კავკასიური ისტორიები: რუსი ავტორები და პირადი ნარატივები“ – წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც XIX საუკუნის კავკასიას რუსი სამხედრო და სამოქალაქო პირების ნარატივების საფუძველზე წარმოაჩენს. ნარკვევები, მოგონებები და მხატვრული პროზა ავლენს იმპერიული პოლიტიკის, სამხედრო ყოფის, ეთნიკური წარმოდგენებისა და კულტურული ურთიერთობების თავისებურებებს, რაც კავკასიაში მიმდინარე პროცესების უფრო ღრმა და მრავალმხრივ გააზრებას უწყობს ხელს.

ნაშრომი საინტერესო იქნება ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, კავკასიოლოგიის, რუსეთისმცოდნეობისა და ლიტერატურათმცოდნეობის მკვლევრებისთვის.

**რედაქტორი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი, ლატვიის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი  
**ნიკოლოზ ჯავახიშვილი**


**რეცენზენტი** – ისტორიის დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი **ზაალ გოგენია**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2026

ISBN 978-9941-36-479-2

## სარჩევი

წინასიტყვაობა.....	7
შესავალი .....	10
თავი I	
ნარკვევები პიოტრ მუხანოვის გამოუქვეყნებელი წიგნიდან – „მოგზაურობა საქართველოსა და ყარაბაღში“ .....	22
§ 1. განჯის აღება (წერილი რ-სთან***).....	27
§ 2. „წითელი ხიდი. მოგონებები გილდენშტედტზე (წერილი რ-ს***)“ .....	36
§ 3. ელისავეტპოლის ველი (წერილი საქართველოდან) .....	48
თავი II	
ეკატერინა ლაჩინოვა კავკასიაში.....	54
§ 1. ე. ხამარ-დაბანოვის რომანი „ხრიკები კავკასიაში“ .....	58
§ 2. გზა ტიფლისიდან ერივანამდე. ერივანი 1839 წელს. ეჩმიადინის მონასტერი .....	73
თავი III	
უცნობი ავტორი – „კავკასიის ცალკეული კორპუსის ჯარისკაცი“ .....	91
დასკვნა.....	106
Кавказские истории XIX века. Русские авторы и личные нарративы.....	109
19th-Century Caucasian Stories. Russian Authors and Personal Narratives .....	113
ბიბლიოგრაფია .....	117



## წინასიტყვაობა

რუსეთისა და კავკასიის ურთიერთობების ისტორიის კვლევა უცხოენოვან წყაროებზე დაყრდნობით ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში იქცა ჩემი სამეცნიერო ინტერესის სფეროდ. 1987 წელს, წინასაღიპლომო პრაქტიკის ფარგლებში, გერმანიაში, იენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და სხვა წიგნთსაცავებში, ვიკვლევდი და ვკრებდი გერმანულენოვან მასალას. აღნიშნულ საკითხებზე დღემდე გამოქვეყნებული მაქვს დაახლოებით 60 სამეცნიერო სტატია და 8 წიგნი, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმ იმპერიული დისკურსის ანალიზი, რომელიც კავკასიის რეგიონს ასახავდა, როგორც რუსეთის სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესთა არეალს. სხვადასხვა პერიოდის რუსულ და დასავლურ ტექსტებში კავკასია წარმოდგენილია როგორც ეგზოტიკური, „უცნობი“ სივრცე და იმპერიული პოლიტიკის სამიზნე, ხოლო ამ ნარატივების კვლევა საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიაზროთ, როგორ ყალიბდებოდა და ვრცელდებოდა იმპერიის მიერ შექმნილი ხედვა რეგიონის შესახებ.

2019 წელს გამოცემულ წიგნში – „უცნობი კავკასია“<sup>1</sup> – განხილული მაქვს რუსი და გერმანელი ავტორების რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი: ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალა, კერძოდ, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში წარმოებული ომების მონაწილე სამხედრო პირების – მ. ვორონჩენკოვის და ე. ბასინის – წერილები, გერმანულიდან თარგმნილი ნარკვევი „საქართველო ალექსანდრ I-ის სვიპტრის ქვეშ“ და ნ. პელტის სტატია „საქართველოს ხედვა ისტორიულ და სტატისტიკურ ჭრილში“; ასევე, ჟურნალში „კავკაზსკი სბორნიკში“ დაბეჭდილი რუსი სამხედროების, ე. ლაჩინოვის („ჩემი აღსარება“) და ჟურნალ „რუსსკაია სტარინაში“ გამოცემული

<sup>1</sup> კანდელაკი დ., უცნობი კავკასია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2019, 116 გვ.

ი. დუბეცკის („ჩემს შვილებს“), სტატიები; კავკასიაში სხვადასხვა მისიით ჩამოსული ორი ევროპელის ცნობები: XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ჩრდილოკავკასიელი ხალხის წინააღმდეგ რუსეთის იმპერიის ჯარში მებრძოლი, გერმანელი მხატვრის თეოდორ ჰორშელტის ჩანაწერები და ამავე საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს სამოგზაუროდ ჩამოსული მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის, ზოოლოგის, ერნსტ ჰეკელის დღიურები. ამ ნაშრომების საფუძველზე ვეცადე რუსულ და გერმანულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით პასუხის მოძიება რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვაზე: რატომ იყო კავკასია XIX საუკუნეში ჯერ კიდევ უცნობი გარე სამყაროსათვის? როგორ გაგრძელდა წინა საუკუნეებიდან უკვე მიზანმიმართულად დაწყებული რუსეთის კავკასიური პოლიტიკა? რა ნაბიჯებს დგამდა მეზობელ ქვეყნებში დასამკვიდრებლად რუსეთის იმპერია? როგორ ყალიბდებოდა ურთიერთობები დამპყრობლებსა და დაპყრობილებს შორის? როგორ ახასიათებდნენ თანამედროვეები კავკასიელ ხალხს?

წინამდებარე წიგნი – „XIX საუკუნის კავკასიური ისტორიები: რუსი ავტორები და პირადი ნარატივები“ – მრავალწლიანი კვლევის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს და მიზნად ისახავს ახალი, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი თუ დღემდე უცნობი წყაროების მეცნიერულად გააზრებას. მათ შორის არის რუსი მწერლისა და სამხედრო ისტორიკოსის, პიოტრ მუხანოვის სამი ნარკვევი, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილიც უკავიათ იმპერიული პოლიტიკის ისტორიული კონტექსტის კვლევაში. განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს რუსი მწერლის, ეკატერინა ლაჩინოვას იშვიათი და დღემდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობი რომანი – „ხრიკები კავკასიაში“, გამოქვეყნებული ფსევდონიმით – ე. ხამარ-დაბანოვი, რომელიც გამორჩეულია სარკაზმითა და სტილისტური მრავალფეროვნებით, და ქართულ ენაზე მისი დღემდე გამოუქვეყნებელი ხელ-

ნაწერი – „გზა ტიფლისიდან ერივანამდე. ერივანი 1839 წელს. ეჩმიადინის მონასტერი“. ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანი წყაროა უცნობი ავტორის ნარკვევი „კავკასიის ცალკეული კორპუსის ჯარისკაცი“, რომელიც რიგითი ჯარისკაცის თვალთახედვით აღწერს იმპერიული ყოფის რეალობას და მნიშვნელოვანად ეწინააღმდეგება ინტელიგენციის წარმომადგენელთა ნააზრევს.

წიგნი ცდილობს, მკითხველი თავიდანვე ჩართოს იმ დისკუსიაში, რომელიც დღემდე აქტუალურია: რას წერდნენ იმპერიის წარმომადგენლები დაპყრობილ ტერიტორიებზე? როგორ აღიქვამდნენ და როგორ აღწერდნენ ისინი კავკასიელ ხალხს? რა იყო ამ ჩანაწერების მიზანი და როგორ აფასებენ მათ დღეს მეცნიერები და საზოგადოება? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის ძიება წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის არსს და ჩემი მრავალწლიანი მეცნიერული ინტერესის გაგრძელებას.

## შესავალი

XIX საუკუნეში კავკასია რუსეთის იმპერიისთვის უმნიშვნელოვანესი რეგიონი გახდა, რომელიც მთავარ როლს თამაშობდა მის სამხედრო და პოლიტიკურ სტრატეგიაში. კავკასიის დაპყრობა ღიდხანს გაგრძელდა და საკმაოდ რთული პროცესი იყო, რომელშიც კოლონიური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის მახასიათებლები გადახლართული იყო რელიგიურ, სოციალურ, ცივილიზაციურ და ეთნიკურ კონფლიქტებთან. კავკასიაში საბრძოლო ვითარების ცვლილებების და, თუნდაც, ისტორიული ეპოქების ცვლილების მიუხედავად, ყოველთვის რჩებოდა უცვლელად მუდმივი მოთამაშე – რუსული არმია, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი განიხილებოდეს როგორც დამოუკიდებელი ფაქტორი კავკასიის რეგიონის წინააღმდეგ მიმართულ ომებში.

კავკასიური კონფლიქტის შესწავლისას მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს როგორც რუსეთის სამხედრო ადმინისტრაციის, ასევე რეგიონის მკვიდრი მოსახლეობის დამოკიდებულება ძალაუფლებისა და ტერიტორიის საკითხებთან დაკავშირებით. ფ.ა. შჩერბინას წიგნში „ყუბანელი კაზაკების ჯარის ისტორია“<sup>2</sup> მოყვანილია საინტერესო ეპიზოდი, რომელიც გამოავლენს კავკასიური მიწებისა და მათი მოსახლეობის პარადოქსულ შეხედულებებს. გენერალმა ნიკოლაი ნიკოლაის ძე რაევსკიმ<sup>3</sup> ადიღელი ტომების წარმომადგენლებს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

<sup>2</sup> Шчербина Ф. А. История Кубанского казачьего войска. Екатеринодар, 1910-1913. 2 т. 2: История войны казаков с закубанскими горацами: с военно-исторической картой Кубанской области за время с 1800 по 1860 годы, 1913, IV, 848 с.

<sup>3</sup> ნიკოლაი ნიკოლაის ძე რაევსკი (1801-1843) – რუსი გენერალ-ლეიტენანტი, შავი ზღვის სანაპირო ხაზის მეთაური, ჩრდილოეთ კავკასიის არაერთი ციხესიმაგრის და ნოვოროსიისკის ერთ-ერთი დამაარსებელი (1838). 1812 წლის სამამულო ომის გმირის, გენერალ ნ.ნ. რაევსკის (1771-1829) უმცროსი ვაჟი.

„...თურქეთის სულთანმა ყველა ჩერქეზი საჩუქრად გადასცა რუსეთის მეფეს...“, რაზეც ერთ-ერთმა ადიღეულმა, ხეზე მჯდომ ჩიტზე მიუთითა და ირონიით უპასუხა: „გენერალო! გჩუქნით ამ ჩიტს! აიღეთ!“ ეს დიალოგი სიმბოლურად გამოხატავს რეგიონში ურთიერთობების წინააღმდეგობრივ ხასიათს: ერთი მხრივ, რუსეთის იმპერია კავკასიას უპირობო ტერიტორიულ შენაძენად და გავლენის სფეროს გაფართოებად მიიჩნევდა, მეორე მხრივ, მკვიდრი ხალხი არ აღიარებდა „საჩუქარს“, გამოხატავდა წინააღმდეგობას და ბრძოლის სურვილს. ეს სცენა ხაზს უსვამს იმ კონფლიქტის სიდრმესაც, რომელშიც იმპერიული პოლიტიკა და კავკასიის ხალხის კულტურული და ისტორიული ტრადიციები შეეჯახა ერთმანეთს. ამგვარად, ეს ეპიზოდი მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს კავკასიური სამხედრო და სოციალური დაპირისპირების სირთულის გასაგებად, რადგან მოიცავდა არა მხოლოდ სასტიკ ბრძოლებს, არამედ მიმდინარე კულტურულ და პოლიტიკურ ბრძოლას აღიარებისა და თვითგამორკვევის უფლებისთვის.

ორი საუკუნისწინანდელ კავკასიაში რუსული არმიის მოქმედებების მრავალი ფაქტი ასახულია როგორც ევროპელი, ისე რუსი მწერლების, მოგზაურებისა და სამხედრო პირების ნაშრომებში. მათი ყურადღება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიპყრო რუსეთსა და მთის ხალხს შორის კონფლიქტმა, რომელიც ცნობილია როგორც კავკასიური ომი. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ კავკასიის დაპყრობისას სპარსეთსა და ოსმალეთთან წარმოებული ომების ისტორია, რომლებმაც რეგიონის საზღვრები და პოლიტიკური კუთვნილება მნიშვნელოვნად შეცვალა; ამ პროცესებში მთავარ მოქმედ ძალას რუსული ჯარი წარმოადგენდა.

კავკასიაში საუკუნეების წინანდელი ბრძოლების ისტორიები, რუსული ჯარის სტრატეგია და ტაქტიკა, მათი სამხედრო ოპერაციები და ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ დამოკი-

დებულება, ძირითადად, უცხოელ ავტორთა თხზულებებშია აღწერილი. ეს ჩანაწერები ნათელს ჰფენს როგორც რუსი, ისე ევროპელი ავტორების შეხედულებებს და საშუალებას იძლევა, მოვლენები სხვადასხვა თვალსაზრისით შეფასდეს. XIX საუკუნეში კავკასია იქცა არა მხოლოდ სამხედრო ოპერაციების ასპარეზად, არამედ მწერლების, ისტორიკოსებისა და სამხედრო მოღვაწეების შთაგონების წყაროდ. იმპერიული არმია აქ იბრძოდა, გზავნიდა მოხელეებსა და მეცნიერებს, იკვლევდა და აღწერდა. სწორედ ამ პროცესებიდან იბადებოდა ის ლიტერატურული და ისტორიული ნარატივი, რომელმაც XIX საუკუნის რუსული ინტელექტუალური სივრცე გაამდიდრა. რუს ავტორთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ მიხაილ ლერმონტოვს, ლევ ტოლსტოის, ალექსანდრ ბესტუჟევ-მარლინსკის, ეკატერინა ლაჩინოვას და სხვა მრავალს.

თავისი მნიშვნელობითა და ინფორმაციულობით მრავალფეროვანია XIX საუკუნის რუსული სამხედრო მემუარული ლიტერატურა, რომელიც საქართველოში ნაკლებადაა შესწავლილი. ეს ნაწარმოებები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ისტორიული პირებისა თუ მოვლენების შეფასებისას. მემუარები გარკვეული დროის შემდეგ იწერებოდა და ეფუძნებოდა დღიურებს, პირად არქივებსა და თანამებრძოლთა მონათხრობებს. ბევრი სამხედრო პირი სამხედრო დოკუმენტაციასაც იყენებდა. დამატებით ინფორმაციას სხვა წყაროებიდანაც იღებდნენ და შედეგად იქმნებოდა წარსული მოვლენების აღწერილობა. ისტორიული მოვლენების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ავტორთა სუბიექტური მიდგომა და ფაქტობრივი მასალის დამახინჯების შემთხვევებიც. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მათი მოგონებები კავკასიაში მიმდინარე ომების, რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დამყარების პროცესში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური პროცესებისა და რეფორმების შესახებ.

ეს ნაწარმოებები საინტერესო წყაროთმცოდნეობითი მასალაა რეგიონის კვლევისათვის და დღეს მათი შესწავლა აქტუალური საკვლევი საკითხია.<sup>4</sup>

1857 წლიდან სანკტ-პეტერბურგში, კავკასიის ომების მონაწილე პოლკოვნიკ სიმეონ ნოვოსელოვის რედაქციით, გამოდიოდა პერიოდული კრებული „კავკასიელები, ანუ კავკასიაში მოღვაწე შესანიშნავი ადამიანების ღვაწლი და ცხოვრება“.<sup>5</sup> გამოცემაში იბეჭდებოდა კავკასიის დამპყრობთა, ოფიცრებისა და დაბალი წოდების სამხედროების ბიოგრაფიები, ზოგიერთი საომარი მოქმედების აღწერა, პორტრეტები, სურათები და გეგმები. კრებული ვრცელდებოდა ხელმოწერით და ჰქონდა დიდი მიზანი – შემოენახა კავკასიის ომის მოვლენები, განსაკუთრებით, მისი მონაწილეების გმირობის ამბები. გამოცემის გავრცელებიდან მიღებული მთელი შემოსავალი კავკასიაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში დაჭრილი და დახოცილი სამხედროების ოჯახებს ხმარდებოდა. 1859 წლის 17 სექტემბერს კრებულის გამოცემა შეწყდა. მის გაგრძელებად მიიჩნევა ახალი გამოცემა – „გეორგიევსკის კავალერები, ანუ წმ. გიორგის ორდენის კავალერთა გმირობები, ყველა წოდების, მათი სამსახურის და ცხოვრების მიმოხილვით“,<sup>6</sup> რომლის პირველი ნომერი 1860 წლის 26 ნოემბერს გამოქვეყნდა ვსევოლოდ მამიშევის<sup>7</sup> რედაქციით. კრებული 1880 წლის ჩათვლით გამოიცემოდა.

<sup>4</sup> კანდელაკი დ., უცნობი კავკასია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2019, გვ. 10-11.

<sup>5</sup> Кавказцы или подвиги и жизнь замечательных лиц действовавших на Кавказе. Тип. Якова Трея. СПб., 1857-1859.

<sup>6</sup> Мамышев В. Н. Георгиевские кавалеры, или Подвиги кавалеров ордена Св. Великомученика и победоносца Георгия всех степеней, с обозрением их службы и жизни: периодическое издание. СПб., 1861-1862.

<sup>7</sup> ვსევოლოდ ნიკოლაის ძე მამიშვი (1823-1891) – „რუსული პატრიოტული ბიბლიოთეკის“ გამომცემელი.

1876 წელს მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, კავკასიის არმიის მთავარსარდლის, მიხაილ ნიკოლაის ძის<sup>8</sup> ბრძანებით, გამოიცა „კავკასიის სბორნიკის“ პირველი ტომი. შესავალში აღნიშნავდნენ, რომ „ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული იმ მდიდარი სამხედრო-ისტორიული მასალის სისტემატური დამუშავება, რომელიც ეხებოდა კავკასიაში რუსული მმართველობის დამყარებას“.<sup>9</sup> კრებულის გამოცემას შორსმიმავალი მიზნებიც ჰქონდა: არ გამქრალიყო რუსული არმიის ძველი დიდება და მომავალი თაობებისათვის უკვდავი დარჩენილიყო კავკასიური ომების მონაწილეთა სახელები და გმირობა.<sup>10</sup> კრებულის მასალები ფაქტობრივი ხასიათისა იყო. ავტორები ძირითადად აშუქებდნენ ისეთ საკითხებს, თუ როგორ ასრულებდა ჯარი დასახულ ამოცანებს, როგორ იტანდნენ ჯარისკაცები და ოფიცრები შრომასა და ომის სირთულეებს. ასეთი მიდგომითაა დაწერილი ნ. ვოლკონსკის,<sup>11</sup> ი. დროზდოვის,<sup>12</sup> პ. კუბლიცკისა<sup>13</sup> და ა. იუროვის<sup>14</sup> შრომები.

<sup>8</sup> მიხაილ ნიკოლაის ძე რომანოვი (13.X.1832 - 5.XII.1909) – დიდი მთავარი, იმპერატორ ნიკოლაი I-ის მეოთხე ვაჟი. 1863-1881 წლებში იყო კავკასიის მეფისნაცვალის და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მეთაური. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს – კავკასიის არმიის მთავარსარდალი. მისი ხელმძღვანელობით საბოლოოდ დაიპყრეს ჩეჩენეთი, დაღესტანი და დასავლეთ კავკასია. 1864 წლის 15 ივნისს დასავლეთ კავკასიის დაპყრობისა და კავკასიური ომის დასრულებისთვის ის დააჯილდოვეს წმინდა გიორგის მე-2 ხარისხის ორდენით.

<sup>9</sup> Кавказский сборник. Под ред. гвардейской артиллерии полковника Чернявского. Тифлиς. Типография окружного штаба Кавказского военного округа, 1876. т. 1. с. VIII.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> Волконский Н.А. Война на Восточном Кавказе с 1824 по 1834 год в связи с Мюридизмом. Кавказский сборник. Тифлиς. 1886-1890. т. 10-14.

<sup>12</sup> Дроздов И. Начало деятельности Шамиля (1831-1836 г.). Кавказский сборник. Тифлиς. 1899, т. 20, с. 250-296.

<sup>13</sup> Кублицкий П. Война на Восточном Кавказе с 1824 по по 1834 год в связи с Мюридизмом. Кавказский сборник. Тифлиς. 1897-1899, т. 18-20.

<sup>14</sup> Юров А. Три года на Кавказе, 1837-1839. Кавказский сборник. Тифлиς. 1884-1885. т. 8-9, с. 523-539.

რუსი ავტორები კავკასიას აღიქვამდნენ როგორც რთულ და მრავალფეროვან რეგიონს, რომლის მიმართაც რუსეთის პოლიტიკა მშვიდობიანი და სამხედრო საშუალებების ერთობლიობით ხორციელდებოდა. მათ ტექსტებში ერთმანეთს ერწყმოდა კავკასიაში ცხოვრების სურათები, ომთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური განცდები და პირადი შთაბეჭდილებები; ავტორები ხაზს უსვამდნენ რეგიონის ბუნებრივ სილამაზეს, მსჯელობდნენ ომის მნიშვნელობაზე და აღწერდნენ იმ სირთულეებს, რომელთა წინაშეც რუსული არმია იდგა. ზოგიერთ ნაწარმოებში ეს ხედვა მკვეთრად იდეოლოგიურ და პათეტიკურ ფორმას იღებდა. რუსეთის სამსახურში მყოფი გერმანელი ავტორი არნოლდ ზისერმანი<sup>15</sup> წერდა: „...რუსეთის ბედისწერა იყო, გამხდარიყო ამ მხარის მმართველი და დაესრულებინა ის არეულობები, ყველგან გავრცელებული ურთიერთმტრობა და სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი კავშირების რღვევა, რომლებმაც მდიდარი, აყვავებული, ბუნების ყველა სიკეთით დაჯილდოებული კავკასია უფსკრულის პირამდე მიიყვანეს“.<sup>16</sup> ზისერმანის შეფასება ცხადყოფს, რომ იმპერიული ხედვა ფართო სამხედრო და ინტელექტუალურ წრეებში იყო გაზიარებული.

ავტორები წერდნენ რუსული არმიის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ მთიანი რელიეფის პირობებში სამხედრო ოპერაციების სირთულეს. რუსული არმიის სტრატეგია მოიცავდა სიმაგრეების მშენებლობას, გზების გაყვანას და სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვას ადგილობრივი დაწინაურებული ფენის წინამძღოლებთან. რუსმა

<sup>15</sup> არნოლდ ზისერმანი (გერმ. Arnold Sissermann; რუს. Арнольд Львович Зиссерман, 1824-1897) – გერმანული წარმოშობის რუსი სამხედრო ისტორიკოსი, მემუარისტი, რუსეთის იმპერიის არმიის პოლკოვნიკი (1863).

<sup>16</sup> *Зиссерман А. Л. История 80-го Пехотного Кабардинского генерал-фельдмаршала князя Барятинского полка (1726-1880)*. 3 т. Сост. А. Зиссерман, т. 1, СПб.: тип. В. Грацианского, 1881, с. 260.

მთავარმართებელმა ალექსეი ერმოლოვმა<sup>17</sup> თავის მემუარებში დაწვრილებით აღწერა სამხედრო ოპერაციების, დიპლომატიური ძალისხმევისა და მთიელებთან ურთიერთობის შესახებ. უცხოელი ავტორები აღნიშნავდნენ, რომ რუსული არმია იძულებული იყო, მორგებოდა რეგიონის პირობებს, მათ შორის, რთულ რელიეფს და მთიელთა პარტიზანული ომის მეთოდებს. ასევე წერდნენ ადგილობრივი მოკავშირეების გამოყენებისა და პოზიციების განმტკიცებაში ინფრასტრუქტურული პროექტების როლის შესახებ.

ნაშრომებში დიდი ყურადღება ეთმობა რუსული არმიის ურთიერთობებს ადგილობრივ მოსახლეობასთან. ზოგიერთი მათგანი თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის წინააღმდეგობის ჩახშობის მკაცრი ზომების გატარების მხარდამჭერი იყო; ისინი ემხრობოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის დეპორტაციას და მათი საცხოვრებლების განადგურებასაც კი. სხვები კი, საპირისპიროდ, თანაგრძნობას უცხადებდნენ და მკვიდრ მცხოვრებლებს ამაყ და თავისუფლებისმოყვარე ადამიანებად ახასიათებდნენ. ავტორები ყურადღებას ამახვილებდნენ იმ კულტურულ განსხვავებებსა და სირთულეებზე, რომლებიც წარმოიშვა რუსეთის იმპერიაში რეგიონის ინტეგრაციისას. რუსი სამხედროებისათვის ყველა ჩრდილო კავკასიელი, მათ შორის მშვიდობიანი მოსახლეობა, „ყაჩაღად“ მიიჩნეოდა. მათ წრეში, ისევე როგორც მთელ რუსულ საზოგადოებაში, გაჩნდა აზრი, რომ კავკასიელ მთიელთა დამახასიათებელი თვისება იყო დარბევის, ძარცვისა და მკვლელობისადმი მიდრეკილება. თავად რუსი

---

<sup>17</sup> ალექსეი პიოტრის ძე ერმოლოვი (1777-1861) – კავკასიის მთავარმართებელი 1816–1827 წლებში. რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. ინფანტერიისა (1818) და არტილერიის (1837) გენერალი. 1791 წლიდან მსახურობდა არმიაში. 1816 წლიდან იყო „საქართველოს ცალკეული კორპუსის“ (1820 წლიდან – „კავკასიის ცალკეული კორპუსი“) მეთაური, მთავარსარდალი; ასევე იყო საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში.

სამხედროები მთიელების ამ ლტოლვის მიზეზებს თურქეთის მხრიდან წაქეზებით, რუსურსების სიმცირით, მთიელთა სიღარიბითა და სიზარმაცით, საზოგადოების ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული თავისებურებებით ხსნიდნენ.

უცხოელი, კერძოდ, ევროპელი ავტორების მოსაზრებები არმიის ქმედებებზე კრიტიკული შეფასებებიდან პატრიოტულ აღტაცებამდე მერყეობდა. ევროპელი ავტორები ხშირად ამბივალენტურ გრძნობებს გამოხატავდნენ, აღიარებდნენ რუსული სტრატეგიის ეფექტურობას, მაგრამ აკრიტიკებდნენ მისი განხორციელების მეთოდებს. მათ მიერ კავკასია ხშირად აღიქმებოდა როგორც ევზოტიკური და რომანტიზებული ტერიტორია, სადაც კულტურათა შეჯახება ხდებოდა. მათი ნაწარმოებები ხშირად წარმოაჩენდა კავკასიელი ხალხის თავისუფლების სიყვარულსა და უნიკალურ კულტურულ ტრადიციებს.

რუსი ავტორები, ევროპელებისგან განსხვავებით, ნანახ თუ სხვისგან მოთხრობილ მოვლენებს სხვადასხვაგვარად აღწერდნენ, რაც მათი იდეებისა და ღირებულებების განსხვავებულობას გამოხატავდა. მაგალითად, თუ რუსი მწერალი მიხაილ ლერმონტოვი თავის ნაშრომებში ხშირად აკრიტიკებდა ომის მორალურ ასპექტებს, ოფიციალური ისტორიკოსები პირიქით, საუბრობენ რუსული არმიის მიღწევებზე რთულ პირობებში. იმპერიის იდეოლოგიის წარმომადგენლები კავკასიის დაპყრობას ხედავდნენ როგორც „ცივილიზაციის შემოტანის“ მცდელობას და რუსული სახელმწიფოებრივი იდეების გავრცელებას.

რუსი მეცნიერი პ. ჩერნოვი ნაშრომში, „კავკასიის ცალკეული კორპუსი როგორც სამხედრო კორპორაცია (პოლკის ისტორიების მიხედვით)“, აღნიშნავს, რომ „კავკასიის კორპუსის ჯარებმა ისეთი მოწინააღმდეგეები დაინახეს, რომლებიც ევროპაში მებრძოლი პოლკებისთვის უცნობი იყო. სპარსული და თურქული არმიების შემადგენლობაში მრავლად იყო არარეგულარული შენაერთები, მოკლებული დისციპლინას, მათ არ იცოდნენ ტყვე-

ებთან, დაჭრილებთან და მშვიდობიან მოსახლეობასთან ურთიერთობის „ევროპული“ პრინციპები. ამ ყველაფრის პასუხად, რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები თავს არ თვლიდნენ ვალდებულიად, მოწინააღმდეგეს „ცერემონიული“ დამოკიდებულებით მიდგომოდნენ. მთიელები კი ყაჩაღებად და აჯანყებულებად მიიჩნეოდნენ, რასაც თან მოჰყვებოდა შესაბამისი დამოკიდებულება და შედეგები“.<sup>18</sup>

ორი საუკუნის წინანდელი მოვლენების კვლევა დღეს, XXI საუკუნეშიც, აქტიურად მიმდინარეობს. XIX საუკუნის რუს ავტორთა ნაშრომები არაერთგვაროვნად ფასდება როგორც სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების, ასევე საზოგადოების მიერ. იტალიელი მეცნიერი ლ. მაგაროტო სამართლიანად აღნიშნავს, რომ „XIX საუკუნის პირველი ათეული წლების რუსულ პოლიტიკურ აზროვნებაში როგორც იმპერიაში შემავალი არარუსი ხალხებისადმი, ასევე მოსაზღვრე მცირე ქვეყნებისადმი დამპყრობლური და იმპერიული დამოკიდებულება იყო გაბატონებული. ეს ითქმის როგორც ცარისტულ და სხვა კონსერვატიულ, ასევე ლიბერალურ თუ ლამის რევოლუციურ წრეებზე, დეკაბრისტების ჩათვლით. შეიძლება დავსძინოთ, რომ დაპყრობა-ძალადობაზე დამყარებული ურთიერთობის ამგვარი იდეას მხურვალედ იზიარებდნენ როგორც ჯარში მომსახურე მოაზროვნეები, ასევე რუსული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის, მრავალი ლიბერალურად განწყობილი მწერალი, პუშკინის ჩათვლით, რომელმაც თავისი პოემის – „კავკასიის ტყვე“ – ეპილოგში ხოტბაც კი შეასხა რუსი გენერლების კოლონიალისტურ ომს კავკასიაში“.<sup>19</sup>

<sup>18</sup> Чернов П. В. Отдельный Кавказский Корпус как военная корпорация (по материалам полковых историй). Журнал «Современная наука: Актуальные проблемы теории и практики». Серия: Гуманитарные науки №6, 06.2021, с. 46.

<sup>19</sup> მაგაროტო ლ., საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801), იტალიურიდან თარგმნა სალომე კენჭოშვილმა, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბ., 2008, გვ. 153.

საკითხის კვლევისას ყურადსაღებია თანამედროვე რუსი მეცნიერების ნაშრომები XIX საუკუნის კავკასიის თემატიკაზე. მათ შრომებს ხშირ შემთხვევაში ტენდენციურობა და მიკერძოებულობა ახასიათებს, გამართლებულია რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკა და ახალი ტერიტორიების შემოერთების აუცილებლობა. ისინი მიიჩნევენ, რომ იმპერიის ეს პოლიტიკა გეოპოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური ასპექტებით იყო განპირობებული. მეცნიერები სხვადასხვა საკითხზე აკეთებენ აქცენტებს.<sup>20</sup> ზოგიერთი განიხილავს რუსული საზოგადოების დამოკიდებულებას კავკასიელების მიმართ, სხვებისთვის მნიშვნელოვანია რუსი სამხედროების როლის წარმოჩენა კავკასიის „ათვისებაში“<sup>21</sup> და ა.შ.

რუსი მკვლევარი ვლადიმირ ლაპინი მონოგრაფიაში – „რუსეთის არმია XVIII-XIX საუკუნეების კავკასიურ ომში“<sup>22</sup> – ყურადღებას ამახვილებს რუსეთის არმიასზე, როგორც XVIII-XIX საუკუნეების კავკასიის ომის დამოუკიდებელ მონაწილეზე. საინტერესოა

<sup>20</sup> *Колосовская Т. А., Ткаченко Д. С.* Военные кавказоведы Российской империи: библиографический словарь. Ставрополь: изд-во «Дизайн-студия Б», 2021, 334 გვ. წიგნში სისტემატიზებულია ინფორმაცია რუსული არმიის წარმომადგენლების შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ კავკასიის შესწავლაში XVIII საუკუნის დასაწყისიდან 1917 წლამდე. ლექსიკონის თითოეული სტატია ასახავს სამხედრო კავკასიელ მეცნიერთა სამსახურებრივი ბიოგრაფიის მთავარ ეტაპებს და ახასიათებს მათ კვლევით პრაქტიკას და კავკასიურ თემებზე ნაშრომებს. ლექსიკონი მომზადებულია საარქივო წყაროების ფართო სპექტრის, პერიოდული გამოცემებისა და საცნობარო ენციკლოპედიური პუბლიკაციების მასალებისა და მეზუარული ლიტერატურის გამოყენებით.

<sup>21</sup> *Савельев А.Е.* Роль российских офицеров в исследовании Кавказа. Вестник Краснодарского университета МВД России. 2010. № 2. с. 9–13; *Клычников Ю.Ю.* Российская политика на Северном Кавказе (1827–1840 гг.). Пятигорск, 2002. 494 с.; *Чернов П. В.* Отдельный Кавказский Корпус как военная корпорация (по материалам полковых историй). Журнал «Современная наука: Актуальные проблемы теории и практики». Серия: Гуманитарные науки №6, 06. 2021. с. 43-48.

<sup>22</sup> *Лапин В. В.* Армия России в Кавказской войне XVIII-XIX вв. М.: Европейский дом, 2008. 400 с.

მისი სხვა სტატიებიც – „კავკასიური ომი“ და „ნაციონალური ფორმირებები XVIII-XIX საუკუნეების კავკასიურ ომში“, რომლებიც გამოქვეყნებულია კრებულში „კავკასიური ომი. რუსეთი და კავკასია – წარსული და თანამედროვეობა. ისტორია, წეს-ჩვეულებები, რელიგია“.<sup>23</sup>

კავკასიის მთავარმმართველს და მეფისნაცვლებს ეხება ვლადიმირ დეგოვის სტატია „კავკასიური ომის სამი სილუეტი: ა.პ. ერმოლოვი, მ.ს. ვორონცოვი, ა.ი. ბარიატინსკი“.<sup>24</sup> არაერთი კვლევა აქვს მიძღვნილი კავკასიის საკითხისადმი იაკოვ გორდინს. მის ნაშრომებს შორის გამოირჩევა – „კავკასია: მიწა და სისხლი. რუსეთი XIX საუკუნის კავკასიურ ომში“,<sup>25</sup> „რატომ სჭირდებოდა კავკასია რუსეთს? ილუზია და რეალობა“.<sup>26</sup>

XIX საუკუნის რუსეთის კავკასიური პოლიტიკის კვლევისას აღსანიშნავია თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების ნაშრომები, რომლებიც ეფუძნება როგორც ქართულ, რუსულ და დასავლეთევროპულ წერილობით წყაროებს, ისე არქივებში დაცულ დოკუმენტებს. ანა მანაგაძის დისერტაცია<sup>27</sup> „ევროპული წყაროები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ (მე-19 საუკუნის 30-50-იანი წლები)“ დასავლეთევრო-

---

<sup>23</sup> *Лапин В. В.* Кавказская война (С. 3-51), Национальные формирования в Кавказской войне XVIII-XIX вв. (С. 52-70). *იხ.*: Кавказская война. Россия и Кавказ – прошлое и настоящее. История, обычаи, религия. Сборник, СПб.: ЗАО «Журнал «Звезда», 2006.

<sup>24</sup> *Дегоев В. В.* Три силуэта Кавказской войны: А.П. Ермолов, М.С. Воронцов, А. И. Барятинский. Научный журнал «Вестник института цивилизации». 2000, №3, с. 62-107.

<sup>25</sup> *Гордин Я.А.* Кавказ: земля и кровь. Россия в Кавказской войне XIX века. Санкт-Петербург. Журнал «Звезда». 2000, 465 с.

<sup>26</sup> *Гордин Я.А.* Зачем России нежен был Кавказ. Иллюзии и реальность. СПб.: ЗАО «Журнал «Звезда», 2008, 288 с.

<sup>27</sup> *მანაგაძე ა.*, ევროპული წყაროები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ (მე-19 საუკუნის 30-50-იანი წლები), დისერტაცია, თბ., 2017.

პულ წყაროებზე დაყრდნობით იკვლევს რუსეთისა და კავკასიის ურთიერთობებს XIX საუკუნის 30–50-იან წლებში; ზურაბ სულაბერიძის მონოგრაფია<sup>28</sup> „ომი და პოლიტიკა: რუსეთი და შავი ზღვის სანაპირო ხაზი მე-19 საუკუნის 20-50-იან წლებში“ მიმოიხილავს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ სტრატეგიას შავი ზღვის სანაპიროზე; ბეჟან ხორავას ნაშრომი<sup>29</sup> „აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე“ კი განიხილავს აფხაზეთის სამთავროს გაუქმებას იმპერიული პოლიტიკის კონტექსტში. აღნიშნული სამეცნიერო კვლევები მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის XIX საუკუნის რუსეთის კავკასიური პოლიტიკის კომპლექსური ანალიზისთვის.

XIX საუკუნის რუსი ავტორების ნაწარმოებები წარმოადგენს ისტორიულ წყაროს, რომელებიც ნათლად წარმოაჩენენ იმდროინდელი გეოპოლიტიკური პროცესების სირთულესა და კულტურულ შეჯახებებს. ამ ნაშრომებში აისახება კავკასიის რეგიონის მძიმე ისტორია როგორც დაპყრობილთა, ისე დამპყრობელთა თვალთ, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, მოვლენები სხვადასხვა პერსპექტივიდან აღიქვას. ეს ნაწარმოებები არა მხოლოდ ისტორიული ფაქტების დოკუმენტურ სურათს გვთავაზობს, არამედ ასახავს იმდროინდელი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის თავისებურებებს, რუსული იმპერიული პოლიტიკის გავლენას და მის შედეგებს კავკასიის ხალხებისთვის. გარდა ამისა, ნაწარმოებებში ჩანს ავტორების პირადი დამოკიდებულება, მათი ეთიკური შეფასებები და ემოციები, რაც დამატებით სიღრმეს სძენს ამ ნაშრომებს.

<sup>28</sup> სულაბერიძე ზ., *ომი და პოლიტიკა: რუსეთი და შავი ზღვის სანაპირო ხაზი მე-19 საუკუნის 20-50-იან წლებში*, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2019, 406 გვ.

<sup>29</sup> ხორავა ბ., *აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე*, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011, 319 გვ.

## ნარკვევები პიოტრ მუხანოვის გამოუქვეყნებელი წიგნიდან – „მოგზაურობა საქართველოსა და ყარაბაღში“

რუსი მწერალი, სამხედრო ისტორიკოსი, დეკაბრისტი და იზმაილოვსკის პოლკის ლეიბ-გარდიის შტაბს-კაპიტანი პიოტრ ალექსანდრეს ძე მუხანოვი (1799-1854) წარმოშობით დიდგვაროვანთა ოჯახს ეკუთვნოდა. იგი თანამედროვეებისთვის ცნობილი იყო, როგორც მწერალი და სამხედრო ისტორიკოსი. პ. მუხანოვი დეკაბრისტული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული, თუმცა არა მთავარი ფიგურა იყო. დეკაბრისტების აჯანყების მონაწილეების მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით, მას 8-წლიანი საკატორღო სამუშაოები (კატორღაში თითქმის 5 წელი იყო) მიესაჯა, ხოლო შემდეგ – სიცოცხლის ბოლომდე ციმბირში გადასახლება.<sup>30</sup> იგი ავტორია სამხედრო ისტორიის თემაზე შექმნილი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების – მოთხრობების, სამოგზაურო ნარკვევების, სტატიების, რომ-

---

<sup>30</sup> ზოგიერთი ქართველი მკვლევარი პიოტრ მუხანოვს კავკასიაში გადმოსახლებულად მიიჩნევს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოცემულ ენციკლოპედიის („საქართველო“) სტატიაში „დეკაბრისტები“ (ავტორი ვ. შადური), მკითხველს მიწოდებული აქვს მცდარი ინფორმაცია: „საქართველოში მსახურობდნენ პოეტი ვ. კიუხელბეკერი, ლიტერატორები ე. ლაჩინოვი და პ. მუხანოვი...“ <https://georgianencyclopedia.ge/form/3765>. ეს არასწორი ცნობა გამეორებულია ქართულენოვან ვიკიპედიაში გამოქვეყნებულ სტატიამაც „დეკაბრისტთა აჯანყება“. შედარებისთვის იხ.: კანდელაკი დ., დეკაბრისტების კავკასიური ისტორიები, აკადემიკოს ნანა ხაზარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი შრომები, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2024, გვ. 157 (სქოლიო).

ლებიც ხშირად იბეჭდებოდა რუსეთის მაშინდელ ჟურნალებსა და ლიტერატურულ აღმანახებში.

პ. მუხანოვს არ მოსწონდა სამხედრო სამსახური, რომელსაც განსაკუთრებული გულისხმიერებით არ ეკიდებოდა და, დიდი ალბათობით, ამის საფუძველზე შეექმნა კიდევ გაუგებრობები. ახალგაზრდა მწერალი თავის დამოკიდებულებას არაერთხელ ამჟღავნებდა ნათესავებისადმი მიწერილ წერილებში. მას შემდეგ, რაც 1824 წლის ნოემბერში ნ. ნ. რაევსკი<sup>31</sup> გადადგა, მისი ადიუტანტების მომავალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაურკვეველი დარჩა – მხოლოდ 1825 წლის 22 მაისს გაიცა ბრძანება პ. მუხანოვის ფრონტზე დაბრუნების შესახებ. სამსახურებრივი ცვლილების მოლოდინში მან გადაწყვიტა, გამგზავრებულიყო კავკასიაში, ალექსეი ერმოლოვთან, რათა იქ დაეწყო სამსახური. ამ გეგმის შესახებ მან თავის დას მისწერა და 1825 წლის ზაფხულში ჩანაფიქრი განახორციელა კიდევ.

რუსი მწერალი კავკასიაში 1825 წლის 22 მაისამდე, მისი ფრონტზე დაბრუნების ბრძანების გამოცემამდე, უნდა გამგზავრებულიყო. ამ ფაქტს ადასტურებს ნიკოლაი ნიკოლაის ძე მურავიოვ-ყარსკის<sup>32</sup> ჩანაწერი: „26-ში მოულოდნელად ჩამოვიდა ჩემთან მანგლისში იზმაილოვის პოლკის შტაბს-კაპიტანი მუხანოვი – ჩემი ნათესავი, რომელიც ჩემს მამასთან სახლში აღიზარდა

<sup>31</sup> კავალერიის გენერალი ნიკოლაი ნიკოლაის ძე რაევსკი (1771-1829), 1815 წლიდან მე-4 ქვეითი კორპუსის მეთაური, რომლის შტაბ-ბინაც კიევში იყო; ამ თანამდებობიდან გაათავისუფლეს 1824 წლის 25 ნოემბერს.

<sup>32</sup> ნიკოლაი ნიკოლაის ძე მურავიოვ-ყარსკი (1794-1866) – რუსი სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი (1853 წლის 6 დეკემბერი), დიპლომატი და მოგზაური, კავკასიის მეფისნაცვალი (1854 წლის 29 ნოემბერი – 1856 წლის 22 ივლისი). ყირიმის ომის დროს ყარსის ალებისთვის მან 1855 წლის 4 დეკემბერს მიიღო საპატიო მეტსახელი „ყარსკი“, სახელმწიფო საბჭოს წევრი (1856-1859). 1825 წელს, პოეტრ მურავიოვის საქართველოში ჩამოსვლიას, ნ. ნ. მურავიოვი მე-7 კარაბინერთა პოლკს მეთაურობდა და მანგლისში იმყოფებოდა.

და სწავლობდა. რაევსკის ადიუტანტად ყოფნის შემდეგ ის ხაზის ოფიცრის წოდებამდე დააქვეითეს. მას არ სურდა პეტერბურგში სამსახური და აქ ჩამოვიდა, რათა ენახა თავისი დეიდა, კნიაგინა მადათოვა<sup>33</sup> და ერმოლოვთან ადიუტანტის ადგილი მოეპოვებინა კაპიტნის ჩინის მიღებამდე, რათა შემდგომში ჩემს პოლკში, უკვე ვიცე-პოლკოვნიკის რანგში გადმოსულიყო. ამისათვის მან რაევსკის წერილი ჩამოიტანა ალექსეი პიოტრის ძესთან, მაგრამ მას უარი ეთქვა“.<sup>34</sup> მან შეძლო სამხედრო სამსახურიდან შვებულება მიეღო და დეიდასთან, სოფია ალექსანდრეს ასულ მადათოვთან, ყარაბაღში გამგზავრებულიყო. მწერლის კავკასიიდან გამგზავრების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა ოქტომბრის შუა რიცხვებში კისლოვოდსკში გაემგზავრა, ხოლო ნოემბრის მეორე ნახევარში იგი უკვე მოსკოვშია.<sup>35</sup>

პიოტრ მუხანოვის დების მიმოწერიდან ირკვევა, რომ „ის უკმაყოფილოა ასეთი უშედეგო მოგზაურობით და ახლა გაურკვეველობაშია, გააგრძელოს თუ არა სამსახური. ის წერს, რომ საქართველო ძალიან მოსაწყენი ქვეყანაა, რომ იქ ძალიან ცოტა ნაცნობები ჰყავს და ერმოლოვთან ურთულესი ურთიერთობა აქვს მისი სასტიკი ხასიათის გამო; რომ იქ ყველაფერი უკიდურესად ველურია და ამიტომ, ალბათ, არც არის სანანებელი, რომ იმ ადგილას ვერ მოეწყოს, რომელის მიღების იმედი ჰქონდა“.<sup>36</sup>

პიოტრ მუხანოვის მიერ დასთან, ეკატერინა მუხანოვასთან, 1824 წლის ივნისის ბოლოს გაგზავნილი წერილიდან იკითხება რუსეთის იმპერიის ინტელიგენტის ხედვა „აღმოსავლეთისადმი“: საქართველო მისთვის ერთდროულად პროვინცია, პოეტური სივრცე და ეგზოტიკური თავგადასავლის ადგილია, რომე-

<sup>33</sup> სოფია ალექსანდრეს ასული მადათოვა (დაბ. საბლუკოვა) – ვალერიან გრიგორის ძე მადათოვის მეუღლე, პიოტრ მუხანოვის დეიდა.

<sup>34</sup> Сиверс А. Памяти декабристов. Сборник Материалов. П. А. Муханов. Материалы для биографии. Ленинград, 1926.

<sup>35</sup> კანდელაკი დ., დეკაბრისტების კავკასიური ისტორიები, გვ. 155-156.

<sup>36</sup> Сиверс А. დასახ. ნაშრომი.

ლიც უნდა იყოს დამორჩილებული, დასახლებული და გარდაქმნილი: „თუ „რუსეთის გეოგრაფიის“ 243-ე გვერდს გადახედავთ, დაინახავთ, რომ საქართველო რუსეთის პროვინციაა და არა აფრიკა... საქართველოს კლიმატი იტალიის კლიმატს ჰგავს... საქართველო კოლხეთის ეგოა, საიდანაც ოქროს საწმისი მოიტაცეს“.<sup>37</sup> იგი საქართველოში მოგზურობის შესახებ დასრულებს აძლევს: „შენ გათხოვდები ხანზე, მაჰზე ან ლამაზ შავთვალეზე ქართველზე და შენს დეიდა სოფისთან ერთად დაასახლებთ დიდებული შთამომავლებით შესანიშნავ ქვეყანას... ჩემო ძვირფასო და საყვარელო დაო, იმერეთის ან გურიის ან ხივის უკაცრიელი სტეპების მომავალ მფლობელო, მომავალ დედოფალო ან თავადის მეუღლე... დედა ფიქრობს, რომ იქიდან რიუმინზე მდიდარი დაბრუნდები და მთელი ქვეყანა ისეთივე მდიდარი საქმროებითაა სავსე, როგორც ძვირფასი ბიძია მადათოვი, რომელიც, სინამდვილეში, უბრალოდ, მამაცი ჯარისკაცია, მდიდარი უმეცარი“.<sup>38</sup>

ფუფუნებაში გაზრდილ რუს დიდგვაროვანს, მოსკოვის უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელს და მოსკოვის სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულს კავკასიაში ნამდვილად გაუჭირდებოდა. რუს სამხედროს და ლიტერატორს, დეკაბრისტული ორგანიზაციის წევრს აქ არ დახვდა რუსეთის მსგავსი გარემო. სავარაუდოდ, მთავარმმართველისგან სამსახურის დაწყებაზე მიღებული უარი, მისი უარყოფითი განწყობის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

რუსი მწერალი იყო იმ პერიოდის რუსეთში გამომავალი პროგრესული ჟურნალის, „მოსკოვსკი ტელეგრაფის“,<sup>39</sup> მუდმივი

<sup>37</sup> *Сувец А.* დასახ. ნაშრომი.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> „მოსკოვსკი ტელეგრაფ“ (რუს. Московский телеграф) – პირველი ენციკლოპედიური ჟურნალი რუსეთში. გამოსცემდა ნიკოლაი პოლევოი 1825-1834 წლებში. ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა. ჟურნალი შეიცავდა განყოფილებებს მეცნიერებასა და ხელოვნებაზე, ლიტერატურ-

თანამშრომელი. ამ ჟურნალში 1825-1826 წლებში მისი კავკასიური სამოგზაურო ჩანაწერებიდან („მოგზაურობა საქართველოსა და ყარაბაღში“) გამოქვეყნდა სამი ნარკვევი:<sup>40</sup> 1) „განჯის აღება (წერილი რ-სთან\*\*\*“<sup>41</sup> 2) „წითელი ხიდი. მოგონებები გილდენშტედტის შესახებ (წერილი რ-სთან\*\*\*“<sup>42</sup> 3) „ელიზავეტ-პოლის ველი (წერილი საქართველოდან)“.<sup>43</sup>

რუს მწერალს თავისი სამოგზაურო ჩანაწერებით სურდა გაეღვიძებინა მეცნიერთა ინტერესი კავკასიის სრულიად შეუსწავლელი კუთხეების მიმართ. ერთ-ერთ ნარკვევში ის წერდა: „კავკასია ისევე ნაკლებად არის ათვისებული, როგორც აფრიკის შიდა მხარეები... ის ელოდება ჰუმბოლდტს - პროტეუსს კვლევის სფეროში“<sup>44</sup>.

პიოტრ მუხანოვის კავკასიური ნარკვევები შეიძლება ჩაითვალოს „რომანტიკული მოგზაურობის“ ჟანრის ნიმუშად, რომელიც რუსულ ლიტერატურაში 1820-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა. ამ ჟანრში ერთმანეთს ერწყმოდა ისტორიული და თანამედროვე რეალიები, ბუნების პოეტური აღწერა, პირადი მოგონებები, ლეგენდები და კონკრეტული ყოფითი სინამდვილე.

---

რაზე, მოდაზე; იყო ბიბლიოგრაფიისა და კრიტიკის, ასევე ახალი ამბების რუბრიკებიც.

<sup>40</sup> პიოტრ მუხანოვის ნარკვევების ქართული თარგმანი შესრულებულია ფილოლოგის დოქტორის, მთარგმნელის, ნათია ამირეჯიბის, მიერ. სქოლიოებში კომენტარები და განმარტებები ეკუთვნის ავტორს, დალი კანდელაქს.

<sup>41</sup> Московский телеграф. Взятие Ганжи (Письмо к P\*\*\*), 1825, ч. V, № 19. с. 242-250.

<sup>42</sup> Московский телеграф. Красный мост. Воспоминания о Гильденштедте (Письмо к P\*\*\*). 1825, ч. VI, № 21. с. 57-68.

<sup>43</sup> Московский телеграф. Елисаветпольская долина (Письмо из Грузии). 1826, ч. VIII, №5, с. 28 - 32.

<sup>44</sup> Муханов П. А. Сочинения и письма. Издание подготовлено Г. В. Чагиним. Иркутск. Восточно-Сибирское книжное издательство, 1991, с. 92.



პიოტრ მუხანოვი



შტურმი განჯის ციხესიმაგრეზე, 3 იანვარი, 1804 წ.  
ადოლფ შარლემანი

## § 1. განჯის აღება (წერილი რ-სთან\*\*\*)

„განჯის აღება (წერილი რ-სთან\*\*\*)“ – ამ ნარკვევის სქოლიოში ჟურნალის რედაქტორი უთითებს, რომ „ნარკვევი ხელნაწერის – „მოგზაურობა საქართველოსა და ყარაბაღში“ – ნაწყვეტს წარმოადგენს“. <sup>45</sup> ის დაწერილია ამ ბრძოლის თვითმხილველის, ვალერიან გრიგორის ძე მადათოვის, <sup>46</sup> მონათხრობის საფუძველზე. პ. მუხანოვი ნარკვევში მკითხველს მოუთხრობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს რუსებისათვის განჯას, როგორც სპარსეთის ჩრდილოეთის პროვინციების, გასაღებს:

*„ნანგრევები და გაჩანაგებული სახლები ქალაქში მომხდარი სავალალო ამბების მაუწყებელია. მთელ აზერბაიჯანში საუკეთესოდ მიჩნეულმა ციხემ ქალაქი ვერ დაიცვა და ვერც თავად გადაურჩა ნგრევას. ის ჯერ კიდევ დგას უწინ აყვავებული განჯის ნაშთებზე და სევდიანი მავზოლეუმით იუწყება დამარცხებულთა უბედურებასაც და აწ გარდაცვლილი ქართველი გამარჯვებულის<sup>47</sup> სახელსაც.*

*რუსებმა განჯა პირველად 1796 წელს აიღეს, დაღესტნისა და შირვანის გავლით საქართველოში ლაშქრობისას; თუმცა მომდევნო წელს ის დატოვეს. რუსების ყოფნა კავკასიონის ქედს იქით მომთაბარეობის მსგავსი იყო. პეტრე დიდის ლაშქრობის შემდეგ<sup>48</sup> რამდენიმე ექსპედიცია მოეწყო; რამდენჯერმე გადავიდნენ ყუბანს იქით, ჩავიდნენ საქართველოში, იმერეთში, სამეგრელოში და გაეცნენ კასპიის ზღვის სანაპიროებს, მაგრამ ეს ლაშქრობები უფრო*

<sup>45</sup> Московский телеграф, 1825, ч. V, № 19. с. 242.

<sup>46</sup> ვალერიან გრიგორის ძე მადათოვი (1782-1829) – სომხური წარმომობის რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ლეიტენანტი.

<sup>47</sup> იგულისხმება პაველ დმიტრის ძე ციციანოვი.

<sup>48</sup> იგულისხმება პიოტრ I-ის (1695-1696) აზოვზე ლაშქრობები, რომელთა შედეგადაც მან აზოვი აიღო და რუსეთი იმპერია აზოვის ზღვის სანაპიროზე გავიდა.

სამხედრო გასეირნებას ჰგავდა. იქაურობას თავადი ციციანოვი დამყრობლად მოუვლინა: მან ბოლო მოუღო აღმოსავლეთის მმარ-თველთა ტრიუმფს.

1803 წელს განჯის ხანი ჯვათი 15000-იანი თათართა ჯარით და 9000 ცოლით, რომლებიც ქმრების ერთგულების თავდებად აიყვანეს, ციხეში ჩაიკეტა. მმართველისთვის მიცემული ფიცის გაუტეხლობა და ცოლების უპირობო დაცვა, აღმოსავლეთის მკვიდრთა ჩვეულებისა და ყურანის წესების შესაბამისად, ხანს თავისი ურდოს გამბედაობისა და ერთგულების უდავო გარანტიას აძლევდა. მართლაც, განჯა თათრების სარაგოსად<sup>49</sup> იქცა.

საქართველოს მთავარსარდალი თავადი ციციანოვი 3000 ჯარისკაცით მიუახლოვდა განჯას და ალყა შემოარტყა. მისმა ლაშქარმა არაერთხელ გადალახა კავკასიონის მწვერვალები და მისი საუკუნოვანი კლდეები მეომარ მთიელთა სისხლით შეღება. მხურვალე სტუპებზეც არაერთხელ შეხვდნენ თოვლიანი სტუპის მეომრები ურიცხვ ფრთოსან აწიელებს. და აქაც დიდება ყოველთვის წინ უსწრებდა მათ. როგორც სიკვდილის მომასწავებელს, როგორც ღვთის რისხვას, ისე ელოდნენ ციციანოვს. მაგრამ ჯვათს, თავის მიწაზე დიდებულ მეომრად აღიარებულს, მაინც სურდა გაჯიბრებოდა ახალ მტერს, უკვე ცნობილს თავისი გმირობით.

ციხე ალყაში მოაქციეს; მთელი თვის განმავლობაში მას ჯარით ავიწროვებდნენ. ჯაჭვად იყო გადაჭიმული ბანაკები; მათგან არეკლილი სინათლე ანათებდა განჯის მაღალ, წითელ კედლებს. ჯარისკაცები შურიანი თვალთა ზომავდნენ ამ კედლებს, გაღიზიანებით უყურებდნენ აფრიალებულ თულებს,<sup>50</sup> ამაყი აწიელების ბრბოს, რომლებიც კედლებზე იკრიბებოდნენ, თითქოს მათ გასა-

<sup>49</sup> სარაგოსა – ესპანეთის პროვინციის მთავარი ქალაქი არაგონში, რომელიც ცნობილია ფრანგებთან ომში თავდაცვით (1808–1809 წლები); ქალაქი აიღეს 1809 წლის 19 თებერვალს, ორივე მხრიდან მძიმე დანაკარგების შემდეგ.

<sup>50</sup> თული (ბუნჩუგი, თურქ.) – გრძელი ლილვი ლითონის ბურთით ან წაწვეტებით, ცხენის ფაფარით და ფორჩხით ზედა კიდუზე.

დიზიანებლად; დულდა ჯარისკაცების აღისფერი სისხლი – ლაპარაკობდნენ კიბებზე, ჩურჩულებდნენ შტურმზე, წუწუნებდნენ აუჩქარებლობაზე. ჯარისკაცს არ უყვარს გაჭიანურება: ცეცხლი, სროლა, სიკვდილი ახლოდან უფრო ასატანია; მოთმინება და ლოდინი მძიმეა. მაგრამ რუსი გენერალი ერთ მუჭა მამაც თანამებრძოლებს უფროთხილდებოდა; მას არ სურდა თათართა სიმაგრის კედლები, რომლებზეც ხუთი ერთს ელოდა, მათი ძვლებით მოეფინა. მას ისინი მომავალი დიდებისთვის სჭირდებოდა. ამასობაში ჯარისკაცები ხეებს ჭრიდნენ, ნაკადულები გაჰყავდათ და მცირე რაზმებით თავს ესხმოდნენ მხედრების ბრბოს, ალყაში მოქცეულებს საკვების მოპოვების საშუალებას ართმევდნენ.

მართლაც, ციხე სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა: შუშის საჭიროება იდგა, საკვების მარაგი დიდი იყო, მაგრამ ქერი არ ჰქონდათ – ცხენები იხოცებოდნენ; წყლის მილები, რომლებიც რუსებმა ვერ გადაიტანეს, ჩახურგილი იყო გვამებით; მოსახლეობა მავნე, მომაკვდინებელ წყალს იღებდა; ჰაერი დაბინძურებული იყო, სიღარიბემ და დაავადებებმა იმატა; მაგრამ თათრებს ვერაფერი ერეოდა. რუსმა გენერალმა ხუთჯერ მოითხოვა ქალაქის ჩაბარება და ვერც ხანისთვის შეთავაზებულმა ბოლო წინადადება – რუსეთის ქვეშევრდომად და მეხარყედ დარჩენამ – ვერ გატეხა ჯევათის ჟინი და სიჯიუტე. „ქალაქს იერიშით ავიღებ, შეგიპყრობ და სამარცხვინო სიკვდილით მოგიღებ ბოლოს“, – წერდა მას მთავარსარდალი. – „კედელზე მკვდარი დამხვდები“, – უპასუხა ამაყმა ჯევათმა.

ეს ქედმაღალი პასუხი ქალაქისთვის სასიკვდილო განაჩენი იყო. ამასთან ერთად, წელიწადის გვიანმა სუზონმა, რუსულ ჯარში სნეულთა რიცხვის ზრდამ და საკვების ნაკლებობამ თავად ციციანოვს მყისიერი იერიშისკენ უბიძგა. ეს გადამწყვეტი ზომა ასევე აუცილებელი იყო მთავარსარდალის შემდგომი გეგმებისთვის. ციხის აღების გარეშე ამა თუ იმ სახით მისთვის ზურგის შექცევა რუსი ჯარისკაცებისთვის გაუგონარი ამბავი იქნებოდა. სამხედრო ძალა

მოძარი მეზობლების თვალში დაკნინდებოდა, რომლებიც თავიანთ ქვევას მხოლოდ ძლიერის წინაშე შიშით განსაზღვრავენ და მხოლოდ ხმლის კანონს სცემენ ჰატივს.

ბრძოლის წინა დღეს თავდასხმისთვის მზადება დღესასწაულია ბანაკში. განაწესი შესრულებულია, ხანგრძლივი უმოქმედობისგან ფხიზლდებიან. ჯარისკაცები ხარობენ ამ წამოწყებით, თავს იწონებენ თავიანთი გამჭრიახობით და საყუთარი პირველი ვარუდების გამართლებით. „დიდი ხნის წინ უნდა მომხდარიყო ეს, საუკუნე ხომ არ ვუყურებთ ურჯულოებს, დროა ხიშტით გავერთოთ“, – ამბობენ მოძრები. მთელი დღე დღეს ბანაკი: ერთნი კიბეებს ამზადებენ, მეორენი გაზარმაცებულ ხელს ავარჯიშებენ, კაჟებს ტენიან, ჟანგისგან ასუფთავებენ, ხიშტებს აპრიალებენ. ახალგაზრდა ჯარისკაცები არ დუნდებიან, ხელიდან ცეცხლი გასდით; ძველები საუბრებს უსმენენ, ჩურჩულით ხუმრობენ, ჰყვებიან ძველად ჯარისკაცის ცხოვრებაზე, ლაშქრობებზე, იერიშებზე... და იძინებენ, რათა დაისვენონ, ძალები აღიდგინონ, გაახალგაზრდავდნენ სვალინდელი ბრძოლისთვის.

1804 წლის 3 იანვარს, გამთენიისას, ორი კოლონა დაიძრა. ერთს გენერალი პორტიაგინი<sup>51</sup> ხელმძღვანელობდა, მეორეს – პოლკოვნიკი კორიაგინი;<sup>52</sup> ჯარი სწრაფად და ერთიანად დაიძრა. მტერმა, მოწინააღმდეგის მოძრაობა რომ შეამჩნია, კედელზე მარჯვე მსროლელები ჩააყენა; ქვემეხები შეტევის ადგილზე ჩამწკრივეს. კარგა ხანს არ უშვებდნენ რუსებს... ტყვიების წვიმით და ქვების სეტყვით დახვდნენ... თათრები ჯიუტად, თავგანწირვით იცავდნენ თავს. მაგრამ სისხლისმღვრელი იერიშის შემდეგ, რომელიც ორ საათს გაგრძელდა, რუსული კოლონები კედელზე აძვრნენ: ზოგი

<sup>51</sup> სემიონ პორტიაგინი – გენერალ-მაიორი, სამხედრო სამსახურში 1773 წლიდან; კავკასიაში ჩასვლამდე მსახურობდა ჩუგუევსკის კაზაკთა მე-3 რეგულარულ არმიაში. 1795 წლიდან – კავალერიის კარაბინერთა პოლკის პრემიერ-მაიორი.

<sup>52</sup> პიოტრ კორიაგინი – პოლკოვნიკი, სამხედრო სამსახურში 1774 წლიდან; განჯის ბრძოლამდე იყო კავკასიის ეგერთა კორპუსის მე-4 ბატალიონის მეთაური.

კიბით, ზოგი კედლის რღვეულებით. მამაცმა ჯვათ ხანმა ჰირობა მუასრულა: მისი ცხედარი კედელზე იპოვეს, ქვემუხთან – ის დაეცა იერიშის მთავარი წერტილის დაცვისას. მამასთან ერთად დაეცა მისი ვაჟი ჰასან-ყული-ადა, ვაჟკაცობით მამის ამაყი მეტოქე.

რუსი ჯარისკაცები გააფთრებული ლომებივით შეიჭრნენ ქალაქში და საზარელი დაბნეულობა შეიტანეს. ქვეითი და ცხენოსანი თათრების ბრბო ქუჩებში დარბოდა და ხანის თუღს ეძებდა, მათ მეომრულ შუქურას, სულმდაბალნი კი კარიბჭეს ეძებდნენ. ქალები მოედანზე გამოცვივდნენ და ჰერი საშინელი, გამყინავი ხმით აავსეს. ჯარისკაცებმა ქუჩების გაწმენდა დაიწყეს – სისხლისღვრა შეტევის შესაბამისი იყო. მაგრამ არავინ შეხებია არც ქალს და არც ახალშობილს. თავად გენერალი გოცებუღი იყო ჯარისკაცების მხრიდან ასეთ შემთხვევაში გამოჩენილი კაცთმოყვარეობითა და მორჩილებით. შუადღისთვის სიჩუმე ჩამოვარდა. ქალაქის შიდა მხარე მიცვალებულებით იყო მოფენილი. ჯარისკაცები ცხენებს ოქროს ალაშქმულობას ხსნიდნენ...

ნადავლი თავად გამარჯვებულების რიცხვს სჭარბობდა. ის შედგებოდა 12 ქვემუხის, 6 ფალკონის, 1 შტანდარტის, 8 დროშის, 55 ფუთი დენტის, ჰურის მარაგისგან, 5850 მამაკაცი და 8640 ქალი ტყვესგან. განჯის ადგილმდებარეობამ, რომელიც მთელ აზერბაიჯანს შიშის ზარს სცემდა და ციხესიმაგრემ, რომელიც აზიელებს შორის დასაყრდენად ითვლებოდა, ეს შენაძენი მნიშვნელოვანი გახდა რუსეთისთვის. განჯა სპარსეთის ჩრდილოეთ პროვინციების კარიბჭედ ითვლებოდა; მიმდებარე სახანოების მმართველებს მასზე უჭირათ თვალი და რუსული დროშა, მაჰმადიანთა სისხლით შეღებილი, ციხის კედლებზე აფრიალებული, ყველა მახლობელ მმართველს სიკვდილს მოასწავებდა. თავადმა ციციანოვმა განჯას ელისავეტპოლი უწოდა, რათა უზრუნველყოფილიყო რუსების მუდმივი ყოფნა ამ დაპყრობილ მიწაზე.

ტყვეთა შორის იყო ხანის ოჯახი, სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი. თავადმა ციციანოვმა, თანაბრად საშიშმა და დიდ-

სულოვანმა, მამაცმა მეომარმა და გამჭრიახმა პოლიტიკოსმა, მათ მისცა ფული, ტანსაცმელი, საჭმელი, მოსასვენებლად სახლი გამოუყო, მოამარაგა ხალიჩებით, თეჯით და სხვა აღმოსავლური მოსართავებით. ამ მხარეში წარმოუდგენელმა ღმობიერებამ სასიკეთო შთაბეჭდილება მოახდინა. განჯის მიდამოებში ეს ქმედება აქამდე გაუგონარ ამბად გამოაცხადეს. ტყვეები საკუთარ სახლებში დატოვეს, მათი ქონება ხელშეუხებელი იყო; ვერც რუსებმა და ვერც ქართველებმა სასიკვდილო განაჩენის შიშით ვერ გაბედეს ტყვეების თან წაყვანა აზიაში უხსოვარი დროიდან არსებული ჩვეულების მიხედვით.

იერიშის დასაწყისშივე, ჯვათ ხანის დარჩენილი ორი ვაჟი კედელზე გადაძვრა და თათართა კვალურიის მცირე რაზმით საშულის მფლობელ შერიმ ბეგს, განჯის ხანის ვასალს, შეაფარა თავი. თავადმა ციციანოვმა შერიმ ბეგს შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა:

„შერიმ-ბეგის ჩემთან, დიდად სახელგანთქმული რუსული ჯარის მთავარსარდალთან, მიმოწერა და ელჩების გაცვლა ჩემთვის მუფერებელი და დამამცირებელია, შენ კი მაშინვე თავმდაბლად უნდა მხლებოდი. მაშინ, როცა ჯვათ ხანის გემინოდა, ჩემი როგორ არ გემინია? და როგორ გაბედე აქედან გაქცეული მისი შვილების შეფარება, რომლებიც ყოველგვარი მიზეზის გარეშე უნდა დააბრუნო?! არანაირ ზიანს არ მივაყენებთ. მათ მამას რომ ჩემთვის დაეჯერებინა და ციხე ჩაებარებინა, ისიც საშუდამოდ აქ დარჩებოდა ხანად. ეს იყო ჩემი წინადადება მისთვის გაგზავნილ ბოლო წერილში. შეეშვი ყველა სპარსულ წეს-ჩვეულებას და იცოდე, რომ ვერ მომატყუებ. სასწრაფოდ გამოცხადდი ჩემთან მორჩილად და წამოიყვანე ხანის შვილები. მაშინ მე ფიცს დაგადებინებ და მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომად მიგიღებ. ხოლო თუ დააყოვნებ, მაშინ გიპოვი ხმელეთზეც და წყალშიც. უბრალოდ გახსოვდეს, რომ მე სიტყვის ერთგული ვარ: ვთქვი, რომ სამეფო პროვინციას გავანადგურებდი და გავანადგურე; ვთქვი, რომ საქართველოს გამხლეჩ სამეფო ოჯახს გავიყვანდი საქართველოდან და გავიყვანე; ვთქვი, რომ განჯას ავი-

ლებდი და ავიდე! ახლა განსაკუ: შეგიძლია თავი გამიტოლო? და მართლა გგონია, რომ დავიჯერებ შენს მიზეზებს? თუმცა, გარწმუნებ, რომ კმაყოფილი დარჩები რუსული მმართველობით და ჩემი მიღებით, თუკი ერთ დღეში ჩამოხვალ, რადგან ამის შემდეგ ჩემთვის ლოდინი შეუფერებელი იქნება“.

პასუხის გამოცნობა რთული არ არის. დაქინებული, მედიდური, უპირობო ნების გამოხატვა, რომელიც ცვლილებას არ ექვემდებარებოდა – ასეთია თავადი ციციანოვის ყველა წერილობითი ამის საფუძველი კი იყო წარსული დიდება და ერთ მუჭად შეკრულ მამაც მეომართა ერთგულება, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ მოწინააღმდეგეს; ის დარწმუნებული იყო თავისი ზრახვების ასრულებაში. მისი ნება იყო შესაძლებლობა, მისი ძრისხანების შესახებ გავარდნილი ხმა კი წინ უსწრებდა მის გამოჩენას და წინდაწინ აფრთხობდა ცოდვილ ადამიანებს“.

პიოტრ მუხანოვის ნარკვევი, მიუხედავად დეტალური ფაქტობრივი აღწერილობებისა, უფრო მხატვრული მონათხრობისა და პროპაგანდის შერეულ ფორმას ჰგავს. ტექსტი არ სთავაზობს მკითხველს დოკუმენტურ მასალას, რაც მას პირველწყაროდ გამოყენებისას ნაკლებად ღირებულს ხდის. ნაშრომი აღმოსავლეთ კავკასიის XVIII და XIX საუკუნეების მოვლენებს აღწერს; მასში გაშლილია აღმოსავლური და დასავლური კულტურების შეჯახების ნიუანსები, რაც კარგად წარმოაჩენს ეპოქის დრამატულობას; მუხანოვის თხრობა სავსეა სცენების, პერსონაჟებისა და გარემოს აღწერით, რაც მკითხველს ეხმარება, მეტი სიცხადით წარმოიდგინოს მოვლენები. ნარკვევი აღწერს ალყისა და შეტევის პროცესს, სადაც კარგად იგრძნობა მომენტის მძაფრი სიუჟეტური დინამიკა. გმირების ქცევასა და მათი მორალურ გადაწყვეტილებებზე გაკეთებული აქცენტები კი თხრობას სიღრმესა და ჰუმანურობას მატებს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ავტორი მედიდურ მთხრობელს ემსგავსება და ზედმეტად ხა-

ტოვნად გადმოსცემს მოვლენებს, რაც მათ რეალისტურ აღქმას ასუსტებს. ზოგჯერ კი გმირების ხასიათსა და მოტივაციას ზედაპირულად ან შაბლონურად გადმოსცემს.

3. მუხანოვი ნაწარმოებში რუსული არმიის მაღალ სამხედრო დისციპლინასა და სტრატეგიული გეგმებზე საუბრობს, რაც ნათლად იკვეთება განჯის ალყის აღწერიდან: სარდლები მეთოდურად გეგმავდნენ ალყებს, ხოლო ჯარისკაცები მკაცრად ემორჩილებოდნენ გენერლის ბრძანებებს და მზად იყვნენ ხანგრძლივი ლოდინისთვის, თუ ეს სტრატეგიულად აუცილებელი იყო. პიოტრ მუხანოვი არმიის გამძლეობასა და სირთულეებთან ადაპტირების თაობაზე საუბრობს. აღნიშნავს, რომ ჯარმა გადალახა რთული კლიმატური და გეოგრაფიული პირობები კავკასიაში. ამასთანავე, ჯარისკაცებს მოუწიათ ადგილობრივთა თავდაცვითი და კულტურული თავისებურებების გათვალისწინება. ასევე საუბრობს სამხედროების ძალადობრივ მეთოდებსა და მკაცრ სანქციებზეც; იმაზე, რომ არმია მოქმედებდა უღმობლად და სისხლიანი შეტევებით აღწევდა მიზანს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ციციანოვის კატეგორიული მიდგომა და ულტიმატუმები, რომლებიც ნგრევასა და დანაკარგებს უქადდა მოწინააღმდეგეს. რუს მწერალს ტყვეთა მიმართ არმიის მიერ ღმობიერების გამოხატვის აღნიშვნაც არ ავიწყდება. ტექსტი ხაზს უსვამს ციციანოვის დიდსულოვნებას ტყვეებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, რაც იმდროინდელი სამხედრო მოქმედებებისათვის უჩვეულო იყო. ტყვეთა დახმარებამ გარკვეულწილად ნდობა გააჩინა ადგილობრივ მოსახლეობაში. ავტორი საუბრობს რუსული არმიის მეთაურების (განსაკუთრებით ციციანოვის) სიმტკიცესა და ქედმაღლობაზე. ისინი მედიდურად, საკუთარი ძალის უპირატესობის რწმენით და წინააღმდეგობის მიმართ შეურიგებლობით გამოირჩეოდნენ. ეს კარგად ჩანს ციციანოვის წერილებში, რომლებიც მტკიცე ნებისყოფას და უპირობო გამარჯვების რწმენას ასახავს. ტექსტში ასევე ხაზგასმულია ნა-

დავლის მნიშვნელობა რუსი ჯარისთვის, რაც არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის მოპოვებას, არამედ დაპყრობილი რეგიონების სიმდიდრის წართმევასაც გულისხმობდა.

ნარკვევის ტექსტი ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს, მაგრამ მასში გარკვეული ხარვეზებიც შეინიშნება. ავტორი აღწერს განჯის ალყასა და შემდგომ მოვლენებს კონკრეტული თარიღებითა და პერსონაჟებით; საუბრობს კავკასიის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, პოლიტიკურ სიტუაციასა და რუსეთის იმპერიის მიზნებზე; ყურადღებას ამახვილებს რუსებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობაზე, ტრადიციებსა და მორალურ პრინციპებზე. ისტორიული პიროვნებების ქმედებებსა და ხასიათზე მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის ლიდერების (მაგ., ციციანოვისა და ჯევათ ხანის) გადაწყვეტილებების აღწერა. ავტორი მიკერძოებულია შეფასებებისას. ის ამკარად ადიდება რუსულ მხარეს, განსაკუთრებით მთავარსარდალ ციციანოვს და ამცირებს აზიელების წინააღმდეგობას. მონათხრობი შეიცავს ემოციურ და პათეტიკურ ელემენტებს; მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა, ჩაუდრმავდეს ისტორიულ მოვლენებსა და პერსონაჟთა ტრაგედიას. ავტორი მათ აწვდის არა მხოლოდ ისტორიულ ინფორმაციას, არამედ მძლავრ ემოციებსაც. ავტორი იყენებს ტენდენციურ ტერმინოლოგიას (მაგ.: „ურჯულოები“ ან „საშიში აზიელები“), რაც რუსული იმპერიის კოლონიური დისკურსის მახასიათებლებს ასახავს. ავტორის შეფასებით, რუსული არმია გამოირჩეოდა ორგანიზებული სტრატეგიით, გამძლეობითა და სიძლიერით, თუმცა მისი მოქმედებები ხშირად ძალადობრივ და დომინანტურ ხასიათს ატარებდა. ღმობიერება ტყვეთა მიმართ პოზიტიური გამონაკლისი იყო, რაც პოლიტიკურ სტრატეგიად შეიძლება ჩაითვალოს.

მუხანოვის ნარკვევი მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის მკითხველს რუსეთის კავკასიური პოლიტიკის შესახებ, თუმცა იგი ამკარად იმპერიული ხედვის ფარგლებშია შექმნილი და

მოვლენებს შესაბამისი იდეოლოგიური ინტერპრეტაციით წარმოაჩენს. ამ მიზეზით იგი უფრო პროპაგანდულ ნარატივს წარმოადგენს, ვიდრე ნეიტრალურ ისტორიულ დოკუმენტს.

## § 2. „წითელი ხიდი. მოგონებები გილდენშტედტზე (წერილი რ-ს<sup>\*\*\*</sup>)“

პიოტრ მუხანოვის მოთხრობა „წითელი ხიდი. მოგონებები გილდენშტედტზე (წერილი რ-ს<sup>\*\*\*</sup>)“ მიეკუთვნება XIX საუკუნის რუსული იმპერიული სამოგზაურო ლიტერატურის ჟანრს, რომელიც აერთიანებს ბუნების აღწერას, ეთნოგრაფიულ დეტალებსა და პოლიტიკურ საკითხებს. ნაშრომი მაღალმხატვრული და დოკუმენტური სტილის შესანიშნავ ნაზავს წარმოადგენს, რომელიც გამოსატავს პატრიოტულ განცდასაც, სამეცნიერო ინტერესსაც, ისტორიული მნიშვნელობასაც და კრიტიკასაც დასავლეთის პოლიტიკური გავლენისადმი.

ნარკვევის სქოლიოში მწერალი წერს: ნაწყვეტის ავტორი „დღიურიდან – „მოგზაურობა საქართველოსა და ყარაბაღში“ – სიამოვნებით მიიღებს საქართველოს განათლებული მცხოვრებლების შენიშვნებს და თავისი ხელნაწერის გამოქვეყნებისას შეიტანს ცვლილებებს“.<sup>53</sup>

*„მტკვრის მომხიბვლელ ნაპირებზე ჩვენი გასეირნება დიდხანს არ გაგრძელებულა – ბაღები გავიარეთ და დაკიდებულ კლდეებს დავშორდით. მდინარემ მარცხნივ იქცია პირი, მისი დინება ნაპირების გასწვრივ ამოსული თუთის ხეებით იკვეთებოდა. მარჯვნივ გადაჭიმული იყო საქართველოს მთების ქედი. მდინარე ალგეთის გადაკვეთის შემდეგ უზარმაზარ ხეობაში გავედით, რომელსაც აღმოსავლეთ კავკასიონი და არარატის ქედი წარმოქმნის. თვალსაწიერი*

<sup>53</sup> Московский телеграф. Красный мост. Воспоминания о Гильденштедте (Письмо к Р<sup>\*\*\*</sup>). 1825, ч. VI, № 21, с. 57; კანდელაკი დ., დეკაბრისტების კავკასიური ისტორიები, გვ. 157.



ნიკანორ ჩერნეცოვი. სამების ეკლესიისა და ყაზბეგის ხედი. 1829 წ.



ნიკანორ ჩერნოვეცი. კავკასია. მე-19 ს-ის პირველი ნახევარი



ნიკანორ ჯერნოვეცი. მეტეხის ციხე და მეჩეთი თბილისში. 1831 წ.



ნიკანორ ჯერნოვეცი. თბილისის ხედი. 1832 წ.

გაიშალა, მაგრამ სიამოვნებამ იკლო... მივედით მიტოვებულ თათრების სოფელ ბაიდარში. მოახლოებულმა ზაფხულმა და გავარჯარებულმა ცამ მოსახლეობა მთებში გარეკა.

დაახლოებით რვა ვერსის გავლის შემდეგ მივედით ქციასთან, ნახეთირთან, იმავე ხრამთან, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მდინარესთან, რომელიც მტკვარში ჩაედინება. ის სათავეს არარატის მთისწინეთში იღებს; მიედინება სტეპის გასწვრივ სამხრეთ-აღმოსავლეთით, შეიერთებს ბორჩალოს, კაზრეთს და სხვა ნაკადებს და მტკვარში ჩაედინება ბორჩალოს მაზრის კიდეებთან, მთავარი გზიდან დაახლოებით ხუთ ვერსში. მისი წყლები მთებში გროვდება, ფრიალო კლდეებიდან გადმოედინება, თან მოაქვს სპილენძისა და რკინის მადანის ფრაგმენტები; ხრამის დინება, ისევე როგორც ყველა მთის მდინარის, სწრაფია. მთაში წყლების მოვარდნასთან ერთად კალაპოტი უცებ ივსება. ეს მდინარე ოდესღაც საქართველოს საზღვარი იყო.

ხრამზე გადასასვლელად დიდი ქვის ხილია აგებული, რომელსაც წითელ ხიდს უწოდებენ. ეს არის აზიური არქიტექტურის ნიმუში. გარეგნულად მომხიბვლელი. ხილი ოთხ სვეტზე დგას, სიგრძეში დაახლოებით 300 ნაბიჯის ტოლია, სიგანეში – 20. ზომები საოცარი სიზუსტითაა დაცული, დეკორაციები ადასტურებს გემოვნებას, ხოლო მთელი ნაგებობა ჰატივს დებს აზიურ ხუროთმოძღვრებას. გარეგნობით ადფრთოვანებული, მშენებლობის ხელოვნებამაც გამკვირვა. ინჟინერს ან არქიტექტორს რომ ყურადღებით შეესწავლა, შესაძლოა, შენობის სიმყარის გამო დაერცხვინა და გაწითლებულიყო. თითქმის 500 წლის განმავლობაში ეს თაღები საკმაოდ განიერ და ძალიან სწრაფ მდინარეზე გადასასვლელს და ხიდს იჭერენ, ერთი ნატეხი რკინის გარეშე აგებულს, რომელიც ცვლილებებისა და შეკეთების გარეშე, ძლიერად და დაუზიანებლად დგას. მის აგებას ჩვენი მოგზაურები მეფე როსტანს<sup>54</sup> მიაწერენ. მან შეცვალა

<sup>54</sup> როსტანი – იგულისხმება როსტომი (ასევე როსტომ ხანი, ხოსრო მირზა, ქაიხოსრო ბატონიშვილი; 1565-1658) – ქართლის მეფე 1633-1658, ქართლ-კახეთის მეფე 1648-1656. ქართლის ბაგრატიონების უკანასკნელი წარმომადგენელი.

ძველი ჩამონგრეული ხიდი, რომლის ნაშთები დღემდე ჩანს. ამ გადმოცემის გადამოწმება ვერ მოვახერხე.

ნაგებობის უფრო ყურადღებით დათვალიერების სურვილით, მიშენებული ფერდობით მდინარეზე ჩავედი და გაკვირვებულმა შევამჩნიე ხიდის ქვეშ შესასვლელი. მისი წვეტიანი თაღების ქვეშ ორივე ბოლოში ორი ქარვასლაა, ვიწრო, წაგრძელებული სარკმლებით განათებული. ამ ნაგებობის ორმაგი დანიშნულება ორმაგ პატივს სდებს მის მშენებელს. ვაჭრობის აყვავების პერიოდში სპარსეთიდან მოსულ ქარავნებს აქ უსაფრთხო მოსასვენებელი და მცხუნვარე მზისგან თავშესაფარი შეეძლოთ ეპოვათ. დღეს ის თითქმის არ გამოიყენება.

ხიდის შუაგულში, პატარა კოშკში, რომელშიც მომცრო კარით შევიღვართ, ვიწრო გრაგნილი კიბეა. გაჭირვებით ჩავიარე კიბე და ქვემოთ, ხიდის თაღებქვეშ, სამხრეთისკენ მიბრუნებულ დიდ ნიშში აღმოვჩნდი. ქვის იატაკი წყლის დონიდან ერთ-ნახევარი საყენის სიმაღლეზე იყო. ჩემი ყურადღება მიიპყრო წმინდად მოპირკეთებულმა მშენიერმა პლაფონმა ჩუქურთმებითა და სხვა აზიური დეკორაციებით, ასევე ბუხარმა. ალბათ, ეს პატარა, ნახევარწრიული ოთახი ძველად ცნობილი მოგზაურების მოსასვენებელი ადგილი იყო, ხოლო ბუხარში, რომელიც თათრების სახლებში მოწყობილი ბუხრების ანალოგია, სალაშქრო ფლავს და მწვადს ამზადებდნენ. ახლა მისი დანიშნულება სხვაგვარია: ის მოგზაურთა სახელების საცავია. კედლები დაფარულია ქართული, სომხური, ფრანგული, გერმანული და რუსული წარწერებით, უამრავი სპარსული და არაბული ლექსით. მრავალმა სახელმა ადამიანებიც და მათი საქმენიც მოინელა და დღემდე შემორჩა.

ვადიარებ, გულზე მომხვდა თავგამოდებულ ვაჭართა კლასიდან ორივე ჰემისფეროს<sup>55</sup> მოგზაურთა მიერ ამოკაწრული სახელების ხილვა. ინგლისელები გადიზიანებით უყურებენ ჩვენს აღორძინებულ ვაჭრობას აღმოსავლეთთან, ეშინიათ მისი და ცდილობენ

<sup>55</sup> ჰემისფერო (ბერძნ. hemisphairlon „ჰემსფერო“) – დედამიწის ან ცის ნახევარსფერო.

მისი პროგრესი სპარსელებთან ხრიკებით და ოინებით შეაჩერონ. მითხრეს, რომ ინდური კომპანიის<sup>56</sup> მრავალი ჩინოვნიკი მუდმივად ცხოვრობს შაჰის დედაქალაქში და მხედველობიდან არ კარგავენ საკუთარი ერის სარგებელს. ადრე ისინი მათ სამხედრო საქმეს ასწავლიდნენ; ახლა ის მეგობრობის საფარველს დარაჯობენ მათ სავაჭრო ურთიერთობებს რუსებთან. თუმცა გენერალ ერმოლოვს დავალებული აქვს ამ მხარის სარგებლის დაცვა. ხმალი და კალამი საშიში იარაღია მცოდნე ხელში.

კედლებზე მოფენილი ხელმოწერების ამოკითხვისას დრმა გრძნობა დამუფლა, როცა მრავალ სახელს შორის გილდენშტედტის<sup>57</sup> სახელი დავინახე. ეს სწავლული აკადემიკოსი წითელ ხიდს 1772 წლის 25 მაისს ეწვია. აქედან მან თავისი მოგზაურობა სამხრეთ-დასავლეთისკენ მიმართა, ყაზახთა სადგომისკენ. მისი ღვაწლი დიდია. ის იყო პირველი, ვინც გზა გაკვალა მიუწვდომელ კავკასიაში არეულ დროში, როცა მთიელები ჯერ კიდევ არ იმალებოდნენ ხეობებში, როცა რუსეთი და სპარსეთი პატარა სამეფოების ბედს წყვეტდნენ, თუმცა განაჩენი ჯერ არ ჰქონდათ გამოტანილი. განათლებული თანამემამულეები მარად მადლიერები უნდა იყვნენ ბუნების სიძნელეებისა და საფრთხის წინაშე უდრეკის მიმართ. მას შემდეგ არავინ გაჰყოლია უკვე გაკვალულ გზას. გასაკვირია, რომ ორ ზღვას შუა არსებული სივრცე, რომელიც ძველ დროში განდიდებული იყო როგორც არაქებით, ისე ისტორიით, მაცდური არ აღმოჩნდა მეცნიერი მკვლევრებისთვის. თანამედროვეებმა დიდი მოგზაურობა განახორციელეს ბორეალურ ქვეყნებში. ისინი გაეცნენ ჰოლუსებს,

<sup>56</sup> საუბარია ბრიტანეთის ოსტინდოეთის კომპანიასზე, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისიდან 1874 წლამდე არსებობდა.

<sup>57</sup> იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1744-1781.) – ექიმი, ნატურალისტი, მოგზაური, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1771). იკვლევდა კავკასიას. მისი მთავარი ნაშრომია: *Güldenstädt J.A. Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge. Auf Befehl der Russisch-Kayserlichen Akademie der Wissenschaften herausgegeben von P.S. Pallas. St. Petersburg: Russisch-Kayserlichen Akademie der Wissenschaften. Bd 1. 1787; Bd 2. 1791.*

მაგრამ კავკასია უცნობი დარჩა. არავის გამოუკვლევია, არავის გაუზომავს.<sup>58</sup> არავინ სწევია ბუნებითა და ისტორიული მოგონებებით მდიდარ ამ მიწას, სადაც გულმოდგინე მკვლევრები აღმოაჩინენ მეცნიერების ყველა დარგის გასაღებს, სადაც ბუნებამ მიმოაბნია კომპარირი და მშვენიერებაც, სადაც ადამიანები იმდენადვე შეურყვნელნი და ამოუცნობი არიან, როგორც უფსკრულების წყვილი – ბუნების მიწისქვეშა ძალების საუნჯე, მაღალი კლდეები – წყლის ამოუწურავი წყაროები და ღრუბლებში მცურავი მთის მწვერვალები: კავკასია ის ადგილია, რომელსაც შეუძლია მეცნიერი ცნობილი გახადოს. ის ისეთივე ნაკლებად ათვისებულია, როგორც აფრიკის შუაგული, და უფრო ნაკლებადაა აღწერილი, ვიდრე კორდილიერები.<sup>59</sup> კვლევის სფეროში ის ჰუმბოლდტ-პროტეუსს<sup>60</sup> ელოდება. მეცნიერებას კი მოუწევს უცხოელისთვის დიდების გვირგვინის დადგმა და სახელის აღიარება, რაც საკუთრების უფლებით ჩვენი თანამემამულეების ხვედრია. დროა, შესრულდეს ეკატერინას დიადი ზრახვანი, რომელსაც სურდა რუსეთი მეცნიერების სფეროში ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოსთან გაჯიბრებული ეხილა, სახელოვანი, დიდი მონარქის წამოწყებანი, რომელიც განათლების ტაძრის მაცრ ქვებზე

---

<sup>58</sup> ერთ-ერთ წინა წერილში გადმოცემულია კლაპროტის დამსახურება: ისინი უმნიშვნელოა მისი წინამორბედ გილდენშტედტთან შედარებით. მისი მოგზაურობის ანგარიში ყურადსაღებია ლინგვისტიკისთვის (პ. ა. მუხანოვის შენიშვნა).

<sup>59</sup> პარიზის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ 1825 წელს დაადგინა ამოცანები მსოფლიოს ნაკლებად შესწავლილი ქვეყნების აღსაწერად: კირენე, კარამანია (პ. ა. მუხანოვის შენიშვნა).

<sup>60</sup> ალექსანდრე ჰუმბოლდტი (1779-1859) – გერმანელი ნატურალისტი, გეოგრაფი და მოგზაური, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი. მას ხშირად პროტეუსს უწოდებდნენ გენიის გამჭრიახობის გამო. მან გარკვეული სამეცნიერო აღმოჩენები იწინასწარმეტყველა. 1799-1804 წწ. იმოგზაურა ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. 1829 წელს იმოგზაურა რუსეთში – ურალზე, ალტაისა და კასპიის ზღვაზე. ომსკის ოლქში მას თან ახლდა ციმბირში გადასახლებული დეკაბრისტის ს.მ. სემენოვი. ჰუმბოლდტმა უადრესად მაღალი შეფასება მისცა თავის მეგზურს.

გამოისახება. თუ მეცნიერებს არ მოსწონთ თავიანთი დაკვირვების და ცდების ჩატარება ღენთის უსიამოვნო სუნის თანხლებით, ახლა ეს დაბრკოლება მათ აღარ ემუქრებათ: მოგზაურთა უსაფრთხოებაზე თავის დადება შეიძლება.

ჩვენ შევსწარით ახალ ამბავს, უჩვეულოს მეცნიერების მატიანეში, რომელიც შეიძლება მაგალითად გამოდგეს ყველა სამეცნიერო კვლევისთვის შემოარქვეყნაში. ჩვენს საუკუნეში დიდებისა და მეცნიერების შეთავსება მოხდა. პატივმოყვარე გმირმა, რომელიც ორი საუკუნის გასაყარზე ღვას, შემორული რისხვა და განსწავლულობის სინათლე დაამეგობრა და ორივე საუკუნე თანაბრად გააცისკროვნა. ნაპოლეონმა ეგვიპტეში მებრძოლ ჯარს მეცნიერთა საზოგადოება შეურთა. ამ მეცნიერებმა აღწერეს რეგიონი, რომელმაც მისი იარაღის სახელგანთქმული გმირობა იხილა. ეს სამეცნიერო შრომები უფრო დღეგრძელი აღმოჩნდა, ვიდრე სიბრძნის აკვნის დაპყრობა. მათ გაამართლეს ეს ახალი, მანამდე არნახული და ბრწყინვალე მაგალითი და იარაღის საფარქვეშ გმირობაც განხორციელდა. მონჟე, ბერტოლე, ფურნიე, ნური, ნოელი, ლარიელი, ჟირარდი, ანდრეოსი – ცნობილი სახელებია სამეცნიერო სამყაროში, მათ ჩამოაყალიბეს „ეგვიპტის ინსტიტუტი“.<sup>61</sup> ისინი ცხოველმყოფელი გენიის ორმაგი

<sup>61</sup> ეგვიპტის ინსტიტუტმა, რომელიც არსებობდა ნაპოლეონის არმიის ეგვიპტეში ლაშქრობის დროს, ხელი შეუწყო ეგვიპტიდან კულტურული ფასეულობების გამოტანას. მოგვიანებით ის საფრანგეთის ერთ-ერთ ცნობილ სამეცნიერო ინსტიტუტად გადაიქცა. ნაპოლეონმა მოახერხა ისეთი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების მიზიდვა თავის სამსახურში, როგორებიც იყვნენ მონჟე გასპარი (1783-1818), ფრანგი გეომეტრი; ბერტოლე კლოდ ლუი (1748-1822), ერთ-ერთი ცნობილი ქიმიის თეორეტიკოსი; ფურიე ჟან ბატისტ ჟოზეფი (1768-1829), ცნობილი ფრანგი მათემატიკოსი; ნური ლუი (1780-1831) – ნაპოლეონის ეპოქის საუკეთესო მომღერალი; ნოელ ჟან ფრანსუა მიშელი (1755-1841), ლექსიკოგრაფი, ფრანგული გრამატიკის ავტორი; ლარეი დომინიკ ჟანი (1766-1842), გამოჩენილი ფრანგი სამხედრო ქირურგი; ფირარდ ფილიპ ანრი (1775-1845), ფრანგი გამომგონებელი; ანტუან ფრანსუა ანდრეოსი (1761-1828), ფრანგი გენერალი და დიპლომატი და სხვ.

მიზნის მატარებელი თანამგზავრები იყვნენ და თავიანთი შრომით ეჯიბრებოდნენ გამარჯვების შვილების ღვაწლს – ზოგი დაფნას იხვეჭდა, სხვა – მუხის რტოს, რათა დიდებით აღსასვე გვირგვინი დაეწნათ.

აქვე აღვადგინოთ იმ ადამიანის მივიწყებული დიდება, რომელმაც ჭეშმარიტი სამსახური გაუწია სამეცნიერო სამყაროს – გავიხსენოთ პეტერბურგის აკადემიის წევრის ბიოგრაფია, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელგანთქმული, აყვავებული ევროპის<sup>62</sup> ყველა პალადიუმს გაეჯიბრა.

ა. გილდენშტედტი 1745 წლის 26 აპრილს დაიბადა რიგაში. მამამისი იმპერიის ობერ-კონსისტორიის მდივანი, მოგვიანებით გოფ-გერისტის ასესორი იყო. ის ჩვენი აკადემიკოსის<sup>63</sup> პირველი მასწავლებელი გახლდათ. სკოლაში ეს ახალგაზრდა შრომისმოყვარეობითა და გონიერებით გამოირჩეოდა და მალევე ჩაირიცხა რიგის ლიცეუმის უმაღლეს კლასში, სადაც წარმატებით განაგრძო სწავლა რექტორისა და პასტორის, ლოდერის<sup>64</sup> ხელმძღვანელობით. 1765 წელს იგი ბერლინში გაემგზავრა, სადაც ადგილობრივ სამედიცინო-ქირურგიულ კოლეჯში ჩაირიცხა.

ბერლინის საგანმანათლებლო დაწესებულებების დამსახურებაა, რომ ისეთმა დიდებულმა ადამიანმა, როგორც გილდენშტედტი იყო, ბერლინიდან გაუსვლელად შეიძინა უზარმაზარი ცოდნა

---

<sup>62</sup> ეს მოკლე ინფორმაცია აღებულია პეტერბურგის აკადემიური აქტების თანამედროვე ჟურნალიდან და პალასის თხზულებიდან (პ.ა. მუხანოვის შენიშვნა). პალას პეტერ სიმონი (1741-1811) – ბუნებისმეტყველი, გეოგრაფი და მოგზაური, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1767). მისი მთავარი ნაშრომია: „მოგზაურობა რუსეთის სახელმწიფოს სხვადასხვა პროვინციაში“, პეტერბურგი, 1773-1788, 1-3 ნაწილი.

<sup>63</sup> აკადემიკოსი – მ.ვ. ლომონოსოვი.

<sup>64</sup> იოჰან ლოდერი, პასტორი – როგორც ჩანს, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთში ცნობილი ექიმის, ხ.ი. ლოდერის (1753-1832), მამა.

მედიცინაში, ბოტანიკასა და ბუნების ისტორიაში. მეკელი<sup>65</sup> და გლედიჩი<sup>66</sup> მისი მთავარი მენტორები იყვნენ. იგი მცირე ხნით ფრანგ-ფურტში გაემგზავრა, სადაც 22 წლის ასაკში დოქტორის ხარისხი მიიღო. ბუნებისმეტყველთა იჯურმა საზოგადოებამ იგი საკუთარ წევრადაც დაასახელა.

მალე გილდენშტედტის წინ ის ასპარეზი გადაიშალა, რომლითაც მან სახელი გაითქვა. 1767 წელს, იმპერატორ ეკატერინეს ბრძანებით, სამეცნიერო მოგზაურობები განხორციელდა რუსეთის იმპერიის ყველა რეგიონში, ნაწილობრივ 1768 წლის ვენერას მოძრაობის დასაკვირვებლად, განსაკუთრებით კი მიწების გეოგრაფიკისა და ბუნების აღსაწერად. აკადემიამ, გლედიჩის რეკომენდაციით, გილდენშტედტი გამოიძახა. 1768 წლის აპრილში იგი პეტერბურგში ჩავიდა. თავდაპირველად მას ასტრახანის გუბერნიაში წასვლა უბრძანეს, მაგრამ შემდეგ, გმელინის<sup>67</sup> წინადადებით, რომელმაც ეს მოგზაურობა სპარსეთსა და საქართველოში განავრცო, მისი დავალება შეიცვალა.

გილდენშტედტის მოგზაურობა შვიდი წელი გაგრძელდა. ეს იყო მისი ცხოვრების მთავარი პერიოდი და ეპოქად იქცა. ამიტომაც ზოგად მიმოხილვას იმსახურებს.

1768 წლის ივნისის შუა რიცხვებში იგი პეტერბურგიდან გაემგზავრა, მოინახულა დვინას, დნეპრის, ვოლგას, დონის სათავეები და მოსკოვში გამოიშამთრა. 1769 წლის მარტში გილდენშტედტი, ვორონეჟის, ნოვოხოპერსკისა და ცარიცინის გავლით, ასტრახანში ჩავიდა, ხოლო იქიდან ზამთარში ყიზლარში წავიდა, თურგზე, სადაც 1770 წლის 23 იანვარს ჩავიდა. იმავე ზამთარში იგი აკადემიის

<sup>65</sup> იოან მეკელი (1714-1774) – 1751 წლიდან ანატომიის პროფესორი ბერლინში. ცნობილია მისი შრომები პერიფერიული ნერვული სისტემის სფეროში.

<sup>66</sup> იოჰან გოტლიბ გლედიჩი (1715-1774) – გერმანელი ბოტანიკოსი და მეტყვე.

<sup>67</sup> გმელინი სამუელ გოტლიბ უმცროსი (1745-1774) – მოგზაური-ნატურალისტი, რომელმაც 1768 წელს კასპიის ქვეყნები შეისწავლა.

ასისტენტი გახდა. იმოგზაურა მდინარეების: თურგის, კუმბელის, სუნჯას, აქსაის მიმდებარე მიწებზე, შეისწავლა წყაროები და ნავთობის ჭაბურღილები, ასევე, კავკასიონის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. 1771 წლის გაზაფხულზე იგი ეწვია ოსეთს და უამრავი გეოგრაფიული ცნობა შეაგროვა, აღწერა იქაური ხალხები და ჰირველი იყო მთელ ევროპაში, რომელმაც კომენტარი გააკეთა მათ ენებზე. იმავე წლის აპრილში აკადემიამ იგი საკუთარ წევრად და ბუნებისმეტყველების ისტორიის პროფესორად დაასახელა. მაისში იგი თურგის მახლობლად მდებარე ცხელი წყაროებისკენ გაემართა და მათი შესწავლა დაიწყო. ივლისსა და აგვისტოში ის მცირე ყაბარდოში იმყოფებოდა, ყაბარდოელ უფლისწულ არლან-ბეგ ტაუ-სულთანთან და მის ნათესავ ღვლეთუკ-კელემუტთან ერთად, და დიგორის ოლქი შემოიარა. სექტემბერში იგი მთების გავლით მშვიდობით ჩავიდა საქართველოში, სადაც საზეიმო აღდიენცია ჰქონდა მეფე ირაკლისთან; მეფემ ის კეთილგანწყობით მიიღო და შეიყვარა, განსაკუთრებით, მისი სამედიცინო განსწავლულობის გამო. მეცნიერი პროფესორი მეფესთან ერთად მდინარე მტკვრის გასწვრივ მდებარე ბანაკში გაემგზავრა; ტფილისში 1772 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე დაჰყო, სადაც კვლევებს ატარებდა, შემდეგ მეფესთან ერთად კახეთში გაემგზავრა. მაისში თავად დავით ერისტოვთან (ერისთავთან), კეთილშობილ ქართველ მაგნატთან ერთად, რომელიც მის სამედიცინო ცოდნას იყენებდა, ტფილისის სამხრეთით მდებარე ტურეკიმენის მხარეში გაემგზავრა. ივნისში მან კავკასიის ალპების კიდევ ერთი ნაწილი მოიარა და 7 ივლისს იმერეთის მეფის, სოლომონის, სამფლობელოში გადავიდა. ზაფხულში მან მოიარა რაჭის მხარე, ქვემო იმერეთი, სამეგრელოსა და საქართველოს<sup>68</sup> საზღვრები, იმერეთის აღმოსავლეთი ნაწილი და ცენტრალური საქართველო. მის მოგზაურობაში განსაკუთრებით კარგად არის აღწერილი სამეგრელოს დასავლეთი მხარე და იმერეთი. ბოლოს, მრავალი საფრთხის გავლის შემდეგ, 7 ნოემბერს იგი მშვიდობით დაბრუნდა რუსეთის საზღვრებში, მოზდოკში.

<sup>68</sup> იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო.

ზამთარში კავკასიელი ხალხების შესახებ ცნობები შეივსო.

1775 წლის აპრილში, მძიმე ცხელების გამო, ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად ჰეტრეს წყაროებზე გაემგზავრა. ივნისში ის ყაბარდოელი უზდენის და ყაბარდოელი თავადის, კურგოჯ თათარხანოვის თანხლებით მალკასკენ დაიძრა; ჩავიდა დიდ ყაბარდოში, დაბრუნდა ბეშტის მთებში, მოინახულა მიმდებარე ქვეყნები და ყუმზე მაძჰარის ნანგრევები; შემდეგ სტეპები გაიარა დონამდე და ივლისში ჩერკასკში ჩავიდა. აქედან აზოვზე გაემგზავრა, დონის შესართავამდე, მოიარა აზოვის ზღვის სანაპიროს ნაწილი და შემოდგომაზე კრემენჩუგს მიადგინა. აქ მან ზამთარი და 1774 წლის ზაფხულის ნაწილი დაჰყო, იმოგზაურა ნოვოროსისკის მხარეში და ეკატერინოსლავის საადგილმამულოში. ყირიმში წასვლა სურდა, მაგრამ მაშინდელმა სამხედრო ვითარებამ ხელი შეუშალა და მალევე მიიღო ბრძანება ჰეტერბურგში დაბრუნებულიყო. დარჩენილი დროის მაქსიმალურად სარგებლიანად გამოყენების მიზნით გილდენშტედტმა შემოიარა იმდროინდელი უკრაინის ხაზი, იყო ბახმუტში, კიევში. 1775 წლის 2 მარტს იგი ჰეტერბურგში დაბრუნდა. არყოფნის დროს გილდენშტედტი თავისუფალი ეკონომიკური საზოგადოების, ბერლინის ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა და ერფურტის აკადემიის წევრად აირჩიეს.

საზოგადო სარგებლისკენ სწრაფვამ, რაც ამ მეცნიერის მთავარი თვისება იყო, აიძულა იგი 1779 წელს დაეარსებინა სამკითხველო ბიბლიოთეკა ყოველგვარი ანგარების გარეშე, რომელსაც შემდგომში მისი მეგობარი ეილერი<sup>69</sup> ედგა სათავეში. ისეთივე უანგარობით მუშაობდა იგი ეკონომიკური საზოგადოებისთვის.

საზოგადო სარგებლის სიყვარული იყო გილდენშტედტის ნადარვეი სიკვდილის მიზეზიც. 1781 წელს ჰეტერბურგში მუცლის ტიფი მძვინვარებდა. გილდენშტედტი ბევრს დაეხმარა, მაგრამ

<sup>69</sup> იოან-ალბრეხტ ეილერი (გერმ. Johann Albrecht Euler, 1734-1800) – მათემატიკოსი, ასტრონომი და ფიზიკოსი, 1766 წლიდან ფიზიკის პროფესორი და ჰეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მდივანი. ცნობილი მათემატიკოსის, ლეონარდ ეილერის, უფროსი ვაჟი.

მაღე თვითონ დაავადდა და 1781 წლის 23 მარტს, 56 წლის ასაკში, გარდაიცვალა.

არც ისე ბევრ მეცნიერს გაუწევია ასეთი მნიშვნელოვანი სამსახური თავისი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში“.

პიოტრ მუხანოვის ნარკვევიდან ნათელია, რომ ის არა მხოლოდ აღწერს კავკასიის მნიშვნელობას, როგორც ბუნებრივი და ეთნოგრაფიული კვლევის სამიზნეს, არამედ აღფრთოვანებით საუბრობს იმ მეცნიერზე, რომელმაც პირველად დაიწყო ამ რეგიონის სრულყოფილად შესწავლა – პეტერბურგის აკადემიის აკადემიკოსსა და ბუნებისმეტყველ იოჰან ანტონ გიულდენშტედტზე (1745-1781). ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა უცნობ ტერიტორიაზე მეცნიერის მოგზაურობის ქრონიკას, რაც არა მხოლოდ ბიოგრაფიული ხასიათისაა, არამედ მჭიდროდ არის დაკავშირებული იმპერიის პოლიტიკურ, გეოგრაფიულ და სამეცნიერო მისწრაფებებთან. ავტორი მის სახელს ახსენებს წითელ ხიდზე საუბრისას და ამგვარად ანიჭებს სიმბოლურ მნიშვნელობას ისტორიული ფაქტს – სამეცნიერო ქარავნის გზის დასაწყისს. ავტორის მიერ გამოყენებული პათეტიკური ტონალობა, მითოლოგიზირებული ლექსიკა ხაზს უსვამს იმედს, რომ რუს მეცნიერს შეუძლია ევროპული პრესტიჟის მოპოვება ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე.

ავტორი ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე რომ კავკასია, მიუხედავად თავისი ბუნებრივი სიდიადისა და ისტორიული სიმდიდრისა, მეცნიერულად კვლავ უცნობი სივრცეა. ის მიაჩნდება, რომ თანამედროვე ეპოქაში შესაძლებელია მეცნიერებისა და სამხედრო მიზნების შერწყმა, რაც გიულდენშტედტმა განახორციელა მშვიდად, იარაღის გარეშე. პიოტრ მუხანოვი მოუწოდებს თანამემამულეებს, რომ არ დაელოდონ „უცხოელ ჰუმბოლდტს“, არამედ სამშვიდობო მისიით მეცნიერების მიერ შექმნილი ახალი ცოდნა სახელმწიფოს ექსპანსიური მიზნებისთვის

გამოიყენონ და კავკასიაში იმოქმედონ პრინციპით – სამეცნიერო კვლევა, როგორც სტრატეგიული ინსტრუმენტი.

მწერალი აღნიშნავს, რომ „ინგლისელები გაღიზიანებით უყურებენ ჩვენს აღორძინებულ ვაჭრობას აღმოსავლეთთან“, რაც ცხადყოფს, რომ კავკასია არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ ეკონომიკურადაც ქცეულია სტრატეგიულ ღერძად. დომინირებს ერთგვარი „გეოეკონომიკური მზერა“: ინდური კომპანიის გავლენა ირანში, ერმოლოვის მისია კავკასიაში – ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ მეცნიერების ზნეობრივი იდეალები ვერ ეთიშება პოლიტიკური სარბიელზე გამოსულ ძალებს. ამ კონტექსტში მეცნიერება წარმოდგენილია როგორც იარაღი, და ამაზე პირდაპირ უთითებს ავტორი ფრაზით: „ხმალი და კალამი საშინელი იარაღია მცოდნე ხელში“. აქვე ჩანს ნარკვევის ერთ-ერთი მთავარი მოტივი – მეფეებისა და იმპერიების ინტერესთა სამსახურში მეცნიერების ჩაყენება. ამით ნარკვევი სამეცნიერო კოლონიზაციის იდეას გვთავაზობს, სადაც „აღმოჩენა“, სინამდვილეში, „მბრძანებლობის“ ნაწილია. ავტორის პათოსი ემსახურება ორი მიზნის შეთავსებას – რუსეთის სამეცნიერო ავტორიტეტის გამყარებასა და იმ სივრცის, როგორცაა კავკასია, „ცივილიზაციის“ რუკაზე დამკვიდრებას. გიულდენშტედტის ექსპედიცია ერთდროულად წარმოჩენილია როგორც გმირული მეცნიერული თავგადასავალი და როგორც იმპერიული სტრატეგიის ნაწილი.

რუსი მწერლის ნარკვევი წარმოადგენს ავთენტურ პირველწყაროს, რომელშიც ასახულია XIX საუკუნის დასაწყისის სამხრეთ კავკასია თავისი გეოგრაფიული და არქიტექტურული ცნობების მაღალდოკუმენტური ღირებულებით; მასში მკითხველი გაეცნობა ეთნოგრაფიულ დაკვირვებებს მოსახლეობის მობილობის, ვაჭრობის, ყოფითი კულტურისა და მეხსიერების ფორმირების შესახებ. ნარკვევი იმპერიული ხედვის, კოლონიური წარმოდგენების ანალიზისთვის გამოსადეგი წყაროა.

### § 3. ელისავეტპოლის ველი (წერილი საქართველოდან)

პიოტრ მუხანოვის ნარკვევი – „ელისავეტპოლის ველი“ – წერილის სახით გაგზავნილია საქართველოდან ჟურნალ „მოსკოვსკი ტელეგრაფში“ გამოსაქვეყნებლად. ნარკვევი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ წყაროს XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამხრეთ კავკასიის სოციალური, ბუნებრივი, კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალიების შესასწავლად. ის დაწერილია მხატვრულად, თუმცა, ამასთანავე, ტექსტში მკაფიოდ იკვეთება მწერლის ადმინისტრაციულ-სტრატეგიული ხედვა. წერილი გამოხატავს კლასიკურ რუსულ იმპერიულ იდეოლოგიას, რომელიც ერთდროულად შეიცავს კულტურული ადმატებულობის განცდას, ადმოსავლეთის ეგზოტიკურობასა და მის „დასამორჩილებელ“ ბუნებასთან დამოკიდებულებას.

*„წითელი ხიდი დიდებული ბუნების საზღვარი იყო. ელისავეტპოლის<sup>70</sup> ვაკუზე<sup>71</sup> შევდით და მე სინანულით გამახსენდა საუკუნოვანი ლოდები, ბნელი ხეობები, ღრუბლებში გახვეული მთების მარადიული თოვლი, ვენახებით დაფარული ველების არომატი და ბროწეულის ბუჩქების მეწამული. რა მოულოდნელი და შემზარავი კონტრასტია! თვალი არ ხვდება არცერთ სიმაღლეს, არც ხეს, არც სიმწვანეს, არცერთ სულიერს: ის მხოლოდ სივრცეს, მხოლოდ სევდიან შორეთს ხედავს. მცხუნვარე მუემ ყველაფერი დაწვა, მიწა*

<sup>70</sup> ელისავეტპოლი – დღევანდელი განჯა.

<sup>71</sup> პიოტრ მუხანოვი ყარაბაღისკენ მტკვარ-არაქსის დაბლობით მიდიოდა, დაახლოებით ამჟამინდელი თბილისი-განჯის საავტომობილო გზით. ვრცელი მომიშვებული სივრცე, რომელიც მტკვრის მაღალი ნაპირების გამო არხებით ვერ ირწყვებოდა, ამ მიწას საცხოვრებლად და სოფლის მეურნეობისთვის უვარგისს ხდიდა. (წიგნის *Муханов П.А. Сочинения и письма. Издание подготовлено Г. В. Чагиним. Иркутск, Восточно-Сибирское книжное издательство, 1991 - შემდგენლის კომენტარი*, გვ. 425-426).

გამომრა და მტვრად იქცა; მისი მოქუშული მოთეთრო ფერი, სიცხისგან გამომშრალი და ქარისგან ხალიჩაშემოგლეჯილი – ყვლაფერი სევდიან სიშიშვლეს წარმოადგენს, ბუნების ერთ უსიცოცხლო გვამს. მაცხოვრებლებმა, ამ უსიცოცხლობის შიშით, უდაბნო მიატოვეს – მთებში გაიხიზნენ სიგრილის, ხოლო ჯოგებისთვის – საკვების საძიებლად; მხეცები სოროებსა და შორეულ ლელქაშში იმალებიან და სადამოს ბინდს ელიან სანადიროდ გამოსასვლელად; მხოლოდ მსუბუქი, სიცხის მოყვარული ქურციკები დახტიან მინდვრებში და გამხმარ ბლახს ეძებენ. მოგზაური მარტოა კვდომის ქვეყანაში, სივრცის სიცარიელეში ჩკარგული: არაფერი მოასწავებს სიცოცხლეს – ის თავად არ არსებობს. გაოგნება და სიამოვნება დაღუძებულან, მხოლოდ სინანული ამოძრავებს მის სულს, მხოლოდ ტანჯვა აიძულებს, გრძნობდეს! მზემ ახალი მსხვერპლი იპოვა: აცხუნებს, წყურვილით ტანჯავს, ის კი ვერ ბედავს მის მოკვლას მდინარე-ნაკადულებში გარდაუვალი დასნეულების შიშით. ჰერი შეხუთულია, მომაკვდინებელი, სიგრილე არსადაა, დასვენების ადგილი იმავე მცხუნვარე ცის ქვეშაა; ერთი იშვიათი ღრუბელი, რომელიც ძლივს შესამჩნევია ცის კიდეზე, ზოგჯერ ჩრდილავს მიწის ნაგლეჯს. მთებიდან მონაბერი ქარი მგზავრს არ აგრილებს, პირიქით, მძაფრი და დამღუპველია... დგება სადამო და მთვარე, რომელმაც უპირატესობა მოიპოვა მზეზე, ცაზე ჩნდება და დედამიწას საამო, დალოცვილ სიბნელეში ხვევს.

აი, უზარმაზარი ზეგანის სურათი, რომელიც არარატის მთისწინეთის და მტკვრის დინებითაა შემოსაზღვრული თვით არაქსამდე. უსიამოვნოა ეს მოგზაურობა სევდის ქვეყანაში და მე რამდენჯერმე ვინანე, რომ გენერალ ერმოლოვის მიერ ახლად გაყვანილი ზედა გზით<sup>72</sup> არ წავედი. დაავადებებმა, რომლითაც მოგზაურები სნეულებიან, წყურვილის მოკვლამ და საკვებაში თავმუუკავებლობამ, სა-

<sup>72</sup> მუხანოვი საუბრობს საქართველოს სამხედრო გზაზე და მის სამხრეთით გაგრძელებაზე, რომლის მშენებლობა რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ განაახლა.

გუმაგობზე ხალხის შემზარავმა სიკვდილიანობამ, ერმოლოვი აი-  
ძულა გზა მთებში გადაეტანა და, მიუხედავად დიდი სირთულისა,  
ეს გზა ურმებისთვისაც მოსახერხებელი გახდა. მდიდარ რეგიონში  
აუცილებელი მიმოსვლის და კავშირის მოწყობა საქართველოს  
ადგილმფროსის განსაკუთრებული საზრუნავია და, მიუხედავად  
იმისა, რომ ამ რთულ საქმეში მოსახლეობაც მონაწილეობს, მაინც  
დიდად მადლიერები არიან მისი, როგორც პირველის, ვინც შიდა კა-  
ვშირგაბმულობაზე იზრუნა. ამ მდიდარი მხარის ნაწარმის გაყიდვა  
უდავოდ მოსახერხებელი გახდება და ხელს შეუწყობს შიდა სიმდი-  
დრის სხვადასხვა დარგის განვითარებას.

სპარსელთა მმართველობის დროს დიდებული განჯის<sup>73</sup> ნახვის  
და ნაკლებად ცნობილი და აღუწერელი მხარის სხვადასხვა დაბრკო-  
ლების გაცნობის სურვილმა ძველი გზის გავლა მაიძულა. მთები,  
მღელვარე, ჯიუტ მდინარეებზე გადებული არამყარი ხიდები, ვარდ-  
ნისთვის გამზადებული დაკიდებული ლოდები, კლდეების ფერდო-  
ბებზე ცხენების ჩლიქებით გაკვალული ბილიკები, უძირო ხეობები  
საშიშად მეჩვენებოდა, მაგრამ მზის მოქმედება კიდევ უფრო აუტა-  
ნელი იყო.

ზაგამის საგუმაგოს მარჯვნივ მამქორის გერმანული კოლონია<sup>74</sup>  
მდებარეობს, რომლის მოსახლეები წარმოშობით ვიურტემბერგი-  
დან არიან. გერმანელებმა, სავარაუდოდ, აღმოსავლეთის მაწანწალა  
მკვიდრთაგან გადაიღეს საცხოვრებელი ადგილის ცვლის ჩვევა და  
ახლა მთელ მსოფლიოში სახლდებიან. კავკასიონის ქედმა გერმა-  
ნელები ვერ შეაჩერა: ისინი აქ 1818 წელს დასახლდნენ. ამ კოლო-  
ნიამ რუსეთში სხვადასხვა უცხო ტომის წარმომადგენლებისთვის  
ჩვეული უპირატესობებით ისარგებლა და მალევე მიაღწია კეთილ-

<sup>73</sup> განჯა (აზერ. Gəncə) – ქალაქი აზერბაიჯანში. განჯას ყოფილი სახელ-  
წოდებია: ელიზავეტპოლი 1804-1920 წლებში, 1920-1935 წლებში გან-  
ჯა, 1935-1991 წლებში კიროვაბადი. 1804 წელს პ. ციციანოვმა ქალაქი  
მტურმით აიღო და მას ელისავეტპოლი ეწოდა.

<sup>74</sup> მამქორის გერმანული კოლონია – ანენფელდი, რომელიც დაარსდა  
1819 წელს.

დღეობის იმ დონეს, რომლისკენაც ადგილობრივი მოსახლეობა ამოვლ მიიღობის. კოლონიტები მიწათმოქმედებით, ხელოსნობითა და ვაჭრობით არიან დაკავებულნი.

გერმანელები დიდი ხნის განმავლობაში ვერ ეგუებოდნენ აზიის ჰავას და სიცხეს. ბევრი სახლი დაცარიელდა: მათში არც მამა დარჩა და არც შვილები. ყველაფერში მტკიცებულების მაძიებელი უჩქარებელი გერმანელები საკუთარი სამწუხარო გამოცდილებით დარწმუნდნენ მათთვის მიცემული რჩევის სარგებელში – ეტარებინათ თბილი სამოსი და ბეწვის ქუდები, ანთებისგან დამცავი ტანსაცმელი, რომელიც უკლებლივ ყველას ემართება.

კოლონიიდან დაახლოებით 10 ვერსის დაშორებით, ყარაბადის დიდ გზაზე, უძველესი ქალაქის შამქორის<sup>75</sup> ნანგრევები მოჩანს. უზარმაზარი ხიდის ნაშთები, ქვების გროვა მის გარშემოწერილობასა და სიდიდეს აჩვენებს. უძველესმა მინარეთმა, რომლის სიმაღლეც 23 საყენამდეა, ხოლო დიამეტრი – 5 საყენი, დროსა და გაუთავებელ თავდასხმებს გაუძლო: ის ამაყად გადმოჰყურებს ქვების გროვას და მოგზაურებს თავისი მშვენიერი მორთულობით აოცებს. ის სამშენებლო საქმის სრული გათვლითაა აგებული, ხოლო თავისი გარეგნობით დანიშნულებას შესაბამება“.

ნარკვევის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პიოტრ მუხანოვი წერს არა როგორც დამოუკიდებელი მოგზაური, არამედ როგორც რუსეთის იმპერიის წარმომადგენელი, რომელიც აკვირდება და, ამავე დროს, ახასიათებს იმ სივრცეს, სადაც იმყოფება. ტექსტში ბუნების აღწერის ძლიერი ემოციური ტონი არა მხოლოდ ფოზიკურ რეალობას, არამედ ავტორის ფსიქოლოგიურ განწყობას – მოწყვეტის, განცალკევების და „ცივილიზებული სამყაროსგან შორს ყოფნის“ შეგრძნებას – ასახავს. ამით

<sup>75</sup> შამქორი (აზერ. Şamkir) – ქალაქი აზერბაიჯანში. განჯის სახანოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დროს, 1803 წელს შამქორი რუსეთის ჯარებმა დაიკავეს და რუსეთს შეუერთეს.

კავკასიის ველი ხდება „ცხოვრებისა და სიკვდილის საზღვარზე“ არსებობის მეტაფორა; იქაური უღმობელი სიცხე და შიშველი ჰორიზონტი აღიქმება როგორც იმ სივრცის გამოხატულება, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დაპყრობილი და სრულად გაერთიანებული რუსულ სისტემაში. გარემოს აღწერა იმავდროულად გაჯერებულია სამედიცინო და ჰიგიენური დისკურსით – საუბარია წყლის დეფიციტზე, სიცხეზე, დაავადებებზე, რაც მოგზაურობას ფატალურობას მატებს და, ამავე დროს, იმპერიისადმი ერთგულების განცდას აჩენს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი წყაროში დაკავშირებულია ა. ერმოლოვის მმართველობის პერიოდში გაყვანილ გზებსა და კავშირგაბმულობის განვითარებასთან. ავტორი ხაზს უსვამს გზების პოლიტიკურ-სტრატეგიულ მნიშვნელობას და აღნიშნავს: „ამ მდიდარ მხარეში აუცილებელი მიმოსვლისა და კავშირის მოწყობა საქართველოს ადგილუფროსის განსაკუთრებული საზრუნავია“. ეს მონაკვეთი ასახავს იმპერიულ სახელმწიფო ინტერესს ტერიტორიების გეოგრაფიულ-სტრატეგიული ინტეგრაციის მიმართ, რაც, რეალურად, რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ერთ-ერთი ბირთვი იყო. გზის მშენებლობა არა მხოლოდ მიმოსვლის, არამედ მმართველობის მექანიზმსაც წარმოადგენდა, რადგან, მათი აზრით, გზის გაყვანა ნიშნავდა „ცივილიზაციის“ დამკვიდრებას.

მნიშვნელოვანია ნაწყვეტი ეთნიკურ თემაზე, კერძოდ, შამქორის გერმანულ კოლონიაზე, რომელიც ასახავს იმდროინდელ რუსულ პოლიტიკას ეთნიკური კოლონიზაციის მეშვეობით ტერიტორიის ინტეგრაციისა და განვითარებისთვის. „მაღევე მიადღია კეთილდღეობის იმ დონეს, რომლისკენაც ადგილობრივი მოსახლეობა ამაოდ მიიღტვის“. ეს ფრაზა უკიდურესად მნიშვნელოვანი დაკვირვებაა იმპერიულ იერარქიაზე, სადაც ევროპელი კოლონისტები წარმოადგენენ „წარმატების მოდელს“, ხოლო ადგილობრივი ეთნოსები განიხილება როგორც ჩამორ-

ჩენილი მასა. ამით პ. მუხანოვის ტექსტი გვაწვდის ინფორმაციას რუსეთის ეთნიკურ პოლიტიკასა და საგანმანათლებლო-ეკონომიკური სისტემის ღირებულებით იერარქიაზე.

შამქორის ნანგრევების აღწერა საინტერესოა, როგორც კულტურული მემკვიდრეების მაგალითი. ავტორი აღნიშნავს მინარეთის სიდიადეს, გამძლეობას და არქიტექტურულ სრულყოფილებას, რაც იშვიათია იმდროინდელ რუსულ მასალებში, სადაც მუსლიმური კულტურა ხშირად უგულებელყოფილია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ იმპერიული უპირატესობის ზოგადი აქტის ფონზეც კი პიოტრ მუხანოვი აღნიშნავს ადგილობრივი ცივილიზაციის ისტორიას და ღირებულებას.

პიოტრ მუხანოვის „ელისავეტპოლის ველი“ წარმოადგენს მრავალფეროვან ისტორიულ წყაროს, რომლის ღირებულება განპირობებულია არა მხოლოდ ფაქტობრივი სიზუსტით, არამედ იმითაც, რომ ის ასახავს იმპერიული პოლიტიკის გავლენას კულტურაზე, ლანდშაფტზე, მემკვიდრეობასა და ძალაუფლებაზე.

## თავი II

---

### ეკატერინა ლაჩინოვა კავკასიაში

ეკატერინა პიოტრის ასული ლაჩინოვა (1810, სამარა – 1896, მოსკოვი) იყო რუსი მწერალი, რომელიც მუდამ ფსევდონიმებით წერდა. ის იყო მდიდარი მემამულის, პიოტრ ივანის ძე შელაშნიკოვის, პირველი შვილი. 1830 წელს ცოლად გაჰყვა ფლიგელ-ადიუტანტ, პოლკოვნიკ ნიკოლაი ემილიანის ძე ლაჩინოვს (1795–1876). 1836-1840 წლებში იგი მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა კავკასიაში. ნ. ლაჩინოვი მსახურობდა კორპუსის შტაბში და მეთაურობდა რუსული არმიის ბრიგადას.

ეკ. ლაჩინოვა კავკასიაში ყოფნისას, ძირითადად, სტავროპოლსა და თბილისში ცხოვრობდა. სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლების მაღალ წრეებში ტრიალებდა. 1840 წელს მისი მეუღლე, გენერალ-მაიორის ჩინით თადარიგში გავიდა და ვორონეჟის გუბერნიაში, საკუთარ მამულში დასახლდა. ამის შემდეგ მათი ქორწინება ფაქტობრივად დასრულდა. რამდენიმე წლის განმავლობაში ეკატერინა ლაჩინოვა ქმრთან ოფიციალურ განქორწინებას ცდილობდა, მაგრამ 1850 წელს სინოდისგან საბოლოო უარი მიიღო. მწერალი ქალბატონი გარკვეული პერიოდი კავკასიაში დარჩა, შემდეგ ოდესაში, სმოლენსკის გუბერნიასა და მოსკოვში ცხოვრობდა.

1838 წელს ჟურნალის – „ბიბლიოთეკა კითხვისთვის“<sup>76</sup> – 30-ე ტომში გამოქვეყნდა მოთხრობა „ზოგიერთი ფაქტი და მოსაზრებები ქმრებისა და ოჯახური ბედნიერების შესახებ, ამოკ-

---

<sup>76</sup> „ბიბლიოთეკა კითხვისთვის“ (რუს. Библиотека для чтения) – პეტერბურგში 1834-1865 წლებში გამომავალი პირველი დიდტირაჟიანი, უნივერსალური შინაარსის ყოველთვიური ჟურნალი.



გრიგოლ გაგარინი. რუს ჯარებსა და ჩერქეზებს შორის ბრძოლა  
აბატილასთან. 1841 წლის 8 მაისი



გრიგოლ გაგარინი. თბილისი, ბაზრის მოედანი, 1847 წ.



გრიგოლ გაგარინი. თბილისი, 1847 წ.

რებილი ორი ქალის მეგობრული მიმოწერიდან“.77 ავტორად მითითებული იყო კლეოპატრა ლეონიდოვა. ინგლისელი მოგზაურის, ანნა ლისტერის<sup>78</sup> დღიურიდან (რომელიც ე.ვ. ლაჩინოვას 1840 წლის აპრილ-მაისში თბილისში შეხვდა) ირკვევა, რომ „კლეოპატრა ლეონიდოვა“ ეკატერინა ლაჩინოვას ლიტერატუ-

<sup>77</sup> Леонидова Клеопатра. Некоторые факты и мысли о мужьях и супружеском счастье, извлеченные из дружеской переписки двух женщин. «Библиотека для Чтения». 1838. т. 30. Отд. I. с. 17-88.

<sup>78</sup> ანნა ლისტერი (ინგლ. Anne Lister; დ. 03.04.1791, ჰალიფაქსი, ინგლისი, - გ. 22.09.1840, ქუთაისი) - ინგლისელი მემამულე და მოგზაური. ცნობილია ვრცელი დღიურებით, რომელშიც დაწვრილებითაა გადმოცემული მისი ყოველდღიური ცხოვრება. დღიურების კოდირებულ ნაწილში ასახულია ლისტერის ცხოვრების ინტიმური ეპიზოდები და სასიყვარულო ურთიერთობები ქალებთან. ღიად გაცხადებული სექსობრივი ორიენტაციის გამო მას ხშირად „პირველ თანამედროვე ლესბოსელს“ უწოდებენ. გარდაიცვალა საქართველოში მოგზაურობის დროს. ანნა ლისტერს ზოგჯერ „ჯენტლმენ ჯეკის“ მეტსახელითაც მოიხსენიებდნენ. კავკასიის მთიანეთში მიმდინარე ბრძოლების გამო ხშირად მას სამხედრო ესკორტის თანხლებით უხდებოდათ გადაადგილება. ადგილობრივი მთიელები ორ მოგზაურ ქალბატონს, ლისტერისვე თქმით, ისე აკვირდებოდნენ, როგორც „უცხო ცხოველებს“. საქართველოში ლისტერი და მისი თანამგზავრები დარიალის ხეობით შემოვიდნენ და სამხედრო გზით 1840 წლის 12 აპრილს თბილისში ჩამოვიდნენ. კავკასიის მთავარმმართველის, ევგენი გოლოვინის ცოლმა სტუმრები თბილისის არისტოკრატიას წარუდგინა. ლისტერმა გაიცნო ალექსანდრე ჭავჭავაძე და მისი ქალიშვილები – ეკატერინე და ნინო, სომეხი მწერალი ხაჩატურ აბოვიანი, ინტელიგენციის და სამხედროების სხვა წარმომადგენლები. ჭავჭავაძეების ოჯახს მოგზაურზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ლისტერმა მრავალი სალოცავი და ხუროთმოძღვრული ძეგლი დაათვალიერა, მათ შორის, ანანური, სვეტიცხოველი და გელათის მონასტერი. მონახულებული ადგილების აღწერისას ხშირად ურთავდა კალმით შესრულებულ ჩანახატებს. 1840 წლის ივნისში ანნა ქუთაისს ეწვია, სადაც მოტლანდიელი მეზღვე იაკობ მარი გაიცნო, შემდეგ კი ზუგდიდში იმოგზაურა. სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა მისი თავისუფალი მიმოსვლა სპეციალური საშვით უზრუნველყო. სამეგრელოში ლისტერს ტკიპამ უკბინა, ცხელება განუვითარდა და 23 სექტემბერს ქუთაისში დაბრუნებული გარდაიცვალა.

რული ფსევდონიმი იყო.<sup>79</sup> ანნა ლისტერის დღიურში შემონახულია საინტერესო მოგონებები ეკატერინა ლაჩინოვასთან შეხვედრებისა და პრივატული საუბრების შესახებ. ინგლისელი მოგზაური მას განათლებულ, მომხიბვლელ და სასიამოვნო ქალბატონად ახასიათებს, რომელმაც საკუთარი თავის ფასი იცოდა და ტკებობდა მამაკაცების ყურადღებით. საზოგადოება მის აზრს გულისყურით ისმენდა და ანგარიშსაც უწევდნენ.

„ის ყველგან მოგზაურობს, სრულიად თავისუფლად, ქმარს ხანგრძლივად ტოვებს. თავისუფლად შეუძლია ერთი თვით მოსკოვში წავიდეს. ან ჯერ კახეთში წავიდეს, მერე კი – მოსკოვში. ვარშავის გავლით ვენაში მიეშურება, ვენიდან – ფლორენციასა და რომში. ზამთარს კი ნეაპოლში ატარებს... ამჟამად წერს დიდ ისტორიულ ნაშრომს, თუმცა რომანის ფორმით. ვკითხე, რატომ უარყო სერიოზული სამეცნიერო ჟანრი. ლაჩინოვამ მითხრა, რომ კრიტიკის ეშინია. გარდა ამისა, ისტორიული ჩანაწერების შედგენა დიდი პასუხისმგებლობაა – ბევრი რამ უნდა შეისწავლო, ბევრი იცოდეს; ხოლო რომანი, უფრო მსუბუქი და ნაკლებად მომთხზვნე ჟანრია. მთავარი კარგი სტილი და მარტივი თხრობის მანერაა. თქვა, რომ, როცა ასაკში შევა, შესაძლოა, საზოგადოებას ჩამოშორდეს, თავი სამეცნიერო საქმიანობას მიუძღვნას და დაწეროს დიდი ისტორიული ნაშრომი – შეაგროვოს რუსი ოფიცრების ჩანაწერები და მემუარები, არქივებში ჩაეფლოს. და დაწერს წიგნს, რომელიც, მისი აზრით, ძალიან საინტერესო იქნება... ბავშვობიდან მარტივად წერდა. ახლაც ისტორიულ რომანზე მუშაობს, თუმცა მამამისი წინააღმდეგია – მას არ მოსწონს თვით ის იდეა, რომ ახალგაზრდა ქალბატონი მსგავს საქმიანობას ეწევა მაშინ, როცა მეუღლეზე ფიქრი მართებს. მით უმეტეს, ის მაღალ საზოგადოებას ეკუთვნის. და თუ ჯიუტად განაგრძობს

<sup>79</sup> *Хорошилова О. Джентльмен Джек в России. Невероятное путешествие Анны Листер. Москва: Манн. Иванов и Фербер. 2022. გვ. 319; ი. ხორომილოვას ამ აღმოჩენით, გაიზარდა ეკ. ლაჩინოვას ბიბლიოგრაფია.*

თავის წამოწყებას, მოუწევს ამ წრიდან გასვლა და ველარასოდეს ითამაშებს საყვარელი ცოლის როლს. ეკატერინემ მომიტანა რუსულიდან ფრანგულად თარგმნილი მისი დაწერილი ერთი ოფიცრის მემუარების წინასიტყვაობა; წამიკითხა კიდევ ცოტა მომავალი ისტორიული რომანის მონახაზიდან, სადაც მოქმედება ღერბენტის ჩრდილოეთით იწყება. როცა კასპიის ზღვის აღწერაზე გადავიდა, მე შევაქე მისი სტილი. ყველაფერი ძალიან კარგად იყო დაწერილი და აწყობილი... მან თქვა, რომ იზიარებს ჩემს გატაცებას, ინტერესს და ამ რეგიონის შესწავლის სურვილს<sup>80</sup> – წერდა თავის დღიურში ანნა ლისტერი.

ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი და მრავალმნიშვნელოვანი ფიგურა მათ შორის, ვინც ანნა ლისტერის მოგზაურობისას შეხვედრია, არის ეკატერინა ლაჩინოვა – ქალი, რომელიც ერთდროულად განასახიერებს მეცნიერს, მგრძნობიარე ინტელექტუალს, დამოუკიდებლობის მაძიებელსა და იმპერიული ეპოქის საზოგადოების მკაფიო საზღვრებში მოქცეულ კოკეტს; ქალი, რომელსაც უყვარს კითხვა, რომელიც გატაცებულია ისტორიული რომანებითა და მეცნიერებით და საკუთარი ოთახის კარს იქით ქმნის საკუთარ ინტელექტუალურ სამყაროს. ლისტერის მიერ შემონახულ აღწერაში ეკატერინა ლაჩინოვა წარმოჩნდება როგორც შინაგანად დაძაბული და სულიერად დაუმორჩილებელი ადამიანი, რომელიც საზოგადოებრივ მოლოდინებსა და პირად თავისუფლებას შორის წონასწორობას ეძებს. თავისი ქმრისგან დამოუკიდებლობა ლაჩინოვამ ერთგვარი სტრატეგიული გზით, მოგზაურობით მოიპოვა. ეკატერინა ლაჩინოვას სურვილი – დაწეროს წიგნი რუსი ოფიცრების მემუარებზე დაყრდნობით, ჩაეფლოს არქივებში, გაარღვიოს ქალისთვის არასახარბიელო ჟანრის საზღვრები – მიანიშნებს მის პოტენციალზე, მაგრამ ასევე იმ სოციალურ წინააღმდეგობაზეც, რომელსაც ის განიცდის.

<sup>80</sup> *Хорошилова О. Джентльмен Джек в России. гл. 314 – 319.*

ამგვარად, ანნა ლისტერის პერსპექტივიდან ეკატერინა ლაჩინოვა დახატულია როგორც შინაგანი ბრძოლის მსხვერპლი და, ამავე დროს, გმირი. იგი არ იღებს არსებულ ჩარჩოებს მოცემულობად, არამედ იბრძვის წიგნებით, მოგზაურობით, ჩანაწერებით, ყოველდღიური წინააღმდეგობის ფორმებით, საკუთარი ოთახითაც კი. ინგლისელი მოგზაურის დაკვირვებები, რომლებიც სავსეა სიმპატიით, მაგრამ ასევე ირონიითა და კრიტიკული სიმახვილით, გვიტოვებს ნათელ სურათს XIX საუკუნის ინტელექტუალი ქალის ამბივალენტურ მდგომარეობაზე, გამოუთქმელ სურვილებსა და მძიმე კომპრომისებზე.


წინამდებარე ნაშრომში განვიხილავ ეკატერინა ლაჩინოვას ე. სამარ-დაბანოვის ფსევდონიმით 1844 წელს გამოქვეყნებულ რომანს „ხრიკები კავკასიაში“ და 2022 წლამდე უცნობ ხელნაწერს – „გზა ტიფლისიდან ერივანამდე. ერივანი 1839 წელს. ეჩმიადინის მონასტერი“.

## **§ 1. ე. სამარ-დაბანოვის რომანი „ხრიკები კავკასიაში“**

რუსეთში 1844 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა რომანი-ჰამფლეტი „ხრიკები კავკასიაში“.<sup>81</sup> წიგნის ავტორი იყო ე. სამარ-დაბანოვი, იგივე ეკატერინა ლაჩინოვა. მწერალმა ფსევდონიმად ე. სამარ-დაბანოვი აირჩია, ციმბირის მთების, სამარ-დაბანის, სახელწოდების მიხედვით.

წიგნის აქტუალურობასა და მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მწერალმა ჯერ კიდევ 1842 წელს ჟურნალში – „ბიბლიოთეკა კითხვისათვის“ – გამოაქვეყნა ნაწყვეტი მომავალი რომანიდან, კერძოდ, მეშვიდე თავი – „ყუბანსიქითა კა-

<sup>81</sup> *Хамар-Дабанов Е.* Прodelки на Кавказе, ч. 1-2. СПб. в тип. К Жернакова. 1844.



Титульный лист первого издания романа Е. Хамар-Дабанова «Проделки на Кавказе» (1844) с пометами владельца о времени, месте приобретения книги и ее цене. Репродукция. (Из фонда Российской национальной библиотеки. Петербург)

ეკ. ლაჩინოვას 1844 წელს გამოცემული წიგნის გარეკანი



გრიგოლ გაგარინი. თბილისი. ხედი ბოტანიკური ბაღიდან. 1847 წ.

რამზადა“, რომელიც დადებითად შეაფასეს ოსიპ სენკოვსკიმ<sup>82</sup> და ვისარონ ბელინსკიმ.<sup>83,84</sup> გამოცემისთანავე ე. ლაჩინოვას წიგნის თითქმის მთლიანი ტირაჟი გაანადგურეს. თუმცა, 1846 წელს ლაიპციგში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა სათაურით – „მოსკოველები და ჩერქეზები“.<sup>85</sup> ევროპელი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაციები უსამართლო და დაპყრობითი ომის შესახებ. რუსულ ენაზე წიგნი მეორედ გამოიცა საბჭოთა ეპოქაში, 1986 წელს.<sup>86</sup> რამდენიმე წლის წინ ასევე რუსულ ენაზე დაიბეჭდა სახელწოდებით „მოსკოველები და ჩერქეზები“.<sup>87</sup>

წიგნის გამოცემისას მცირედ მოიპოვებოდა ინფორმაცია ავტორისა და მისი რომანის შექმნის მიზნებზე, თუმცა შემდეგ არაერთი ნაშრომი თუ მოგონება დაიწერა ამ ნაწარმოების შესახებ. თავდაპირველად ჟურნალ „ოტჩეხსტვენნიე ზაპისკის“ 1844 წლის ივნისის ნომერში გამოქვეყნდა რეცენზია და რამდენიმე ციტატა რომანიდან, რომლებშიც სამართლიანად იყო აღ-

<sup>82</sup> ოსიპ-იულიან ივანის ძე სენკოვსკი (პოლონურად: Józef Julian Sękowski, უფრო ცნობილი ფსევდონიმით „ბარონ ბრამბეუსი“; 1800–1858) – რუსი და პოლონელი ორიენტალისტი, პოლიგლოტი, მწერალი, კრიტიკოსი, რედაქტორი და ჟურნალისტი. იგი იყო პირველი რუსული მასობრივი ჟურნალის, „ბიბლიოთეკა კითხვისთვის“, რედაქტორი, სახელმწიფო მრჩეველი, დამსახურებული პროფესორი (1847) და საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1828).

<sup>83</sup> ვისარონ გრიგორის ძე ბელინსკი (რუს. Виссарион Григорьевич Белинский, 1811–1848) – რუსი ლიტერატურათმცოდნე, თეორეტიკოსი და პუბლიცისტი.

<sup>84</sup> Русские писатели 11-20 вв. Биографический словарь. 1800-1917, т. 3. Москва. 1994. с. 293.

<sup>85</sup> Moskowiter und Tscherkessen Skizzenbuch aus dem Russischen des Hamar Dabanow. Erster Theil. Leipzig. Verlag von J.J. Weber, 1846, 238 s.

<sup>86</sup> *Хамар-Дабанов Е.* Прodelки на Кавказе. Роман. Ставрополь: кн.изд-во, 1986, 256 с.

<sup>87</sup> *Хамар-Дабанов Е.* Москвичи и черкесы, издательство М. и В. Котляровых, 2021, 320 с.

ნიშნული: „ეს არაა რომანი, არც მოთხრობა, არც სრული თხზულება, არამედ ესაა ნარკვევი ქვეყნის დღევანდელი ცხოვრებისა და მდგომარეობის შესახებ და, უფრო მეტიც, ნარკვევი-ნააზრევი“.<sup>88</sup> 1901 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა ცნობილი კავკასიოლოგის, ევგენი ვაიდენბაუმის რეცენზია მწერლისა და მისი წიგნის შესახებ.<sup>89</sup> აღნიშნულ საკითხს შემდგომ არაერთმა მკვლევარმა მიაქცია ყურადღება. 1994 წელს გამოცემულ ბიოგრაფიულ ლექსიკონში – „მე-11 – მე-20 საუკუნეების რუსი მწერლები“<sup>90</sup> – ერთ-ერთი სტატია ეკატერინა ლაჩინოვასაც მიეძღვნა, რომელშიც, სამეცნიერო ლიტერატურის გარდა, გამოყენებულია XIX საუკუნის საარქივო მასალები და პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციები.

წიგნისადმი ინტერესი თანამედროვე პერიოდშიც არ განულებულა. მეცნიერები სხვადასხვა ჟრილში განიხილავენ მწერლის მიერ რომანში დასმულ საკითხებს. მნიშვნელოვანია რ. ხურუმოვას,<sup>91</sup> ი. კლიჩნიკოვის,<sup>92</sup> ლ. გოლიკოვასა და მ. შაროიკოს<sup>93</sup> სტატიები, ა. ურუშაძის წიგნის ერთ-ერთი ქვეთავი – „კავკასიური ომი. შვიდი ისტორია“.<sup>94</sup> საინტერესოა რუსი მეცნიერის, ოლგა ხოროშილოვას მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები: მონოგრაფია

<sup>88</sup> Отечественные записки, 1844, т. 34, 71.

<sup>89</sup> Газета «Кавказ», 1901, №13, №14.

<sup>90</sup> Русские писатели 11-20 вв. Биографический словарь, 1800-1917, т. 3, с. 293-294.

<sup>91</sup> Хурумова Р. Ю. О книге Е. Хамар-Добанова «Проделки на Кавказе», Псалъ № 16 (19) - № 17 (20). Сборник статей. Изд-во АГУ, 2020, с. 252-256.

<sup>92</sup> Клычников Ю. Ю. Русско-северокавказские отношения сквозь призму российскости. Особенности исторического партнёрства. Диалог со временем. Вып. 70, 2020, с. 203-218.

<sup>93</sup> Голикова Л. П., Шаройко М. В. (2016). Кавказские события в художественно-публицистическом творчестве русских писателей XIX в. Наследие веков, № 2, с. 55-59.

<sup>94</sup> Урушадзе А. Кавказская война. Семь истории. Новое литературное обозрение, 2018, 295 с.

„ჯენტლმენ ჯეკი რუსეთში. ანნა ლისტერის წარმოუდგენელი მოგზაურობა“<sup>95</sup> და სტატია „რუსი ფემინისტი კავკასიის ომში, ანუ ეკატერინა ლაჩინოვას – მაღალი საზოგადოების ლედის – ხრიკების, მამაკაცის შარვლისა და ლიტერატურული შემოქმედების შესახებ“.<sup>96</sup> ამ ნაშრომებში მრავლად მოიპოვება უცნობი ფაქტები მწერალი ქალბატონის პირადი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ და მკითხველი საზოგადოებისთვის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს.

რომანის გამოქვეყნების ისტორია საკმაოდ სკანდალურია: 1844 წელს გამოცემული წიგნის სატიტულო გვერდის უკანა მხარეს მითითებული იყო: „ბეჭდვა ნებადართულია... მოსკოვი. 18 მარტი, 1844 წელი. ცენზორი ნ. კრილოვი“. 1844 წლის აპრილში წიგნი სარეალიზაციოდ მიიღო პეტერბურგელმა გამომცემელმა, წიგნების მაღაზიების მფლობელმა მატვეი ოლხინმა. 1844 წლის 26 მაისს ჟანდარმთა კორპუსის შტაბის უფროსმა ლეონტი ვასილის ძე დუბელტმა აცნობა სახალხო განათლების მინისტრ სერგეი უვაროვს: „ამ ნაშრომში ბევრი საეჭვო ადგილია, რომელიც არ უნდა მივიღეს მკითხველ საზოგადოებამდე“. იმავე დღეს პეტერბურგის სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა კავკასიონმა გასცა ბრძანება წიგნის გამყიდველისათვის ამ წიგნის ყველა ეგზემპლარის ჩამორთმევის შესახებ. პეტერბურგის ობერპოლიცემისტერის ცნობით, ოლხინისგან 906 ეგზემპლარი წაიღეს. წიგნის დარჩენილი ეგზემპლარები უკვე გაყიდული იყო პეტერ-

<sup>95</sup> *Хорошилова О.* Джентльмен Джек в России. Невероятное путешествие Анны Листер. Москва: Манн, Иванов и Фербер, 2022.

<sup>96</sup> *Хорошилова О.* Русская феминистка на Кавказской войне, или О проделках, мужских штанах и литературном творчестве Екатерины Лачиновой, светской львицы, 2022. <https://knife.media/lachinova/> (08.12. 2024). ეს სტატია აღარ იძებნება მითითებულ ვებგვერდზე. ის აკრძალა რუსულმა ცენზურამ, ისევე როგორც ამოიღეს გაყიდვიდან ოლგა ხოროშილოვას წიგნი – „ჯენტლმენ ჯეკი რუსეთში. ანნა ლისტერის წარმოუდგენელი მოგზაურობა“. ამის თაობაზე რუსმა მეცნიერმა კომენტარი სოციალურ ქსელში დაწერა.

ბურგსა და მოსკოვში. წიგნის დაბეჭდვის ნებართვის გამო, იმპერატორ ნიკოლაი I-ის ბრძანებით, ცენზორი პროფ. კრილოვი უნდა გაეთავისუფებინათ ცენზორის თანამდებობიდან და, მეტიც, სხვებისთვის სამაგალითოდ, როგორც მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი და დეკანი, უნივერსიტეტში 8 დღით უნდა დაეპატიმრებინათ.<sup>97</sup> ლიტერატურის ისტორიკოსი, ცენზორი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრ ვასილის ძე ნიკიტენკო 1844 წლის 22 ივნისს თავის დღიურში წერდა: „სამხედრო მინისტრმა (ა. ჩერნიშევი – დ.კ.) წაიკითხა წიგნი და შეწუხდა. მან მიუთითა წიგნზე დუბელტს და უთხრა: „ეს წიგნი მით უფრო მავნეა, რადგან მასში ყველა სტრიქონი მართალია!“<sup>98</sup>

გენერალ-ლეიტენანტ ვასილი აბრამის ძე დოკუდოვსკის მოგონებებიდან ირკვევა, რომ იმპერატორმა ნიკოლაი I-მა სამხედრო მინისტრთან საუბრისას აღშფოთებულმა თქვა: „ჩვენ არაფერი ვიცით კავკასიაზე, ეს ქალბატონი კი ჩვენ თვალს გვიხელს“.<sup>99</sup> ჟანდარმთა უფროსის, გრაფ ალექსეი ორლოვის, 18 ივლისს სერგეი უვაროვისათვის მიწერილი წერილიდან ირკვევა: „მისმა უდიდებულესობამ გასცა ბრძანება აღნიშნული წიგნის ავტორ ლაჩინოვსაზე პოლიციის ზედამხედველობა დაწესდეს და ვინაიდან, მიღებული ინფორმაციით, მას კიდევ ბევრი ხელნაწერი აქვს მომზადებული დასაბეჭდად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის ნაწერებს“.<sup>100</sup>

ე. ლაჩინოვამ, როგორც ჩანს, გააცნობიერა საფრთხეები და ა. ორლოვისათვის გაგზავნილი წერილით სცადა თავი დაედ-

<sup>97</sup> *Добровольский Л. М.* Запрещенная книга в России 1825-1904. Архивно-библиографические разыскания. Издательствосоюзной книжной палаты. Москва. 1962. с. 40-41.

<sup>98</sup> *Никитенко А. В.* Дневник в трех томах. т. 1 (1826-1857). Государственное издательство художественной литературы. Ленинград. 1955. с. 282-283.

<sup>99</sup> *Докудовский В. А.* Мои воспоминания. Рязань. 1898. с. 90.

<sup>100</sup> *Титов А.,* Александр Бестужев – герой забытого романа. Русская литература, историко-литературный журнал. № 3. Ленинград. 1959. с. 134.

წია ახალი სასჯელისგან: „ძვირფასო გრაფო! როდესაც პეტერ-ბურგში ამა წლის მაისში ჩემი ბოლო ვიზიტისას შევიტყვე ჩემი თხზულების – სახელწოდებით, „ხრიკები კავკასიაში“ – აკრძალვის შესახებ. შორს ვიყავი იმ აზრისგან, რომ მისი უდიდებულესობის გულისწყრომა გამომეწვია. ... წარსულმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ სწორედ ლიტერატურამ განადიდა ეკატერინა II-ისა და ლუი XIV-ის მეფობა. ყველა მხრიდან მესმის, რომ თანამედროვე რუსული ლიტერატურა არ არსებობს. და აი, სწორედ ამან მაიძულა, გრაფო, ამელო კალამი სიამაყის გარეშე, მაგრამ პატრიოტიზმითა და ეროვნული სულიკვებით გამსჭვალულს“.<sup>101</sup> მწერალი უარყოფდა წიგნის შექმნისას ვინმეს თანაავტორობას და მხოლოდ ორ გარდაცვლილ ადამიანს უთითებდა ვინაობის გარეშე, რომლებმაც გარკვეული დახმარება გაუწიეს.<sup>102</sup> მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს ორი ადამიანი იყო მწერალი მიხაილ ლერმონტოვი და კავკასიაში გადასახლებული დეკაბრისტი ალექსანდრ ბესტუჟევ-მარლინსკი, რომლებსაც წიგნის ავტორი კარგად იცნობდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ე. ლაჩინოვას ინფორმაციებს ასევე აწვდიდა მისი მეუღლის ძმა, კავკასიაში სასჯელის მოსახდელად გადასახლებული დეკაბრისტი ევდოკიმ ლაჩინოვი, რომელმაც აქაურობა 1833 წელს დატოვა და რუსეთში დაბრუნდა საცხოვრებლად.<sup>103</sup> შესაბამი-

<sup>101</sup> *Титов А.* Александр Бестужев – герой забытого романа, с. 134-135.

<sup>102</sup> იქვე.

<sup>103</sup> ევდოკიმ ლაჩინოვის ნაშრომი: „Отрывок из „Исповеди“ – г. Лачинова. Кавказский сборник. Под ред. гвардейской артиллерии полковника Чернявского. Тифлиси. Типография окружного штаба Кавказского военного округа, 1876, т. 1, с. 123-196; 1877, т. 2, с. 75-115; ევდოკიმ ლაჩინოვის შესახებ გამოქვეყნებულია ქართველი მეცნიერების შრომები ქართულ და რუსულ ენებზე და, შესაბამისად, ჩვენ მის განხილვას აღარ შეუძლებით: კანდელაკი დ., დეკაბრისტი ევდოკიმ ლაჩინოვის ცნობები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული N 9, 2016, გვ. 383-394; *Канделаки Д. Г.* Дневниковые записки декабриста Е.Е. Лачинова. Русский язык и

სად, მწერლისთვის ცნობილი იყო კავკასიური ომის კულისებში არსებული ვითარება.

ვინაიდან ეკატერინა ლაჩინოვას წიგნი არაა თარგმნილი ქართულ ენაზე,<sup>104</sup> მიზანშეწონილად მივიჩნევ რომანის მოკლე მინაარსის გადმოცემა:

ყუბანის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა კაპიტანი ალექსანდრ პუსტოგოროდოვი, კაზაკთა ასეულის მეთაური. ახალგაზრდობაში თანაუგრძნობდა პოლიტიკურ შეთქმულებებს (დეკაბრისტებს – დ. კ.), ამიტომ დააქვეითეს ჯარისკაცად და გადასახლეს კავკასიაში. ის იმპერიის სამსახურში ჩადგა და ერთგულად ემსახურებოდა ქვეყნის ინტერესებს. მალე ყოფილი უფროსები, რომლებმაც იცოდნენ მისი დამსახურება და აფასებდნენ მის ღვაწლს, სხვა პირებმა შეცვალეს. ახალ ხელმძღვანელობას სხვა შეხედულებები და მოთხოვნები ჰქონდა, რომლებთან შერიგებაც პუსტოგოროდოვს არ შეეძლო და არც სურდა. ხელმძღვანელობისათვის განუთვნილ წარდგინებებში მუდამ სიმართლეს წერდა, ქვეშევრდომების და მოსახლეობის ინტერესებს იცავდა, რამაც დაუმორჩილებელი და ჯიუტი ადამიანის რეპუტაცია მოუტანა. ხელისუფლებამ მას ზურგი აქცია და სამსახურისთვის კაზაკთა სოფელში დატოვა. აქ მას სტუმრობს გადამდგარი კორნეტი, დედისგან გათამამებული ძმა ნიკოლაი, რომელიც მოწყენილობისა და უსაქმურობის გამო სპარსეთში

---

литература в пространстве мировой культуры: мат-лы XIII Конгресса МАПРЯЛ. СПб., 2015, с. 247-251; *Сулаберидзе Ю. С.* Восприятие Кавказа декабристами: культурный тип декабриста на Кавказе. Исторический курьер, 2020, № 6 (14), с. 53–71; *Сулаберидзе Ю. С.* Декабрист Е. Е., Лачинов: размышление о прожитом. Саарбрюккен, LAP LAMBERT Academic Publishing, 2016, 108 с.

<sup>104</sup> ქართულ ენაზე გამოქვეყნებულია მხოლოდ: კანდელაკი დ., ეკატერინა ლაჩინოვას აკრძალული წიგნი: XIX საუკუნის კავკასიური ომის ისტორიები. მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი“ – მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2024, გვ. 99-100.

მიემგზავრება. ავტორი საუბრობს კავკასიის ხაზზე კაზაკთა სა-  
დარაჯო სამსახურის ორგანიზებაზე, ხატავს „განგამის“ სურათს  
ჩერქეზი მტაცებლების მიერ დაცვის ხაზის გარღვევის გამო, აღ-  
წერს მათ ღვენას კაზაკების მიერ, რაზმის მოძრაობას ყუბანის  
იქით, ბრძოლას ან „გარიგებას“ მთიელებთან და ა.შ. ავტორი  
მკითხველს აცნობს კაზაკებისა და ჩერქეზების ცხოვრების წესს,  
მათ ურთიერთობებს და განსხვავებულ შეხედულებებს მთაში  
ომის წარმოების ამოცანებისა და მეთოდების შესახებ.

კაზაკთა სოფლიდან ძმები პუსტოგოროდოვები გაემგზავრ-  
ნენ სტავროპოლში, სადაც თავმოყრილი იყო ჩრდილო კავკა-  
სიის რეგიონის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია.  
ავტორი მკითხველს აცნობს კავკასიაში ჩამოსული ახალწვეუ-  
ლების, ე.წ. „ხობების“ ყველაზე ტიპურ პერსონაჟებს. ისინი  
იკვეთებიან ძველ კავკასიელებთან, ინჟინრებთან, სასურსათო  
კომისიონერებთან და ყველა სხვა წოდების წარმომადგენლებ-  
თან, რომლებსაც, ასე თუ ისე, კავშირი აქვთ კავკასიის ხაზზე  
ჯარების სამეთაურო შტაბთან. ავტორი ასაუბრებს წინა თაობის  
ოფიცრებს, რომლებიც ქებით იხსენებენ ალექსეი ერმოლოვისა  
და ალექსეი ველიამინოვის დროებას. ყველანი თავს იყრიან  
სტავროპოლის ერთადერთ სასტუმროში, ქეიფობენ, თამაშობენ  
ბანქოს, საუბრობენ მოსალოდნელ ჯილდოებზე და ითვლიან  
ექსპედიციისას მივლინების სარგებელს. კავკასიაში, ქალაქ მი-  
ნერალური წყლებში (Минеральные Воды) ძმები სტავროპო-  
ლიდან მშობლებთან შესახვედრად მიდიან. ავტორი ძალიან  
მცირე ადგილს უთმობს ამ ქალაქის ცხოვრების წესის აღწერას;  
საუბრობს ქალაქ ჰიატიგორსკის მეჯლისებსა და ქალაქ კისლო-  
ვოდსკში მოწყობილ პიკნიკებზე; ნათლად ხატავს მაღალი რან-  
გის ჩინოვნიკის მისაღებას, სადაც ირკვევა ყველა პრობლემური  
საკითხი, რომელსაც, ფაქტობრივად, მისი შტაბის უფროსი და  
თანამემწეები არეგულირებენ. ძმები პუსტოგოროდოვები თბი-  
ლისში ჩამოდიან, უფროსი – სამხედრო ოფიცრის სტატუსით,

რომელიც თადარიგში გადის, ხოლო უმცროსი – როგორც მოგზაური და სპარსეთში მიემგზავრება.

რომანში გადმოცემული ამბები 1838–1842 წლებში ხდება. ამ დროს კავკასიის ცალკეული კორპუსის<sup>105</sup> მეთაური იყო ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი.<sup>106</sup> რომანის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა გენერალ გრიგორი ქრისტოფორის ძე ფონ ზასის ღვაწლს ამ ომში. სიუჟეტში, რა თქმა უნდა, სახელით არ მოიხსენიებენ, მაგრამ მეტსახელი „ემმაკი“ და მისი წარმოშობისა და გარეგნობის აღწერა („უცხო დასავლეთის ქვეყნებიდან, თეთრთმიანი, გრძელი წითელი უღვაშებით“) ეჭვს არ ტოვებს, რომ ეს არის გრიგორი ფონ ზასი.<sup>107</sup> რომანის პერსონაჟი გენერალი მემიკვებუ კი რუსეთის სამსახურში ჩამდგარი გენერალი პაველ ევსტაფის ძე კოცებუა.<sup>108</sup>

<sup>105</sup> კავკასიის ცალკეული კორპუსი (რუს. Отдельный Кавказский корпус) – რუსეთის საიმპერატორო არმიის საერთო-საჯარისო გაერთიანება, რომელიც შექმნილია ოპერატიული მიმართულებით დამოუკიდებელი ამოცანების შესასრულებლად. 1811 წლის 12 მარტს მე-19 და მე-20 ქვეითი დივიზიებისგან, მათი არტილერიით, ჩამოყალიბდა ქართული კორპუსი. 1815 წლის 21 დეკემბერს, უმაღლესი ბრძანებით, აღნიშნული დივიზიების ჯარებისგან, რომლებიც განლაგებული იყვნენ კავკასიის ხაზზე, საქართველოსა და ზოგადად ამიერკავკასიის რეგიონში, ჩამოყალიბდა ქართული ცალკეული კორპუსი. 1820 წელს ქართულ ცალკეულ კორპუსს სახელი შეეცვალა და კავკასიის ცალკეული კორპუსი ეწოდა.

<sup>106</sup> ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი (რუს. Евгений Александрович Головин; 1782-1858) – რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიის მთავარმართებელი 1837–1842, რუსეთის იმპერიის არმიის ინფანტერიის გენერალი (1839).

<sup>107</sup> გეორგ ოტტო ევალდ ფრეიჰერ ფონ ზასს (გერმ. Georg Otto Ewald Freiherr von Saß; რუს. Григорий Христофорович фон Засс; 1797-1883) – რუსი სამხედრო მეთაური, ბარონი, კავალერიის გენერალი. ქალაქების – ლაბინსკის, კურგანინსკის, არმავირის – და სტანიცების – ზასოვსკაიას, ვოზნესენსკაიას, ჩამლიკის – დამაარსებელი. ის არის ჩერქეზთა გენოციდის ორგანიზატორი.

<sup>108</sup> პაველ ევსტაფის ძე კოცებუ (რუს. Павел Евстафьевич Коцебу, გერმ. Paul Demetrius Graf von Kotzebue; 1801-1884) – რუსი სამხედრო და

ვინ იყვნენ ნაწარმოების მთავარი გმირები? რეალური ცხოვრებაში არსებული პირები თუ გამოგონილი პერსონაჟები? რომან-პამფლეტში ასახული მოვლენები და პიროვნებები არ იყო გამოგონილი, ისინი რეალური პიროვნებები იყვნენ. ე. ხამარ-დაბანოვს თხრობისას გამოყვანილი ჰყავს ბევრი პერსონაჟი, როგორც მთის მაცხოვრებლები (ფშემაფი, ყულლე, დიდუ, აიმატი, მოხუცი მთიელი ქალი, ალი-კარსისი და სხვ.), ასევე, სამოქალაქო და სამხედრო გარემოდან (ალექსანდრ პუსტოგოროდოვი, ნიკოლაშა, გრუშნიცკი, ნეოტაკი, პრასკოვია პეტროვნა, ნიკოლაი პეტროვიჩი, ზაბულდიგინი, მაიორი ლევი, იანკელ-ფაშა, პრინცი გალიცკი, ფონ ალტერი და სხვ.). ეკ. ლაჩინოვა ნაწარმოებში ყოველთვის არ ცვლიდა მოქმედი პირების სახელებს. ავტორი შეულამაზებლად წარმოადგენს თვითმხილველთა მიერ გადმოცემულ საბრძოლო ეპიზოდებს, საშუალებას იძლევა პირდაპირ იგრძნოს მკითხველმა ომის საშინელება, რომელიც აცამტვერებს ადამიანს, ანადგურებს მასში ყოველივე ჰუმანურს.

რომანის ავტორი საუბრობს კავკასიის ხელისუფლების ბიუროკრატიული აპარატის შესახებ, სამხედრო ბიუროკრატიის გადაჭარბებული ზრდის საშიშროებაზე. ის ამხელს იმ ფაქტს, რომ კავკასიური ბიუროკრატია არა ბრძოლის ორგანიზებას, არამედ საკუთარი გავლენის და პრესტიჟის შენარჩუნებას ემსახურებოდა, რის გამოც თვითონ ომის მიზანიც კარგავდა აზრს. ეკ. ლაჩინოვა აღწერს იმ პერიოდს, როცა კავკასიის არმიასა და ადმინისტრაციას მართავდა უუნარო და საკუთარ ინტერესებზე

---

სახელმწიფო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი (1859), გენერალ-ადიუტანტი (1847). განსაკუთრებით გამოირჩეოდა 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომისას, 1831 წლის პოლონეთის კამპანიის დროს და სევასტოპოლის დაცვაში. სახელმწიფო საბჭოს წევრი (1863-1884). 1862-1870 წლებში – ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორი, ასევე, ოდესის სამხედრო ოლქის ჯარების მეთაური. გრაფი 1874 წლიდან; 1874-1880 წლებში იყო ვარშავის გენერალ-გუბერნატორი და ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარების მეთაური.

ორიენტირებული გენერლიტეტი. ბიუროკრატიულმა აპარატმა ჩაანაცვლა სამხედრო საქმის არსი. მწერალი მთავარ გმირს, კაპიტან ალექსანდრ ჰუსტოგოროდოვს ათქმევინებს, რომ „ახლა მსახურება რთულია, რადგან ვერ გარკვევთ, ვინ არის უფროსი და ვინ – დაქვემდებარებული: ბრძანებებს ყველა გასცემს. ლაშქრობისას ორი ბატალიონია, რაზმის მეთაური თავად ნიშნავს შტაბის უფროსს, ის კი, თავის მხრივ, ნიშნავს მორიგე შტაბის ოფიცერს, რომელიც თავისთვის კრებს ადოუტანტებს, მწერლად იღებენ, ვისაც მოისურვებენ და ასე თავისთავად ჩნდება მთელი იმპროვიზირებული შტაბი“.<sup>109</sup> ის დასძენს, რომ ასეთ ვითარებაში ნამდვილი გმირები და ღირსეული ჯარისკაცები უგულვებელყოფილნი რჩებიან: „ექსპედიცია დასრულდება – ვის მისცემენ ჯილდოებს? შტაბის თანამშრომლებს, მდივნებს, მუდმივ ორდინარებს და მაცნეებს; ხოლო ნამდვილი გმირები, რომლებიც ბრძოლის საზოგადოება იდგნენ, ჭეშმარიტად გამოირჩეოდნენ, არაფერს მიიღებენ.“<sup>110</sup> ამ აღწერაში ავტორი ქმნის მკვეთრ სატირას იმპერიული ბიუროკრატიისადმი. გამოკვეთილია ის, რასაც ავტორი „იმპერიის მექანიკური სამსახურის ავადმყოფობას“ უწოდებს, სადაც ფორმა სძლევეს შინაარსს, და ბიუროკრატიული თვითრეგულაცია ანაცვლებს პროფესიონალიზმს.

რომანში საკმაოდ საინტერესო საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება, კერძოდ, მეეტლისა და მგზავრის დიალოგით მკითხველს წარმოდგენა ექმნება კავკასიის საზღვის გზის გასწვრივ საგუშაგოების სისტემაზე; საუბარია კაზაკი ოფიცრის თვითნებობის შესახებ, რომელმაც ხელმძღვანელობის დაუკითხავად გაათავისუფლა ჯარისკაცები. ავტორი მკითხველს ჯარში მექრთამეობის ფაქტზეც უყვება – თანხის სანაცვლოდ უშვებენ ჯარისკაცებს; ასევე, ზოგადად დახასიათებულია კაზაკთა რაზმი. ავტორი აღწერს ჩერქეზების წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდებს. დაწვრი-

<sup>109</sup> *Хамар-Дабанов Е.* Прodelки на Кавказе, 1986, с. 273.

<sup>110</sup> იქვე.

ლებით საუბრობს კავკასიის ხაზის უფროსის წარდგინების შინა-არსზე, რომლითაც ალექსანდრ პუსტოგოროდოვს საყვედური უნდა გამოეცხადოს ჩრდილო კავკასიელების მოჭრილი თავების არმიტანის გამო და წარდგინებაში დამახინჯებულადაა გადმოცემული რეალური ბრძოლის ისტორია. მოყვანილია ამა თუ იმ პერსონაჟის მოსაზრებები სხვადასხვა საკითხზე. მაგალითად, ტექსტში ვეცნობით ყაჩად ალი-კარსისის დადებითი დახასიათებას ალექსანდრეს მიერ, ალი-კარსისის მიერ რუსების დახასიათებას, პშემაფის და მისი რჩეულის, ყულლეს, საუბარს რუსების შესახებ.

ნაწარმოები უშუალოდ ეხება რუსი ჯარისკაცებისა და ჩერქეზების კონფლიქტურ ურთიერთობებს. სიძულვილითაა აღსავსე ალექსანდრეს უსაქმური უმცროსი ძმის, ნიკოლაის, სიტყვები ჩერქეზების შესახებ: „ჩემი ნება რომ იყოს, კარტეჩით გავანადგურებდი ყველა ჩერქეზს, ხოლო ვინც ცოცხალი ჩამივარდება ხელში, დაუნდობლად ჩამოვახრჩობდი“.<sup>111</sup> რუსეთის სამსახურში ჩამდგარი ჩერქეზი ახალგაზრდა კაცი, პშემაფი, ნიკოლასს ურჩევს, რომ დაუფიქრებელი საუბრის ნაცვლად, რომელიც რუსეთიდან ჩამოსულ ბევრ ოფიცერს ახასიათებს, უმჯობესია ამ მხარეში მიწათმოქმედება, მრეწველობა, ვაჭრობა განავითარონ და ჩერქეზების ნდობა მოიპოვონ.<sup>112</sup> ავტორი კავკასიის ოფიცრებიდან ასევე აღწერს იმ ტიპის ადამიანს, რომელიც ყველგან პოულობს სალაპარაკო თემას და ყველაფერს უარყოფითად აფასებს; ის არ ამხელს, არამედ კიცხავს და აყალბებს, და სწორედ ამიტომ მას ირონიულად უწოდებს „კავკასიელ ზოილს“.<sup>113</sup> ის წარმოადგენს იმ დეგრადირებულ ფენას, რომელიც კრიტი-

<sup>111</sup> *Хатар-Дабанов Е.* Проделки на Кавказе, 1986, с. 229.

<sup>112</sup> იქვე, გვ. 230.

<sup>113</sup> გამოთქმა გამოიყენება ირონიულად. ზოილი იყო ბერძენი მწერალი, რომელიც ჰომეროსს აკრიტიკებდა; რუსულ კულტურაში სიტყვა „злой Зои́л“ ნიშნავს ცილისმწამებელს ან უსამართლო კრიტიკოსს.

კას იყენებს არა ჭეშმარიტების საძიებლად, არამედ პირადი უკმაყოფილების გამოსახატავად. ასეთები კი საკმაოდ ბევრნი ყოფილან კავკასიაში. მათი მთავარი დევიზი იყო: „ჭაში არ ჩააფურთხო, დასაღვევად გამოგადგება!“<sup>114</sup>

რომანი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობის კონკრეტულ პერიოდზე. ტექსტში გადმოცემულია ეპოქის ატმოსფერო. რომანში კარგად არის აღწერილი იმპერიული კავკასიის სოციალური და სამხედრო გარემო. ეს აღწერილობები რეგიონში იმდროინდელი სამხედრო და სოციალური რეალობების შესახებ საინტერესო დეტალებს შეიცავს. რომანში ასახულია იმპერიისა და კოლონიზებული რეგიონების ურთიერთობები, ნაჩვენებია განსხვავებები რუსების, კაზაკებისა და ჩერქეზების ხედვებსა და ომის მეთოდებში. პუსტოგოროდოვების ოჯახის წევრების მორალური პრინციპები და ორჭოფული ურთიერთობების მაგალითები, მათი მოღვაწეობა აჩვენებს, თუ როგორ ენათესავებოდნენ იმპერიის მსახურები და ადგილობრივი საზოგადოება ერთმანეთს. ტექსტში ფოკუსი კონცენტრირებულია კონკრეტულ პერსონაჟებსა და მოვლენებზე, თუმცა ეს ზოგად ისტორიულ სურათს არ ავიწროებს. რომანი მხატვრული ნარატივია, რომელიც ისტორიული დეტალებითაა გაჯერებული. ის ქმნის მდიდარ და ცოცხალ სურათს კავკასიის რეგიონში იმპერიის საქმიანობის შესახებ, ავლენს იმპერიული პოლიტიკის მექანიზმებს, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობებს და სოციალური წინააღმდეგობების ბუნებას.

აღუქსანდრ პუსტოგოროდოვის და ექიმის დიალოგში აშკარად იგრძნობა ავტორის დისტანცირება სახელმწიფო იდეოლოგიისაგან და თანაგრძნობა იმ „პატიოსანი უმცირესობისადმი“, რომლებიც ამ გარემოს მიღმა ცდილობდნენ დარჩენას. ექიმის მოსაზრება კავკასიის მორალურ მდგომარეობას შეეხება და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სოციალურ დიაგ-

<sup>114</sup> *Хамар-Дабанов Е.* Прodelки на Кавказе, 1986, с. 286.

ნოზს მთელ რომანში: „ანგარება, პატივმოყვარეობა, სურვილი არა დამსახურების, არამედ ჯილდოს მოპოვებისა, შთანთქავს ყველა ჭეშმარიტ ღირსებას; ყველაფერი ტყუილსა და მზაკრობაზეა აგებული.“<sup>115</sup> ექიმი აქ ააშკარავებს იმპერიული საზოგადოების ზნეობრივ კრიზისს, სადაც სახელმწიფოებრივი და სამხედრო იერარქია ადამიანურ ღირებულებებს ანაცვლებს. იგი ფაქტობრივად ამხელს იმ პერიოდის ოფიციალურ დისკურსს, რომელიც კავკასიის დაპყრობას „ცივილიზატორულ მისიად“ წარმოაჩენდა.

ავტორი ძმებ პუსტოგოროდოვებს შორის დიალოგის ფორმით აღწერს კავკასიურ ხაზზე მოქმედი რუსი ოფიცრებისა და კაზაკების ცხოვრების ყოფით მხარეს. უფროსი ძმის შეფასება შეიცავს სოციალურ კრიტიკას – სამხედრო სამსახური, რომელიც გარეგნულად პატივს იმსახურებს, სინამდვილეში, გაჭირვებასა და უთანასწორობაზეა აგებული: „კაზაკთა პოლკში მსახურებიდან ვერაფერს მიიღებ, მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი იგივეა, ხოლო საკვების ფული სამჯერ ნაკლებია ვიდრე რეგულარულ პოლკებში.“<sup>116</sup> ამ ფრაზაში გამოკვეთილია იმპერიული არმიის შიდა იერარქიის პრობლემები: მატერიალური განსხვავება და არასამართლიანი განაწილება, რაც ასახავს სოციალურ უთანასწორობას. აღუქსანდრეს გამონათქვამი მიანიშნებს იმაზე, რომ სამხედრო ღირსება ფორმალურ ღირებულებად იქცა, მაშინ როცა მორალური შინაარსი გამქრალია. ამ თვალსაზრისით, ეპიზოდი იკითხება როგორც პოლემიკური პასუხი იმპერიული პროპაგანდისადმი, რომელიც კაზაკების სამსახურს გმირულ საქმიანობად წარმოაჩენდა. ავტორი გვიჩვენებს დამორჩილებული, ეკონომიკურად სუსტი კაზაკების სოციალურ პოზიციას.

რუსულ საზოგადოებაში, კავკასიურ ომზე გავრცელებული ინფორმაციების მიუხედავად, რჩებოდა პასუხგაუცემელი კითხვები: რისთვის იბრძოდა რუსეთის ჯარი, რა ამოძრავებდათ

<sup>115</sup> *Хамар-Дабанов Е.* Прodelки на Кавказе, 1986, с.133.

<sup>116</sup> იქვე. 125.

კავკასიელთა წინააღმდეგ ომში? რატომ გრძელდებოდა ომი უსასრულოდ, თუ რუსები ყოველ ჯერზე წარმატებულები იყვნენ და ზოგიერთ კავკასიელ ხალხს იმორჩილებდნენ კიდევ? როგორ ივსება მთიელ მებრძოლთა შემადგენლობა, თუ ისინი ასობით იღუპებიან ყოველ შეტაკებაში? წიგნი ნათელს ჰფენდა ამ საიდუმლოებებს, იმასაც, რომ კავკასიაში არ არსებობდა ხელიისუფლების მოქმედების ერთიანობა. თითოეულ უფროსს თავისი პოლიტიკა ჰქონდა და საკუთარ ომს აწარმოებდა. რომანში ასახული სიმართლე არასასურველი იყო სამხედრო ხელმძღვანელობისთვის, რომელთაც ნაწარმოების პერსონაჟებში საკუთარი თავი ამოიცნეს.

ე. ხამარ-დაბანოვის ფსევდონიმს ამოფარებულმა ეკატერინა ლაჩინოვამ ქუშმარიტად გმირული საქციელი ჩაიდინა – გამოაქვეყნა რომანი კავკასიის ომის შესახებ და არა მხოლოდ რუს მკითხველებს, არამედ ევროპელებსაც დაანახვა ამ ომის ყველა უსიამოვნო მხარე: სისასტიკე, ბიუროკრატიული სისულელე, ძარცვა, ძალადობა, რუსი ოფიცრებისა და ჩინოვნიკების სიმხდალე. ეკ. ლაჩინოვას ნაწარმოები – გაბედული აზრით სავსე რომანი-ჰამფლეტი – გამოწვევა იყო მეფისა და მისი გარემოცვისთვის. ავტორი ხატავს ვულგარული, საზიზღარი, ეგოისტური, თვალთმაქცი იმპერიის დაუნდობელ სურათს. „აქ იშვიათად შეხვდები ადამიანს ადამიანებს შორის!“ – დაასკვნის მწერალი. რომანში ასახული ისტორიებით ფაქტობრივად გამოვლინდა იმპერიის ადმინისტრაციის არაკომპეტენტურობა, თანამდებობის პირთა თვითნებობა და კორუფცია, გენერლებისა და ოფიცრების ქედმაღლობა.

რომანს ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ავტორმა გაბედა და ლიტერატურული ნაწარმოებით გააშიშვლა კავკასიის ომის მწარე სიმართლე, რომელსაც რუსი მაღალჩინოსნები საგულდაგულოდ მალავდნენ და, რომლის ოფიციალური აღწერებიც ხშირად გაყალბებული იყო. წიგნში ყოველგვარი შელამაზების გა-

რეშე არის წარმოდგენილი რუსეთის იმპერიის ნამდვილი სახე. აღსანიშნავია, რომ ავტორი არა მხოლოდ იმპერიის პოლიტიკას ამხელს, არამედ ობიექტურად აფასებს ჩერქეზებსაც, რომელთა წინააღმდეგაც იბრძოდა რუსული არმია. მწერალი გმობს ამ უსამართლო და სისხლისმღვრელ ომს. რუსი არისტოკრატი ქალბატონი XIX საუკუნის 30-40-იანი წლების კავკასიური ომის სამხედრო მოვლენების მემატიანედ იქცა. მან შეძლო კავკასიური ომის ისტორიების ობიექტურად გადმოცემა და დროთა სვლისგან შეურყვნელი სიმართლის აღბეჭდვა.

## **§ 2. გზა ტიფლისიდან ერივანამდე. ერივანი 1839 წელს. ეჩმიადინის მონასტერი**

ეკატერინა ლაჩინოვას ნარკვევი – „გზა ტიფლისიდან ერივანამდე. ერივანი 1839 წელს. ეჩმიადინის მონასტერი“<sup>117</sup> – წარმოადგენს ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროს, რომელიც, ერთი მხრივ, საინტერესო მოგზაურობის ჩანაწერია, ხოლო მეორე მხრივ, მკაფიოდ ასახავს რუსეთის იმპერიის კულტურულ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სტრატეგიებს XIX საუკუნის 30-იანი წლების კავკასიაში.

არისტოკრატი ქალბატონმა რუსულად დაწერილი ხელნაწერი ფრანგულ ენაზე თარგმნა და 1840 წლის მაისში ინგლისელ მოგზაურს, ანა ლისტერს თბილისში ყოფნისას აჩუქა. ხელნაწერი ბრიტანეთის ეროვნულ არქივში 2022 წელს რუსმა მეცნიერმა, ხელოვნებათმცოდნე ოლგა ხოროშილოვამ აღმოაჩინა

---

<sup>117</sup> *Лачинова Е.* Путь из Тифлиса в Эривань. Эривань в 1839 году. Эчмиадзинский монастырь. См.: *Малахова В.Г.* «Городишко». Комментарий к повести М. Ю. Лермонтова «Тамань». Издание второе. Санкт-Петербург: Найди лесоруба, 2024, с. 359-370.

და რუსულ ენაზე თარგმნა. ნარკვევი ლიტერატურათმცოდნე ვალენტინა მალახოვამ გამოაქვეყნა წიგნში „გოროდიშკო“.<sup>118</sup> ეკ. ლაჩინოვას ნარკვევი ქართულ ენაზე არაა თარგმნილი და უცნობია სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისთვის.

ავტორი აღწერს გეოგრაფიულ და არქიტექტურულ ლანდშაფტებს, ისტორიულ მოვლენებსა და ადგილობრივ ტრადიციებს, თუმცა ამ აღწერებს თან სდევს აშკარა იმპერიული ხედვა, რომელიც კულტურულ კოლონიზაციასა და ძალაუფლების ლეგიტიმაციას ემსახურება.

*„ტიფლისიდან ერივანისკენ მშენიერი გზა მიდის, რომელზეც შესაძლებელია მგზავრობა ნებისმიერი, დიდი და პატარა ეკიპაჟითაც. არც ტიფლისის, არც ერივანის პეიზაჟებში არაფერია მოგზაურის თვალისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველი. თვალის მხოლოდ მზით დამწვარ მდელოებზე ხეტილობს. მაგრამ როგორც კი დილიჟანის ბორცვს მიუახლოვდებით, დაინახავთ, როგორ იშლება თქვენ თვალწინ ცოცხალი, ხასხასა სიმწვანე – ბუნება აქ იმდენად მშენიერი, რომ სულს სიხარულით ავსებს. ბორცვთან დამახლოვებულ ყოველ ნაბიჯზე. თქვენ თვალწინ ახალი სურათი გადაიშლება: ხან ჩქარი დინებით მიედინება ნაკადული მარადმწვანე ბალახებში, ხან მთის ჯაჭვი იშლება ხეების გვირგვინით დაფარული მწვერვალებით, რომელიც გულს აგიფორიაქებთ, ხანაც უზარმაზარი კლდე წინ იწევს და თავისი ქვის მწვერვალით დრუბლებს ემუქრება. ამ ბუნებრივი გიგანტის სიახლოვეს კი თქვენ დაინახავთ უფსკრულს გაღებული ჰირით, რათა გადაგყლაპოთ. ამ უფსკრულის ფსკერზე კი, რომლის ხილვაც კი გულს გიფრთხილებთ, დაინახავთ პატარა ნაკადულს, რომელიც მშვიდად მიჩუხჩუხებს: ის თითქოს ურჩი ბავშვივითაა, რომელსაც რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაქცევა დედის კალთიდან იმ იმედით, რომ ის ვერ დაეწევა.*

<sup>118</sup> Малахова В. Г. «Городишко». Комментарий к повести М. Ю. Лермонтова «Тамань». Издание второе. Санкт-Петербург: Найди лесоруба, 2024, 464 с.

ერთ ადგილას გზა კლდეს უვლის გარს სერჰანტინივით. თავდაპირველად დაღმართი შეგაშინებთ, შემდეგ შიში ისევ დაგიბრუნდებათ, რადგან იქ, სადაც ელოდებით უფსკრულის ფსკერის დანახვას, თვალწინ გემულებათ მდიდარი საძოვრები. ან კლდეში გამოკვეთილი ციცაბო ბილიკით აღიხარ ბორცვზე და გეჩვენება, რომ ღრუბლებს შორის ხარ: თქვენგან ერთ მხარეს მალაა აზიდული კლდეა, მეორე მხარეს – რამდენიმე ასეული საყენი სიდრძის უფსკრული, რომლისგანაც ერთმანეთზე დაყრილი ქვების დიდი გროვა გაშორებთ. აი, ღრუბლები უფსკრულში ჩაეშვა და ახლა გგონიათ, რომ იგი თითქმის თქვენ ფერხთით არის. თქვენ ვერაფერს ხედავთ. ღრუბლებში დამალული უფსკრულის ძირი, ქაოსად გეჩვენებათ; გგონიათ, რომ მსოფლიოს მწვერვალზე დგახართ, იქ, სადაც ცა უზარმაზარი და სივრცე უსასრულოა. და კვლავ გრძნობთ გული უცნაური და აუხსნელი შიშისგან როგორ იკუმშება. განაგრძობთ გზაზე დაშვებას და კვლავ გაკვირვებთ ახალი მწვანე ბალახი, მოთიბული ველები, ცხოველები, რომლებიც ნაკადულით გაპოხიერებულ ახალ ბალახს ცოხნიან, ან მიწაზე მჯდომი მძიმე ტვირთისგან გათავისუფლებული აქლემები. და კვლავ ხედავთ ცას, ცისფერ ლაქვარდს. როგორც კი გადალახეთ მთის მწვერვალზე დასვენებული ღრუბელი, თქვენ წინ უკვე სხვა მწვერვლები ჩნდება, რომელთაც ასევე უკან მოიტოვებთ, და ისინი თანდათანობით გაქრებიან, მთა-მთაქვენ მათ ქარები და თქვენი მოხერხებული კიპაჟი. იჩქარეთ თავზე დაფარება, წინააღმდეგ შემთვევაში მზის დარტყმას მიიღებთ. აუცილებლად გაგაკვირვებთ, რამდენად სწრაფად ცვლის აქ სიცივეს თითქმის აუტანელი სიცხე.

სოფელ ჩუბუნლიში ჩასვლისას, რომელიც ერივანიდან 64 კერსის<sup>119</sup> მოშორებით მდებარეობს, მოგეჩვენებათ, თითქოს კვლავ მაღალი მთის მწვერვალზე ხართ. თქვენ ირგვლივ თოვლიანი მთე-

<sup>119</sup> ვერსი (რუს. верста) – სიგრძის საზომი ძველებური ერთეული რუსეთში, დასტურდება XII საუკუნიდან, იყენებდნენ 1918 წლამდე. საგზაო (путевая) ვერსი გამოიყენებოდა გზებზე მანძილის გასაზომად და XIX საუკუნემდე შეადგენდა 1066,8 მ. (1,07 კმ.).

ბია. და ეს თოვლი მუა ზაფხულშიც კი შეგახსენებთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოფელში ხართ, მაღლა მთებში აღმოჩნდით, საიდანაც ეს ნისლით დაფარული მწვერვალები მხოლოდ ბორცვებად გეჩვენებათ. სოფლის წინ გაშლილია გაგ-თეხას ტბა, ან სევანი, რომელიც ყოველი მხრიდან მთებით არის გარშემორტყმული, ზოგი მწვერვალი თოვლითაა დაფარული. ტბის წყლები ყოველთვის მშვიდია, და მაშინაც კი, როცა ძლიერი ქარი უბერავს, ტალღები თითქმის არ ჩნდება. ტბის ზედაპირზე კლდეა აღმართული, სადაც ორი ღარიბი უკლესიისგან შემდგარი სევანის მონასტერი დგას. და ქვემოთ, თითქმის ტბის დონეზე, ქვიშიანი ნაპირია, სადაც ბერების საცხოვრებელია. ადგილობრივი მოსახლეობა დიდი რწმენით მოგითხრობთ მოგზაურებს, რომ აქ არასდროს მოხდება უბედურება, რადგან, მათი თქმით, თვით ცა იცავს ამ წმინდა ადგილს ბერების ღოცვებისა და მათი წმინდა ცხოვრების წყალობით.

ტბა ტოპოგრაფიულადაც ძალიან კარგ ადგილას მდებარეობს: აქ ქარები არ ქრის და ქარიშხალი არ იცის. მონასტრის ნავსაყუდელთან ნავი დგას. ის მზად არის უყოყმანოდ გადაგიყვანოს მონასტერში, იქნები მდიდარი თუ ღარიბი, პილიგრიმი თუ ცნობისმოყვარე მოგზაური. მენავც კი ვერ გაბედავს შენგან საფასურის აღებას, თუნდაც კრუზივით მდიდარი იყო.

სევანის ბერები ცნობილი არიან თავიანთი ღვთისმომიშეებითა და წმინდა ცხოვრებით. ცნობისმოყვარე მოგზაურს ან მომლოცველს, რომელიც მონასტრის ნაპირას აღმოჩნდება, სრულ თავისუფლებას ანიჭებენ – შესაძლებელია სეირნობა და ყველაფრის დათვალიერება, რაც კი მოგესურვებათ. ძმები გულმოდგინედ ზრუნავენ სტუმრებზე: მდიდარსაც და ღარიბსაც ერთნაირად უმასპინძლებიან უფასო სადილით. ამბობენ, გაგ-ტეხის ტბა თევზით მდიდარია და ყოველ თვეს ახალ სახეობას აღმოაჩენენ ხოლმე. სექტემბერში აქ იჭრენ განსაკუთრებულ სახეობას, ბენიტუს სახელით ცნობილს. მთელი ტბის ცხენით შემოვლა შეიძლება, და ეს მგზავრობა, როგორც ამბობენ, სამ დღეს გრძელდება. აქაურობა დაუვიწყარ მთაბეჭდილებას ახდენს. მუდამ ცივა, თან ისე, რომ ხორბალი, რომელიც აქ მოჰყავთ, ძლივს ასწრებს სრულ სიმწიფეს.

ერივანი, სომხეთის პროვინციის დედაქალაქი, ბორცვებზეა გაშენებული. მდინარე ზანგა ხმაურით ეხეთქება მისი ციხის კედლებს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ეს ციხე, რომელიც რუსებმა 1827 წელს სპარსელებისგან გამოიხსნეს,<sup>120</sup> ისეთივე მტკიცეა, როგორც აზიის სხვა ციხეები; მისი ძლიერი კედლები ქონგურებით ბოლოვდება. ციხე ოთხი კვადრატული ვერსის ტერიტორიას იკავებს. სამხრეთ-აღმოსავლეთით, ციცაბო და საკმაოდ მაღალ კლდეზე, ადმართულია ერივნის სარდარის<sup>121</sup> სასახლე.<sup>122</sup> ახლა იქ სომხეთის ოლქის რუსი მმართველი ცხოვრობს. ციხის კედლების ძირას მდინარე ზანგაა, რომელიც ხმაურობს და მიაქანებს თავის სწრაფ წყლებს. გალერეიდან, საიდანაც თვალწინ იშლება საოცარი ხედი, შორს დაინახავთ ორფერდა ქვის გოლიათს, რომლის წვერს მარადიული თოვლი ფარავს. ესაა არარატის მთა.

*მოგესალმები შენ, ანტიკურო დიდებულებაჲ! შენ ფერხთით მდგარი ქედს ვიხრი შენ წინაშე, ძველო მწვერვალო. ხედავ, საუკუნეები როგორ გადის შენ თვალწინ! გესალმები შენ, სამყაროს რევო-*

<sup>120</sup> პასკევიჩმა 1827 წლის 26 ივნისს დაიკავა ნახიჩევანი, ხოლო 1 ოქტომბერს – ერევანი. ამ გამარჯვების გამო პასკევიჩს ეწოდა მეტსახელი „ერივანსკი“.

<sup>121</sup> სარდარი იყო პროვინციის უფროსი, რომელსაც თვით სპარსეთის შაჰი ნიშნავდა. მისი უფლებამოსილება შეუზღუდავი იყო (ავტორის შენიშვნა).

<sup>122</sup> სარდარის სასახლე (აზერ. Sərdar sarayı) – ერევნის ციხესიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ძველი ხანების სასახლე, რომელიც ააგო ერევნის სარდარმა, ამირგუნა ხან ყაჯარმა (1605–1625), ერევნის ციხესიმაგრის აგებისას (1610 წელი). მუჰამედ ხანმა (1784–1805) ააგო სასახლის საზაფხულო რეზიდენცია და სარკეებიანი დარბაზი, რომელსაც „მუშაბანდს“ უწოდებდნენ. სარდარის სასახლის დიდი მისაღები ოთახის კედლებზე გამოფენილი იყო ჰუსეინ ხანის, მისი ძმის, ჰასან ხანის, სპარსული ლეგენდების გმირის ფარამაზის, ფათალი შაჰის (1797–1834), აბას მირზას (1784–1833), რუსტამისა და სოხრაბის პორტრეტები. 1913–1918 წლებში სომხებმა სასახლე დაანგრეს, ხოლო 1918 წელს მიწასთან გაასწორეს. სასახლეში არსებული პორტრეტები გადაიტანეს თბილისში და ამჟამად ისინი ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ლუციების ძველო მოწმე! მითხარი, ამ ცვლილებების ეპოქაში რის გამო რჩები მაინც შენი უხუცესი ბუნების ერთგული? ნუთუ, ამიტომ დაგსაჯეს?! როგორც კი დმერთმა შეგემნა, სასოწარჴვეთით აღიმართე არარსებულიდან ცისკენ. ნუთუ ეს ზედმეტად მკაცრი სასჯელი არ არის – მარადიულ ყინვებთან მიჯაჭვულობა, რომელმაც ნახევარ გზაზე შეგბოჭა!

სარდარების სასახლის უბოში ყველაზე გამორჩეული ადგილია სარკეების დარბაზი, რომელსაც ასე მოიხსენიებენ რუსები, რადგან მისი კედლები მთლიანად მოპირკეთებულია სარკეებით, რომელთაგან ყველაზე დიდი სიგანეში დაახლოებით 3,4 ლოკოტია,<sup>123</sup> ხოლო სიგრძეში – ლოკოტამდე ან მეტი. სარკეებს შორის სივრცეები ოსტატურად არის მოხატული აღმოსავლური სტილის ორნამენტებით. დარბაზს ორი გასასვლელი აქვს: ერთი ზანგის მხარეს გადის, საიდანაც შორს მოჩანს არარატის მთის წვერები; მეორე კი კვადრატულ უბოში გადის, რომლის შუაგულში მადრეჯანია განთავსებული. სვეტები, რომლებიც ჟრს ამაგრებს, ასევე მოპირკეთებულია სარკეების ნატეხებით. თავად ჟრის ცენტრზეც სარკეებია განთავსებული. ღია მწვანე ფონზე, ჟრელი ფერებში, გამოსახულია რამდენიმე პორტრეტი: სპარსელი ფეთჰალი-შაჰის,<sup>124</sup> მისი შვილის

<sup>123</sup> ლოკოტი (რუს. локоть) – სიგრძის საზომი ერთეულია, რომელსაც კონკრეტული მნიშვნელობა არ აქვს და დაახლოებით შეესაბამება იდაყვის სახსრიდან ხელის გაშლილი შუა თითის ბოლომდე დაშორებას. XVI საუკუნიდან მოყოლებული, ლოკოტი თანდათან არმინით შეიცვალა.

<sup>124</sup> ფათალი-შაჰი (1772–1834) – ირანის შაჰი (1797–1834) ყაჯართა დინასტიიდან. აღა-შაჰმად-ხანის ძმისშვილი. მის გამგებლობაში ფეოდალური შინაომებით დასუსტებული ირანი ევროპული კოლონიალიზმის მსხვერპლი გახდა. არმიაში შემოიღეს ევროპული სამხედრო ორგანიზაციისა და ჯარისკაცთა სწავლის მეთოდები. ფათალი-შაჰმა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები დადო საფრანგეთთან (1807), დიდ ბრიტანეთთან (1801, 1809, 1814), რუსეთთან (1813, 1828). ფათალი-შაჰი ამიერკავკასიის ქვეყნებზე აცხადებდა პრეტენზიას, რასაც მოჰყვა 1804-1813 და 1826-1828 წლების ირან-რუსეთის ომები.

აბბას-მირზას,<sup>125</sup> რომელიც მოქმედი შაჰის მამაა; ჰუსეინ-ხანის, ერივანის უკანასკნელი სარდარის და მისი ძმის, ჰასან-ხანის, რომელიც მთელ აზიაში ცნობილია სიმამაცით – იგი 1826 წელს სპარსეთთან ომში რუსებს ტყვედ ჩაუვარდა. აქვე სხვა ცნობილი სპარსელი გმირების პორტრეტების ნახვაც შეიძლება, ბრწყინვალე სამოსითა და სამხედრო დიდებულებით. აქვეა სპარსეთის ისტორიის პოლიტიკურ და რელიგიურ სიუჟეტების ამსახველი მცირე ზომის ნახატებიც.

დარბაზის შესასვლელის თავზე დიდი ნახატია ჩამოკიდებული, რომელზეც ფეთჰ-ალი-შაჰის ნადირობაა გამოსახული; მის მოპირდაპირედ კიდია იმავე ზომის ნახატი, რომელზეც ნადირ-შაჰის<sup>126</sup> ინდოეთში ლაშქრობაში წასვლაა წარმოდგენილი. ავეჯიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რამდენიმე ევროპული სავარძელი და ორი უჩვეულოდ ვიწრო დივანი, ერთმანეთის პირისპირ მოთავსებული, რომლებიც უკანასკნელ სარდარს ეკუთვნოდა. აქვე არის შადრევანიც, რომლის წყალი თეთრი მარმარილოს აუზში ჩაედინება. ნაპრალებზე მარმარილო ბუნებრივი ქვის ნატეხებით არის შეცვლილი. სარდარის ყველა ცოლს საკუთარი მსახურები და კარის ხალხი ჰყავდა. ამ უზომი მოსახვედრად უნდა გაეკლოთ ერ-

<sup>125</sup> აბას-მირზა (1789-1833) – ირანის სახელმწიფო მოღვაწე, ფათალი-შაჰის ძე და მემკვიდრე. აზერბაიჯანის ბეგლარბეგი. ირანის სახელმწიფო საქმებისა და საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივი გამგებელი. ძირითად ამოცანად მიაჩნდა ამიერკავკასიიდან რუსეთის განდევნა. სარდლობდა ირანის ლაშქარს რუსეთ-ირანის 1804-1813 და 1826-1828 წლების ომების დროს. სცადა ირანის სამხედრო ძალების ევროპულ წესით რეორგანიზაცია. აბას-მირზამ მჭიდრო კავშირი დაამყარა საქართველოს რუსეთთან შეერთებით უკმაყოფილო ქართველ ფეოდალებთან, რომელთა ერთი ნაწილი თავრიზში მის კარზე იმყოფებოდა. 1828 წელს იძულებული გახდა ხელი მოეწერა რუსეთთან თურქმანჩაის ზავზე და ეცნო ამიერკავკასიაში ირანის სამფლობელოების დაკარგვა.

<sup>126</sup> ნადირ-შაჰ ავშარი (იგივე თამაზ I ყული-ხანი; 1688-1747) – ირანის შაჰი 1736–1747 წლებში, ყიზილბაშთა ავშარის ტომიდან. მან დამპყობლური ომების შედეგად შექმნა უზარმაზარი სახელმწიფო, რომელშიც ირანის გარდა (პროვინციების ან ვასალური ტერიტორიების სახით) შევიდა სომხეთი, აზერბაიჯანი, აღმოსავლეთ საქართველო, დაღესტანი, ავღანეთი, ბელუჯისტანი, ხივისა და ბუხარის სახანოები.

თმანეთზე უფრო ვიწრო მრავალი მოსახვევი. მას აქვს უზარმაზარი კვადრატის ფორმა და აქ გამოდის სასახლის საცხოვრებელი ოთახების უმრავლესობა. ოდესღაც მრავალი დრამატული მოვლენის მოწმე ეს უზო, ახლა მოგზაურისთვის არაფრით არაა საინტერესო.

ოთახებში შვედი: ყველგან ბევრი ნიშა იყო, მაგრამ კედლები ახლანაჲნ შეღებეს და თეთრი საღებავის ქვეშ გაქრა იმ ადამიანების კვალი, რომლებიც ოდესღაც ცხოვრობდნენ ამ ოთახებში და იმ დროს საიდუმლოების ბურუსით იყვენენ მოცული. არსებობს ერთი ლეგენდა: ერთხელ ერივანის უკანასკნელი სარდარი<sup>127</sup> შეხვდა იშვიათი სილამაზის ახალგაზრდა სომეხ ქალს და შეუყვარდა. ტრადიციის მიხედვით, ძალაუფლების მქონე ხელისუფალის სურვილს წინ ვერავინ აღუდგებოდა. სარდარმა ოქრო გადაიხადა და უბედური ქალი მაშინვე მიიყვანეს სასახლეში და ჰარემში მოათავსეს. მაგრამ ჰარემის სხვა ქალებმა ის სამიშ მეტოქედ აღიქვეს. ახალმისულმა ვერსად იპოვა სიმშვიდე და იმედი და ახალგაზრდა სომეხი ქალი სევდამ მოიცვა. მთელი დღე ის მხოლოდ იჯდა და თავის მძიბე ბედს დასტიროდა.

ის საერთოდ ვერ ამჩნევდა, რომ მეტოქეები სასტიკად დასცინოდნენ. საწყალი აქ მოხვედრამდე შეყვარებული და დანიშნული იყო იმაზე, ვისაც უპირობოდ ეკუთვნოდა მისი გული. საბოლოოდ, მეტოქეებმა ის ნაღველთან ერთად მარტო დატოვეს და ქალიშვილი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ერთხელ, სამხრეთის სადამოს სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად ფანჯარა გააღო, რომელიც ზანგის ნაპირისკენ გადიოდა და უცებ გაიგონა სევდიანი ხმა, რომელიც მეორე ნაპირიდან მოდიოდა. შეკრთა, რადგან სიმღერა იცნო – მისი საბედო იყო. თვალის დახამხამებაში ფანჯარიდან გადახტა. ციხის კედელთან, რომელიც მდინარის პირას იდგა, ასწლიანი ხეები იზრდებოდა. გოგონა ერთ-ერთზე ავიდა და თავი ყულფში გაყო. ეს სამინელი სურათი

<sup>127</sup> ჰუსეინ ხან ყაზვანი დეველუ ყაჯარი, ასევე ცნობილი როგორც ჰუსეინ ყული ხან ერივანის სარდარი (1743-1831) – ერივანის სახანოს უკანასკნელი მმართველი (სარდარი) (1808 – 1828).

რომ დაინახა, საქმრო გაიქცა. იმ დროს ჰუსეინ-ხანი დიდ დარბაზში, მალა, დივანზე იჯდა. მას დავიწყებოდა თავისი ჩილიმი და თვალწინ გადამლილი ულამაზესი ხეღით ტკებოდა, რომელსაც დიადი და მარადიული არარატი აგვირგვინებდა. უცებ გაქცეული ყმაწვილი შეამჩნია. მიმოიხედა, რომ გაეგო, რატომ მირბოდა და რა დაინახა?.. მის საყვარელ ოდალისკას<sup>128</sup> თავი ხეზე ჩამოეკიდა. ხანი ყველაფერს მიხვდა. გაქცეული შეიპყრეს. ახალგაზრდა სომეხი გოგონა ჩამოხსნეს და მბრძანებელთან მიიყვანეს. გოგონა შუად იყო ნებისმიერი სასჯელისთვის, გარდა ჰარემში მოხვედრისა. იგი მიენდო სარდარის ნებას და ჩადენილისთვის სიკვდილს ელოდა. მაგრამ ჰუსეინ-ხანი დიდსულოვნად მოიქცა: აპატია გოგონას, შეყვარებულს გააყოლა და მდიდრულად დაასაჩუქრა.

ჰუსეინ-ხანი დაბალი წარმოშობის იყო, თავისი კარიერა ხორბლით ვაჭრობით დაიწყო. დიდი ჭკუის, და დახვეწილი გემოვნების მქონემ, მალე მიიპყრო მმართველის ყურადღება; შემდეგ მოიპოვა მისი ნდობა და ასე მიაღწია იმპერიის პირველი კარისკაცის წოდებას. თავისი თანამემამულეების მსგავსად, იყო დიდად მორწმუნე, თუმცა არასოდეს მიდიოდა ფანატიზმამდე. ქმედარიტად მორწმუნე დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ყველა რელიგიას, მათ შორის, სომხურ ეკლესიას. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ამ ეკლესიისთვის წაერთმია სიმდიდრე, განსაკუთრებით, ეჩმიაძინის მონასტრის ძვირფასი რელიკვიები.

ერივანის შენობები განსაკუთრებული არაფრით გამოირჩევა: ქარვასლა ძალიან ღარიბია, მრავალრიცხოვანი ბაღები ქალაქს სი-

<sup>128</sup> ოდალისკა (ფრანგ. odalisque, ოსმალ. اودالیک -დან (udalik), თავის მხრივ, ქართულ ოდას უკავშირდება, „ოდა“ არაბული „ოთაყ“-ის (اطاق) განმტობება, ანუ „ოთახის გოგონა“) – ოსმალური ჰარამხანის მსახური. დასავლეთში ოდალისკები, ოსმალური რეალიის არასწორად გაგების გამო, ხარჭებდა ან სექსმონებად აღიქმებოდნენ, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ისინი ჩვეულებრივი მოახლეები და მსახურები იყვნენ. XVIII საუკუნეში ტერმინი გამოიყენებოდა მხატვრობის ეროტიკული ჟანრის გადმოსაცემად, რომელიც გვერდზე მწოლიარე შიშველ აღმოსავლელ ქალს გამოსახავდა.

ცოცხლის ელფერს სძენს. ახლოს, ყველგან, ხეხილი და ვერხვები იზრდება, რომლებიც ადგილობრივი სახლებისთვის ღობის ფუნქციას ასრულებს, სიმწვანეს ღრმა შემოდგომამდე ინარჩუნებენ, მაშინ როცა სხვა ბალახი აქ ყვითელია; მზე ზაფხულის დასაწყისშივე წვავს ბალახს.

მოსახლეობის დიდი ნაწილი, და თვით მთავრობის პირებიც კი, ზაფხულში ტოვებენ ქალაქს და მთებში მიდიან, რომ ძლიერ სიცხეს გაექნენ. ბაღში, რომელიც მდინარე ზანგის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს და სარდარის სასახლეს ეკუთვნის, რამდენიმე სართულიანი, ადმოსავლური სტილის მრავალფერად მოხატულ-ფანჯრებიანი ბრწყინვალე კიოსკი<sup>129</sup> დგას. საინტერესოა ისიც, რომ თავადი მენშიკოვი<sup>130</sup> აქ იმყოფებოდა 1827 წელს რუსეთ-სპარსეთის ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე.<sup>131</sup> ვენახები აქ დაბალ სვეტებზეა გაშენებული, რომლებსაც ნესვის და კიტრისთვის იყენებენ ყურძენს გამორჩეული გემო აქვს, მისგან მიღებულ ღვინოს საუკეთესოდ არ თვლიან, თუმცა თავბრუსხვევას იწვევს. ამ ბაღში დაახლოებით ოცდათექვსმეტი ჯიშის ყურძენს ითვლიან.

ახლა ერივანში ჩემი ყოფნის შესახებ: მე დავბინავდი იმ ოთახებში, სადაც ადრე სარდარი ცხოვრობდა. ერთ-ერთ ოთახში დავი-

<sup>129</sup> სიტყვა „კიოსკი“ რუსულ ენაში XVIII საუკუნეში ფრანგულიდან შევიდა – kiosque (ჯიხური), რომელიც მომდინარეობს იტალიური chiosco-დან, თურქული köşk-დან (იგულისხმება ყვავილების პავილიონი), შემდეგ კი სპარსული küşk-დან (სასახლე).

<sup>130</sup> ალექსანდრ სერგეის ძე მენშიკოვი (1787–1869) – რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი (1817 წლის 6 ოქტომბერი), ადმირალი (1833 წლის 6 დეკემბერი). გენერალური საზღვაო შტაბის უფროსი (1829–1855), რუსეთის იმპერიის საზღვაო მინისტრი (1836–1855), ფინეთის გენერალ-გუბერნატორი (1831–1854). პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის (1831) და რუსეთის აკადემიის (1835) საპატიო წევრი.

<sup>131</sup> ალექსანდრ მენშიკოვი, როცა ირანთან მოლაპარაკება ჩაიშალა და რუსეთში ბრუნდებოდა, ერივანის ხანის მიწვევით იმყოფებოდა მის აგარაკზე, მაგრამ სხვადასხვა საბაბით იქ ერთ თვეზე მეტხანს მოუწია დარჩენა (ფაქტობრივად, დააკავეს) და მხოლოდ ბრიტანეთის ელჩის ჩარევის შემდეგ შეძლო იქაურობის დატოვება.

ნახე კელელში ჩამუნებული ჰატარა ჩარჩო. შუშის ქვეშ ასეთი წარწერა იყო: „ნიკოლაი, 5 ოქტომბერი, 1837.“ ეს იყო იმპერატორ ნიკოლაი I-ის გაკეთებული წარწერა, რომელმაც 1837 წელს საქართველოში იმობილიზაცია და ამ ოთახში უძინა. მიღებით, თავისი ქვეშევრდომების ერთგულებითა და მასპინძლობით კმაყოფილმა, სომხების სტუმართმოყვარეობის ხსოვნის აღსანიშნავად ეს სიტყვები კელელზე დაწერა. როგორც კი მონარქი წავიდა, სომხებმა ეს წარწერა ჩარჩოში მოათავსეს და შუშით დაფარეს, რომ იმპერატორის სიტყვები შემენარჩუნებინათ, რითაც ისინი ძალიან ამაყოფილდნენ.

მეჩეთები მოვინახულე: მთავარი მეჩეთი ახლა იარადის საწყობად გამოიყენება, სხვაში კი ბევრი ხალხი იყო. თავიდან შესვლა ვერ გავბედე, რადგან შეგონა, რომ ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობისთვის დამსჯიდნენ. მაგრამ მომსვლელებმა შეამჩნიეს ჩემი უხერხულობა და თავად შემიპატიეს. მათ ისე მიმიღეს, როგორც ოჯახის წევრი და დაუძახეს ტოლმაჩს,<sup>132</sup> რომელსაც ყოველთვის უხმობენ თავის კეთილ ფადიშაჰზე ლოცვის დროს (რომელიც მათთვის რუსი მეფის ტოლია).

ბევრი რამ მომიყვნენ გელარტის ეკლესიაზე, რომელიც ერივანიდან დაახლოებით ოცდაათი ვერსითაა დაშორებული. ეს გასაოცარი ეკლესია დიდი სვეტებით და აივნებით, როგორც ამბობენ, გამოკვეთილია ერთი მთლიანი კლდიდან. ადგილობრივებს სჯერათ, რომ მის მფარველს და დამაარსებელს თვით ღვთის განგება უხმარებოდა, რადგან მის შემდეგ ვერავინ შეძლო მსგავსი საოცრების შექმნა. ძალიან მინდოდა მენახა ეს ეკლესია, მაგრამ ჩემი სურვილი ვერ შესრულდა – იქ შეიძლებოდა მისვლა ან ფეხით, ან ცხენით და ეს ვერ მოვახერხე.

ვნახე ყველაფერი, რისი ნახვაც შეიძლებოდა ერივანში და სურვილი გამიჩნდა წავსულიყავი ეჩმიადინის მონასტერში და სტუმრად მივსულიყავი სომეხთა პატრიარქთან – სომხური ეკლესიის წინამძღოლთან, რომლის სამწყსო მთელ მსოფლიოშია გაფანტული.

<sup>132</sup> ტოლმაჩი (რუს. Толмач) – თარჯიმანი.

პროვინციის უფროსმა შემირჩია ჩემთვის ესკორტი ოცი მხედრით, ყველაზე კოლორიტული ქურთების ტომიდან (ეს არის მომთაბარე ტომი, რომელიც ცხოვრობს მდინარე არაქსის ნაპირზე; ისინი მუსლიმები არიან).

ეს იყო საპატიო ესკორტი, რომელიც, ძველი ტრადიციის მიხედვით, მოგზაურს ახლავს. ესკორტის ხალხი მთელი გზის განმავლობაში მონასტრამდე მამხიარულებდა: ისინი მთელი ძალით მიქროდნენ და განუწყვეტლად ისროდნენ ჰაერში, ან ვინმე მათგანი იწყებდა სიმღერას გაბრწყინებული და უცნაური სახით. მგზავრობისას დახარჯული დრო სულ საათ-ნახევარი გაგრძელდა და სწრაფად გავიდა.

ეჩმიადინის მონასტერი მდებარეობს დაბლობზე, რომელიც მაღალი კლდეებითაა გარშემორტყმული; მათზე ზოგან კოშკებიც მოჩანს. წყალი აქ საიდუმლო არხებით მოედინება, რომლებიც ძველი ტაძრის სარდაფითაა დაფარული. როგორ შემოედინება აქ, ამას მონასტერი დიდ საიდუმლოდ ინახავს. ეს მხოლოდ ერთმა, საძმოს მიერ არჩეულმა ბერმა იცის. როდესაც ის თავისი სიკვდილის მოახლოებას გრძნობს, ვალდებულია კონვერტი მიიღოს და საიდუმლო გადასცეს იმას, ვინც ღირსია გახდეს მისი მემკვიდრე.

და ამ მემკვიდრემ კონვერტის გახსნის შემდეგ უნდა დაიფიცოს, რომ გულმოდგინედ დაიცავს მონასტრის დიდ საიდუმლოს, თუნდაც სიკვდილით დასჯისას. ასეთი სიფრთხილე და წინდახედულება გარემოებებმა განაპირობა: იმ დროს სომეხი ქრისტიანები სპარსელების უღელქვეშ ცხოვრობდნენ, რომელთაც წყლის ჰოვანისთანავე შეუძლოთ არხის გადაკეტვა, მონასტრის წყლის გარეშე დატოვება და ამით ბერების წელი სიკვდილისთვის გაწირვა. ამიტომ არც თავად წინამძღვარმა იცის ეს საიდუმლო. ეჩმიადინში არის სემინარია, სტამბა და ბიბლიოთეკა. ასევე არის ეზო, რომლის ნაწილი მოგზაურების საჭიროებებისთვის არის გამოყოფილი. მდიდრებსა და დარბებებს შეუძლიათ აქ სრულიად უფასოდ იცხოვრონ და აქ ნებისმიერს გულთბილად მიიღებენ. მე დავბინავდი ოთახებში, რომლებსაც წინა პატრიარქი იყენებდა სიკვდილამდე

ცოტა ხნის წინ. ახლანდელი პატრიარქი იოანე<sup>133</sup> წინასწარ გააფრთხილეს ჩემს ჩამოსვლის შესახებ, და მან ბრძანა გადმოეცათ, რომ მიმიღებდა, მაგრამ მხოლოდ ხვალ დილით, რადგან ჩემი ჩამოსვლის დღეს მონასტრის საძმო მარხულობდა და გულმოდგინედ ღოცულობდა. ამ დღეს მე ჩემს ნებაზე ვიყავი: თავისუფლად ვსეირნობდი, ვეწვიე ტაძარს, სასაფლაოს, სატრაპეზოს – ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც მონასტრის კედლებს შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მდებარეობდა.

ეკლესიის დაარსებას ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის დასაწყისს მიკუთვნებენ, როდესაც ქრისტიანობა სწრაფად ვრცელდებოდა სომხეთში. ის გაუთლელი ქვით არის ნაგები. მიუხედავად იმისა, რომ ინტერიერი აღმოსავლური სტილის ორნამენტებით არის მოხატული, ეკლესია მდიდრულად არ გამოიყურება. ჩემი ყურადღება მხოლოდ კათედრამ მიიქცია, რომელიც ლამაზი ამოკვეთილი რელიეფებით არის მორთული. ეს რომის პაპ ბენედიქტ XIV-ის საჩუქარია. ეკლესიის მახლობლად არის თეთრი მარმარილოს სამარხი. მასზე არის წარწერა სამ ენაზე: ინგლისურად, ბერძნულად და სომხურად: „აქ განისვენებს ღორდ მაკდონალდის ნეშტი, რომელიც იყო ბრიტანეთის წარმომადგენელი სპარსეთში და თებრიზში<sup>134</sup> გარდაიცვალა“. მან თავადვე დააპროექტა ეს სამარხი საკუთარი თავისთვის.

რეფექტორია,<sup>135</sup> სადაც მე ვიმყოფებოდი, საკმაოდ ღარიბული და საცოდავი მომეჩვენა: გრძელი, ვიწრო და ნესტიანი; შუქი ძლივს აღწევდა პატარა ფანჯრებიდან. აქ იყო ქვისგან უხეშად გათლილი მაგიდების ორი რიგი, ასეთივე ქვის და უხეში სკამები – აი, მთელი რეფექტორია.

პატრიარქის სავარძელი სხვებზე მაღლა იყო, რადგან ხის შემადგენლებზე იდგა, რომელიც უზარმაზარ ქვის ფილაზე იყო და-

<sup>133</sup> იოანეს VIII კარბეცი (1762-1842) – ყოველთა სომეხთა კათალიკოსი 1831–1842 წლებში.

<sup>134</sup> თებრიზი – თავრიზი.

<sup>135</sup> რეფექტორია – სასადილო ოთახი, სატრაპეზო.

დგმული. კედელთან იყო მედავთნის ადგილი. სასაფლაო მონასტრის საზღვრებს მიღმა მდებარეობდა და მაღალი ღობით იყო გარშემორტყმული. მის გვერდით რამდენიმე რიგად ხეები იზრდებოდა, რაც მარადიული განსასვენებლის ადგილს განსაკუთრებულ მშვენიერებას ანიჭებდა. საფლავის ქვები ერთმანეთის მსგავსი იყო – ყველა ძალიან უბრალო, გარდა ერთის, თეთრი მარმარილოსგან დაშალებულის, რომელიც სასაფლაოს ცენტრში იდგა. ცოტა მოშორებით იდგა მემორიალი, მცირე კაპელას მსგავსი. მის ქვეშ განისვენებდა წინა პატრიარქის ნეშტი, რომელმაც წინამძღვრებიდან პირველმა მოინდომა დაკრძალულიყო როგორც რიგით ბერი საერთო სასაფლაოზე, თავის ძმებს შორის. მე დავინახე ერთი საფლავის ქვა, თითქოს წიადიდან იყო ამოგლეჯილი და მიწაზე ეგდო. ვკითხე, ვისი იყო. აღმოჩნდა, რომ ეკუთვნოდა ახლა ცოცხალ ერთ-ერთ მორწმუნეს, რომელმაც უკვე ამოირჩია ადგილი – ეს ფილა მისი მომავალი საფლავისთვისაა განუთვნილი.

მეორე დღეს, დილის ექვს საათზე, პატრიარქისგან მივიღე ცნობა, რომ შუად იყო მივლე. როცა შევედი მის მოსასვენებელში, დავინახე სინოდის ყველა წევრი, პროკურორი და ჩემთან ერთად წინა დღეს ჩამოსული მრავალი ჩინოვნიკი. მე გამიყვანეს გალერეაში, რომელიც უზომში გადიოდა, რომლის ცენტრში გაშლილი იყო ყვავილების ხალიჩა. იქ რამდენიმე წუთი გავატარე. სინოდის წევრებთან ერთად, აუდიენციის მოლოდინში, გალერეაში ჩამოვიდებულ პორტრეტებს ვათვალიერებდი: ნიკოლაი I-ის, საქართველოში ამჟამინდელი კავკასიის ცალკეული კორპუსის სარდლის, გენერალ გოლოვინის, მისი ორი წინამორბედის – გენერალ თავად პასკევიჩისა და ბარონ როზენის, რომელიც სომხეთის ოლქის ბოლო უფროსი იყო.

შუუძღებელი იყო არ აღვფრთოვანებულიყავი ქსოვილით, რომელიც ამშვენებდა გრძელ ტანტს. ეს ქსოვილი მონასტერს ინდოეთში მცხოვრებმა ღარიბმა და მდიდარმა სომხებმა შესწირეს; ის არის ოქროს და აბრეშუმის ძაფებით ამოქარგული უმშვენიერესი

თეთრი ჰიკე. ბოლოს მაცნობეს, რომ პატრიარქი მელოდებოდა. სხვა სასულიერო პირებთან ერთად შვედი თაღოვან ორსართულიან დარბაზში, რომლის კედლებიც იკლიკანტურ (დახლართულ) ორნამენტებში მოქცეული წმინდანების სახეებით იყო მოხატული. ოთხმოცი წლის მოხუცი, აღმასებით მორთული ხავერდის იასამნისფერი სამოსით, იჯდა დარბაზის სიღრმეში, სპარსული ხალიჩით გადაფარებულ სავარძელში – ეს იყო პატრიარქი. დარბაზის გავლით მივუახლოვდი მას; ის წამოდგა, რათა მე და ჩემთან ერთად ყველა, ვინც ამ აუდიენციაში მონაწილეობდა, დაელოცა. შემდეგ მან მიგვიწვია დასაჯდომად, მიგვითითა კედლის გასწვრივ მდგომ ევროპული ტიპის სკამებზე. პატრიარქი, როგორც ჩანდა, ცდილობდა თავისი ჩვენზე დიდებული შთაბეჭდილება მოეხდინა და ამისთვის თავის აღმოსავლურ ტაქტიკას სრულად მიმართა, მაგრამ მალევე საუბრით აღელვებულმა, სიამოვნებით გაგვიბა საუბარი და მრავალი სასიამოვნო სიტყვა გვითხრა.

ნახევარი საათში ზარის ხმა გაისმა, რომელიც მსახურების დაწყებას ნიშნავდა. ჩვენ სწრაფად დავტოვეთ დარბაზი და წირვას დავესწარიით. პატრიარქი რომის პაპის მიერ ნაჩუქარ ტახტზე იჯდა. მსახურება ძალზე საზეიმო მეჩვენა. სომხური ღვთისმსახურება კათოლიკურ და ბერძნულ რიტუალებს აერთიანებს. მესის დამთავრების შემდეგ წმინდანთა რელიკვიები გვაჩვენეს; მათ შორის, მახვილი, რომლითაც ქრისტეს ჭრილობა მიაყენეს; ასევე, დიდი ჯვრის ნაწილი და თავსაბურავი მოსასხამით, რომელსაც ეჩმიაძინის მახლობლად ქალთა მონასტრის დამაარსებელი, წმინდა რიფსიმე ატარებდა. წმინდა რიფსიმე ამ მიწაზე თერთმეტ გოგონასთან ერთად რომიდან მოვიდა, რათა სომხეთში ქრისტიანობა ექადაგა. ის მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა. როგორც ამბობენ, განსაკუთრებული სიღამაზე ჰქონდა და ბევრ წარმართ მეფეს უყვარდა და მისი ცოლად შერთვა სურდათ, მაგრამ მან ღირსეული სიკვდილი არჩია. მონასტერში, რომელიც მან დააარსა, დღეს მხოლოდ ერთი ბერი ცხოვრობს, რომელიც ეჩმიაძინის მონასტრის კუთვნილი

ახლომდებარე სოფლების სამეურნეო საქმეებს უძღვება. მსახურების შემდეგ სასულიერო პირებთან ერთად ვისადილე; არ იყო მხოლოდ ჰატრიარქი, რადგან, წესის მიხედვით, მას ეკრძალება საერო პირებთან ერთ მაგიდასთან ჯდომა. სუფრაზე მხოლოდ ადგილობრივი (ეროვნული) კერძები იყო.

ეჩმიადინის მახლობლად დგას ძეგლი, რომელიც საძმოს ხარჯებით დაუდგეს იმ რუს ოფიცრებს, რომლებიც 1828 წელს მონასტრის დაცვისას სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუპნენ. იმ დროს აქ მთელი ბატალიონი დაეცა სწორედ იმ წუთებში, როცა ისინი, სიჩქარეში, ცხენებს წყალს ასმევდნენ.

ეჩმიადინის მიდამოებში მოჰყავთ ბამბა და ბრინჯი – ეს არის სომხეთის ოლქის მთავარი პროდუქტები.

სადილის შემდეგ უკანა გზას დავადექი, ერივანისკენ“.

ეკატერინა ლაჩინოვას ნარკვევი მნიშვნელოვანი წყაროა XIX საუკუნის კავკასიის ისტორიის, რუსეთის იმპერიული პოლიტიკისა და სომეხი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისთვის. თხზულება გარკვეულწილად იმპერიული პროპაგანდის ელემენტებსაც შეიცავს, კერძოდ, რუსული ადმინისტრაციის პოლიტიკა დადებითად არის წარმოჩენილი.

ნარკვევში ერევანი უკვე განიხილება არა როგორც უცხო და დაშორებული აღმოსავლური ციხესიმაგრე, არამედ როგორც რუსული პროვინცია, რუსეთის გეოგრაფიული და კულტურული სივრცის ნაწილი, სადაც იმპერატორის ხელწერა კედლებზეა დაცული და მმართველი რუსია. ავტორი ხაზს უსვამს 1827 წელს რუსების მიერ ერევნის ციხესიმაგრის „გამოხსნის“ ფაქტს და სამხედრო დაპყრობას წარმოსახავს როგორც განმათავისუფლებელ ქმედებას. ქალაქში არსებული სარდარის სასახლე, სადაც ავტორი თავად ჩერდება, უკვე რუსი მმართველის რეზიდენციაა და იქ არსებული სპარსული წარსული თითქოს მხოლოდ დეკო-

რაციული მოგონებაა. მწერალი აღნიშნავს, რომ რუსების მიერ ოთახებში კედლები უკვე თეთრად არის გადაღებილი და „აღრე მაცხოვრებლების კვალი“ წაშლილია. ეს ცვლილება სიმბოლურად წარმოაჩენს იმპერიის ძალისხმევას სივრცის კულტურული რეკონსტრუქციისკენ.

ეკ. ლაჩინოვას თანახმად, სომხები ნიკოლაი I-ის მიერ დატოვებულ წარწერას იმპერატორის მიერ გამოხატული კეთილგანწყობისა და მათი ერთგულების სიმბოლოდ აღიქვამენ. ეს შემთხვევა მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ ხდება იმპერიული ავტორიტეტის კულტად ქცევა და მისი სიმბოლიკის ხანგრძლივად ჩანერგვა მეხსიერებაში. ამ ჟესტით სომხებმა თვითონ დაადასტურეს თავიანთ ერთგულება რუსეთის მიმართ.

რელიგიური სივრცის პოლიტიზირებას და მის იმპერიულ სტრატეგიაში ინტეგრირებას წარმოაჩენს იმის აღნიშვნა, რომ ეჩმიადინის მონასტრის გალერეაში გამოფენილი იყო რუსი იმპერატორის ნიკოლაი I-ის და იმპერიის მაღალჩინოსნების – გენერალ გოლოვინის, თავად პასკევიჩის და ბარონ როზენის – პორტრეტები, ანუ რელიგიური და სამხედრო ძალა XIX საუკუნის 30-იანი წლების სომხეთში უკვე შეერთებულია. იმ ფაქტის აღნიშვნით, რომ მონასტერში შეთავაზებული ყველა სადილი ადგილობრივი, ანუ ეროვნული იყო, მწერალი, სავარაუდოდ, ხაზს უსვამს ტრადიციული კულტურის ავთენტურობასა და მის თანაარსებობას იმპერიულ რეალობასთან.

მწერალი სამხედრო ტრაგედიის მონუმენტზე საუბრისას ცდილობს მკითხველში შერეული გრძნობები გამოიწვიოს: თანაგრძნობა, ტრაგედიის განცდა და პატივისცემა. ავტორი მკაფიოდ აფიქსირებს რუსული ჯარის თავდადებას და ადგილობრივი მოსახლეობის მაღლიერებას, რაც იმპერიის „განმათავისუფლებელი“ როლის ხაზგასმას ემსახურება.

ეკატერინა ლაჩინოვა არ არის უბრალოდ მოგზაური; ის იმპერიის ინტელიგენციის წარმომადგენელია. რუსი არისტოკრატი ქალბატონი ეხმარება იმპერიას არა იარაღით, არამედ სიტყვით. ის ქმნის გზას, რომელზეც რუსეთის ძალაუფლება მშვიდად და აუღელვებლად ვრცელდება. ნარკვევი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს როგორც სამოგზაურო ლიტერატურაში, ასევე რეგიონის შესახებ არსებულ ისტორიული წყაროების ნუსხაში.

## თავი III

---

### უცნობი ავტორი – „კავკასიის ცალკეული კორპუსის ჯარისკაცი“

კავკასიის რეგიონში რუსი სამხედროებისთვის სამსახური მძიმე და გამორჩეულად ტრავმული იყო, რაც მათ პირად ცხოვრებაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. კავკასიაში გამართული ბრძოლები ხშირად პირველი სამხედრო გამოწვევა იყო ბევრი ახალგაზრდა ჯარისკაცისთვის, რომლებიც მშვიდობიანი ცხოვრების შემდეგ სრულიად ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ. სამშობლოში გაგზავნილ წერილებსა და ჩანაწერებში ისინი ნანახს და განცდილს აღწერდნენ და ასახავდნენ საკუთარი შეხედულებებს ომზე, სიცოცხლესა და სხვა არაერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე.

კავკასიაში მიმდინარე ომები, მკაცრი ბუნებრივი პირობები და ინფექციური დაავადებების ხშირი გავრცელება სამხედროების სიცოცხლისთვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა. მებრძოლები არა მარტო სამხედრო ტაქტიკასა და ბრძოლის უნარებს ეუფლებოდნენ, არამედ ამ გარემოში გადარჩენის უნარებსაც იძენდნენ. ზოგჯერ რამდენიმე თვის განმავლობაში ისინი იმ გამოცდილებას აგროვებდნენ, რაც მშვიდობიან დროს შესაძლოა წლების განმავლობაში ვერ შეეძინათ. ბევრი მათგანი თვლიდა, რომ ქაოსურ და სავსებით არაპროგნოზირებად გარემოში, მათი გადარჩენის შანსები მეტწილად ბედსა და იღბალზე იყო დამოკიდებული. შავი ჭირის ეპიდემია, რომელიც რეგიონში პერიოდულად ვრცელდებოდა, დამატებით საფრთხეს ქმნიდა, და ბევრი მათგანი ფიქრობდა, რომ მხოლოდ ღვთის ნება იყო, დაავადებასა და ომს თუ გადაურჩებოდა. ამ ყველაფერმა არა

მართო მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, არამედ იმდროინდელი რუსული საზოგადოების დამოკიდებულებაც შეცვალა. მათი წერილები და მოგონებები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმპერიის სამხედრო პოლიტიკის მიმართ სპეკტიციზმის გაზრდაში, ხოლო ეს მძიმე გამოცდილება კავკასიის რეგიონში რუსული სამხედრო მოქმედებების მემკვიდრეობის ნაწილად რჩებოდა.

უცნობი ავტორის რუსულენოვანი სტატია – „კავკასიის ცალკეული კორპუსის ჯარისკაცი“<sup>136</sup> – ეხება კავკასიის ომს, კონკრეტულად კი, კავკასიის ცალკეული კორპუსის ჯარისკაცების გმირულ ბრძოლებს მთიელების წინააღმდეგ. ტექსტი დაბეჭდილია ძველი რუსული ორთოგრაფიით და XIX საუკუნის კავკასიის ომის დროს, კერძოდ, 1853 წლის 26 ივლისის შემდეგ, გოსტაგაის სიმაგრის დაცვიდან,<sup>137</sup> მალევე უნდა იყოს შექმნილი. ტექსტში იცი-

<sup>136</sup> Статья неизвестного автора. „Солдаты отдельного кавказского корпуса“ – საქართველოს ცენტრალურ არქივი, ფონდი №1087, აღწერა 1, საქმე №1279. საქაღალდე აწერია „ф. Арх. Эсадзе“.

<sup>137</sup> ცნობილია იმპერატორ ნიკოლაი I-ის ხელნაწერი (Собственнооручная записка Императора Николая. - 1841 год), სადაც მოცემულია გოსტაგაის სიმაგრის და მის ირგვლივ კაზაკთა დასახლებების მოწყობის ბრძანება (АКАК, Т. IX, Тифлис, 1884, с. 266–267). გოსტაგაის სიმაგრე აშენდა 1842 წელს. ჩერქეზების შეტევა გოსტაგაის სიმაგრეზე 1853 წლის 26 ივლისს განხორციელდა. რუსეთის იმპერატორმა ნიკოლაი I-მა გოსტაგაის გარნიზონი სამხედრო მამაცობისთვის გულუხვად დააჯილდოვა: სამხედრო მეთაურმა, პორუჩიკმა ფრანც ვოიაკოვსკიმ მიიღო წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი და მომღვეწო წოდება; ყველა ოფიცერი, მათ შორის, პროვიანტის მადაზიის ზედამხედველი, პოდპორუჩიკი მურავლევი და ლაზარეთის ექიმი, კოლეგიის ასესორი იანოვიცი, რიგის გარეშე, დაჯილდოვდნენ ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენით; იერობერმა ნაუმმა მიიღო წმინდა გიორგის ლენტზე ოქროს სამკერდე ჯვარი; ქალბატონ ბულიჩს მიენიჭა ქმრის ხელფასის ოდენობის უვადო პენსია, წელიწადში 457 რუბლი და ძვირფასი სამაჯური მისი უდიდებულესობის კაბინეტისგან; მისმა თანამემწეებმა მიიღეს ფულადი ჯილდოები.

[https://gostagay-150.ucoz.ru/index/gostagaevskoe\\_ukreplenie\\_1/0-49](https://gostagay-150.ucoz.ru/index/gostagaevskoe_ukreplenie_1/0-49)

[https://gostagay-150.ucoz.ru/index/gostagaevskoe\\_ukreplenie/0-45](https://gostagay-150.ucoz.ru/index/gostagaevskoe_ukreplenie/0-45)

თხება ასეთი ფრაზა: „ცოტა ხნის წინ მტრის იერიში გოსტაგაის სიმაგრეზე“.

სტატია დაიწერა მაშინ, როცა რუსული იმპერია აქტიურად იპყრობდა ჩრდილოეთ კავკასიას. ამ პოლიტიკის სამართლიანობის დასამტკიცებლად იქმნებოდა მსგავსი ტექსტები, რომლებშიც რუსი ჯარისკაცი გამირად და მთიელი კი ველურად იყო წარმოდგენილი. მსგავსი ნაწარმოებები მრავლად იბეჭდებოდა რუსულენოვან პერიოდულ გამოცემებში ჯარისკაცებისა და ოფიცრების მორალური სტიმულის მიზნით.

*„მოსკოვის ხანძრით დასუსტულმა ნაპოლეონმა, როცა უყურებდა ჩვენს ჯარისკაცებს, თუ როგორი თავგანწირვით იბრძოდნენ, თქვა: „ასეთი არმია თუ მეყოლებოდა, მთელ მსოფლიოს დავიპყრობდი!“ და ნამდვილად, რა შესანიშნავი ადამიანია ჩვენი ჯარისკაცი! სოხას<sup>138</sup> ახლახან ჩამოცილებული რეკრუტი წარდგა საჩვენებელ დათვალეირებაზე მეთაურის წინაშე, და ამჩნევ, რომ მცირე ხანში ის უკვე თავის დანიშნულებას ასრულებს. ერთი-ორი წელი ჯარისკაცად ყოფნა და უკვე ფიზიურად, ზნეობრივად და გონებრივად გარდაიქმნება: აღნაგობა, ყოჩაღი ნაბიჯი, ვაკუაცური ქცევა ისეთი ადამიანისაა, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი მოწოდება, უფროსების მიმართ ჰატივისცემითა და ყურადღებით არის სავსე; ის მორჩილია ყველა უფროსის, თავისი ზედამხედველიდან დაწყებული, რომლისგანაც სიბრძნეს სწავლობს. ახალწვეულში ჩნდება საზრიანობა და გონიერება; ის თანდათან სცილდება თავისი წარსული გარემოს ჩვევებს, და თუკი იძულებულია იცხოვროს გლეხის ოჯახში, უკვე ყოფილი რეკრუტი ამაყოფს იმით, რომ ჯარისკაცია; თავისი სიტყვებითა და საქციელით იგი ჰატივისცემას იწვევს და სწვებისგანაც იმავეს მოითხოვს.*

<sup>138</sup> სოხა (რუს. Coxa, წარმომობილია ძველი სლავურიდან და ნიშნავს – „ტოტი“, „ძელი“, „განტოტვილი ხე“) – ხელით მართვადი სახნავი იარაღი, რომელსაც იყენებდნენ მიწის დასამუშავებლად ტყიან ზონებში ხარის ან ცხენის დახმარებით. გავრცელებული იყო ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის და რუსეთის სლავურ ხალხებში.

როგორ ხდება ასეთი სწრაფი გარდასახვა – ხანდახან მოუქნელი გლეხის მამაც ჯარისკაცად გადაქცევა? მნიშვნელოვანი დანიშნულების გაცნობიერებიდან და მოვალეობიდან – იყოს სამშობლოსა და ტახტის დამცველი, და საჭიროების შემთხვევაში შეეწიროს მას სისხლით, სხულითა და თვით სიცოცხლით; იმ ძლიერი სულიდან, რომელიც ასაზრდოებს ჩვენს ჯარს – ღირსებისა და დიდების სულიდან, უთვალავი გმირული ქმედების წყაროდან, რომლებიც არა მხოლოდ არმიებმა, არამედ ათასობით ჯარისკაცმა, ცალ-ცალკე, უკვდავყო თავისი სახელი რუსეთის სამხედრო ისტორიაში.

რამდენი განსაცვიფრებელი შრომა, მოთმინება, ცოდნა და უნარი სჭირდება ჯარისკაცის მდგომარეობას, რადგან მას, წარმომავლობის მიუხედავად, არა მხოლოდ მტრის დაძლევა უწევს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს ის, არამედ გარემოსთან ბრძოლაც: იქნება ეს ყინულოვანი სარტყელი, აზიის მწველი შუის სხივები თუ ქვიშიანი, უსასრულო, უწყლო უდაბნოები. ყველგან, სადაც აღმოჩნდება, ჯარისკაცი ვალდებულია, გამოიკვლიოს და შეისწავლოს მტრის ბუნება, რომელსაც უნდა შეებრძოლოს; შესაძლოა ეს მისთვის სასიცვდილო აღმოჩნდეს, თუკი ზნეობრივად არ დგას მათზე მაღლა.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით, მაგალითად, ის პირობები, რომლებიც მოეთხოვება კავკასიაში მყოფ ჯარისკაცს, რათა ის იყოს სასარგებლო და შეძლოს საკუთარი მოვალეობის შესრულება.

კავკასიის ომის არენა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება, თუმცა მტრის ხასიათი, რომლის წინააღმდეგაც ჯარისკაცს უწევს ბრძოლა, თითქმის ყველგან მსგავსია. ჩერქეზი, ჩეჩენი და ლეკი ბავშვობიდანვე მიჩვეულია ბუნების ყველანაირი ცვლილების გადატანას და არაფრად მიაჩნია სიცხე, ყინვა, წვიმა და თოვლი; აკლია ყველაფერი, მიმშლილ მუჟა ფეტვით იკლავს და შეუძლია, მტაცებელი მხეცივით, ჭაობში საათობით უმოქმედოდ ჩასაფრდეს ნადავლის ლოდინში. მთიელისთვის მტაცებლობა ერთადერთი საქმიანობაა, ცხოვრების ერთადერთი მიზანი, და ამ საქმიანობაში ის პოულობს როგორც თავისი არსებობის, ისე სისხლისმღვრელი სიამოვნების წყაროს. ამგვარი ცხოვრების წესმა

მას უბიძგა ისეთი გაბედული და თავგანწირული ქმედებებისკენ, რომლებსაც გაბედული და სახელოვანი ევროპელი მონადირეც კი ვერ გაბედავდა – ისიც კი, ვინც აფრიკის სტეპებში ვეფხვებს, ჰანტურებს და ლომებს ებრძვის.

ბნელი ღამეა. სწრაფი თერგი ან ყუბანი მიაქროლებს ტალღებს ზღვისკენ და სიჩუმეში მხოლოდ ტალღების ხმაური ისმის. ნისლში ძლივს იკვეთება კაზაკების სასაზღვრო კოშკების კონტურები კორდონის ხაზზე, რომელიც მოპირდაპირე ნაპირზეა. შავსული ან ჩეჩენი მზად არის, ჩოხა ტყავის სარტყელში ჩაიტანა; სიცივის მიუხედავად, მშვიდად შევიდა მდინარეში და მიცურავს აწეული იარაღით ხელში. „გესმის, გერასიმ,“ – ახალგაზრდა კაზაკმა, ხელი წაჰკრა ამხანაგს, ჩურჩულით გადაულაპარაკა, რომელიც ბუჩქებში ჩასაფრებულ იყო – „ლოქო ტლაშუნობს მდინარეში“. – „თუ ენას კბილს არ დააჭრ, მაშინ ეს ლოქო აუცილებლად შუბლში დაგახლის!“ – ჰასუნობს გერასიმო და იმავე წამს გასროლა გაისმა, თუმცა სიბნელის წყალობით, ასცდა. კაზაკებმა საჩქაროდ ცეცხლი გახსნეს იმ ადგილისკენ, საიდანაც გასროლის ცეცხლმა გაიელვა, ხოლო შემდეგ ჰიკეტიდან უკვე მოაქროლებდა ცხენს რამდენიმე კაზაკი და, საჭიროებისამებრ, ცხენზე მჯდომნი მდინარეში გადაეშვებიან და დაჭრილ ბოროტმოქმედს დაედევნებიან. რა ამოძრავებდა მთიელს ამ გაუცნობიერებელ ქმედებაში?.. არაფერი სხვა, თუ არა მხეცური სურვილი, რომ მოკლას, ხოლო შემდეგ, ხელსაყრელი შესაძლებლობის შემთხვევაში, გაძარცვოს ხალხი გაღმა ნაპირზე.

მართლაც, ასე ადვილად ვერ გადალახავ ხაზს... კაზაკების აღდგომს და მახვილ თვალს ვერ დაემალები; ისინი იმდენად დახელოვდნენ მტერთან მუდმივ ბრძოლაში, რომ ომში გაწვრთნილ მთიელებს არ ჩამოუვარდებიან. შავიზღვისპირეთის კორდონის ხაზზე, ყუბანის ტერიტორიაზე, ათობით ეგრეთ წოდებული მცველი იცავს მთელი ჯარის სიმშვილეს. ჰლასტუნისთვის ერთი მტერი არსებობს დედამიწაზე – საიდუმლო მტერი, მთიელი, რომელიც ღამით მალულად იპარება ქურდობის ან თავდასხმის მიზნით ყუბანის საზღვრისკენ, მის მიღმა კი, სამუშაო დღის შემდეგ, მშვიდად

ისვენებენ შავიზღვისპირელები. პლასტუნი, მიწაზე გაწოლილი მთელი დამე უძრავად წევს ნადირობის შემდეგ ლელქაში, ჭაობში. ის თითქმის გრძნობს მახვილი ყურით, როგორ იზრდება ბალახი, და ხედავს, როგორ შრება ნამი. ხშირად პლასტუნები უშუალოდ მტაცებლების შეკრების ადგილთან მიცოცავენ, რომლებიც ყუბანის ხაზის გადაკვეთისთვის ეშხადებიან, ითვლიან მათ, იგებენ მათ განზრახვებს და ეშხადებიან დაუპატიჟებელ სტუმრებთან შესახვედრად. საჭიროების შემთხვევაში, მამაცი კაზაკები მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ოცულობით ვერსით იჭრებიან, რომ დაზვერონ მტრის აულში მიმდინარე სიტუაცია, ჩაუსაფრდნენ ავსაყებს და შური იძიონ მეგობრის, ძმის, ან მამის სიკვდილისთვის. პლასტუნები – ესენი არიან შავიზღვისპირეთის კაზაკთა არმიის მონადირეები, რომელთაც მხოლოდ ერთი ოჯახი აქვთ – ჯარი, რომლის დაცვასაც ისინი საკუთარ სიცოცხლეს უძღვნიან. მათ აქვთ თავიანთი აღთქმები, შელოცვები, განსაკუთრებული წესები – ესენი არიან გაბედული კაზაკები, რომლებიც ეშმაკ, ჭკვიან, მზაკვარ და მამაც მტერთან ბრძოლაში დაიბადნენ. რუსმა ჯარისკაცმა ყველაფერში აჯობა და გადააჭარბა ჩერქეზს, რადგან მისი მიზანი არ არის ძარცვა, არამედ წმინდა მოვალეობაა – ფხიზლად და მოხერხებულად სამობლოსა და ოჯახის დაცვა.

ჩერქეზები უშიშრად მამაცნი არიან: მხედარი ეკვეთება ხიმტს და, თუ ბრძოლას თავს დაადწევს უვნებლად, დახეული ჩოხით, თავისი ტომის ულამაზეს ქალთან სახლში მისვლის უფლება აქვს, რათა მოსთხოვოს მას რუსების ხიმტებით დახეული ჩოხის გაკერვა; რაც მეტია ნაყერი, მით მეტად სახელოვანია მეომარი. ამგვარი მებრძოლების დასამარცხებლად რუს ჯარისკაცს, გარდა რკინის შუბისა, რკინის ნებისყოფა და სულის სიმტკიცეც სჭირდება და ის მართლაც აქვს.

ასეთი მტერი იოლად არ ტოვებს თავის აულს, ოჯახს და ქონებას, როდესაც მოულოდნელად, დამით მრავალი დანაშაულისთვის დამსახურებული სასჯელი მოეწევა. ჩვენი ჯარისკაცის მხოლოდ ცივისსხლიანი სიმამაცე აჩერებს ხიმტების კედელს, მთიელთა გა-

ცეცხლეზულ შეტევებს; და მხოლოდ ჯარისკაცების მაღალი დისციპლინის და წესრიგის, ხელმძღვანელების მოხერხებულობის წყალობით, კოლონას შეუძლია მტრის ტერიტორიიდან უვნებლად გამოსვლა მაშინ, როცა მხედრებით გარშემორტყმულია, თითქოს სებდანგრეული ფუტკრებით. მაგრამ ჩვენი ჯარისკაცის გმირობა, მისი სიმამაცე და თავდადება უფრო უკეთ წარმოჩინდება მაშინ, როცა ათიათასობით მტერი უცაბედად ალყაში აქცევს რომელიმე ფორტს, სადაც გარნიზონის მხოლოდ რამდენიმე ასეული ადამიანია, მაგრამ ეს გმირული ასულებია. გაიხსენეთ ველიამინოვის ფორტის, მიხაილოვსკის გამაგრებული ჰუნქტის დაცვა და თენგინის ქვეითი ჰოლჯის რიგითის, არხიზ ოსიპოვის დაუვიწყარი და დიდებული გმირობა. მაშინ, როცა მთიელებმა უკვე გადალახეს წინააღმდეგობა, სიმაგრეში შეიჭრნენ და ღენტის საწყობისკენ მიემართებოდნენ, დაელოდა მათ მოახლოებას და ადასრულა თავხეხილადებული გმირობა – ააფეთქა ღენტის საწყობი! გაწირა რა საკუთარი ნებით თავი ასეთი გმირული სიკვდილისთვის, მხოლოდ ერთი სთხოვა მეგობრებს – მისი სახელი არ დაევიწყებინათ, თუკი რომელიმე მათგანი ცოცხალი გადარჩებოდა. ოსიპოვის ეს ნება შესრულდა. რამდენიმე მამაცმა თანამებრძოლმა, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, შემოინახა მისი ანდერძი და სამართლიანად გადასცა ის, ხოლო ხელმწიფე იმპერატორაც ეს სურვილი ადასრულა: ოსიპოვის სახელი სამუდამოდ დარჩეს თენგინის ქვეითი ჰოლჯის გრუნადერების პირველი როტის სიებში, როგორც პირველ რიგითისა, და სიის ამოკითხვისას, როდესაც მის სახელს ახსენებდნენ, პირველივე რიგითს უნდა ეპასუხა: „დაიდუპა რუსული იარაღის დიდებისთვის მიხაილოვსკის სიმაგრეში“.

არხიზ ოსიპოვის სული კვლავ ცოცხლობს კავკასიური არმიის ჯარებში: გაიხსენეთ ახტის გმირული დაცვა<sup>139</sup> და ცოტა ხნის წინ გოსტაგაის სიმაგრის გარნიზონის მიერ მტრისთვის გაწეული წინააღმდეგობა. არა მიწყარილმა კვლავებმა, არც მესერებმა და ქვის

<sup>139</sup> ახტაში ბრძოლა მოხდა 1848 წელს.

გალავნებმა, არც ჭურვებმა და ტყვიებმა შეაჩერეს და დაამარცხეს განრისხებული მთიელების ურიცხვი ტალღები, არამედ შუბმა და უშიშარი დამცველების მეურღმა, მტკიცე რუსმა ჯარისკაცებმა, რომელთაც ძალა სულის სიმტკიცემ, წმინდა მოვალეობისა და ღირსების მაღალმა შეგნებამ მისცა.

თუ კითხულობთ გაზეთ „კავკაზს“, უდავოდ შეგხვდებით ცალკეული სამხედრო ბრძანებებიდან გადმობეჭდილი ისტორიები, რომლებშიც აღწერილია კავკასიის ცალკეული კორპუსის ჯარისკაცების გმირობის, გონიერების და მოხერხებულობის მაგალითები. გახსოვთ თუ არა ამბავი, როცა ერთხელ მთიელებმა ტყეში მოულოდნელად დაატყვევეს ერთი ჯარისკაცი, რომელიც შემას ჩეხდა? მისმა თანამებრძოლმა მტაცებლებს მჭახედ დასჭყქა, იმდენად ხმამაღლა, რომ ისინი შეშინდნენ და იფიქრეს, რომ გარშემორტყმულნი იყვნენ დიდი ძალით, ტყვე იქვე მიატოვეს, თვითონ კი გაქცევით უშველეს თავს. სხვა შემთხვევაშიც, ერთმა ჯარისკაცმა სიმაგრე დატოვა და სანადიროდ წავიდა. როცა ნადირს მისდევდა, მას კვალში მთიელი ჩუმად მიჰყვებოდა და მხოლოდ მაშინ, როცა მონადირემ ფრინველს ესროლა, მთიელი მოულოდნელად დაეტაკა, იარაღი მიაბჯინა მეურღზე და დანებება მოსთხოვა. გზად, როცა მთიელმა ტყვე ჯარისკაცი გამოიყვანა და მისი ვაზნებიდან ღენტს ყრიდა, ჯარისკაცმა შენიშნა, რომ ჩერქეზი საეჭვოდ აკვირდებოდა, მოულოდნელად ამოაცალა მას ქამრიდან ხანჯალი, მთიელმა ესროლა, დაჭრა მონადირე, მაგრამ მან რამდენიმე ძლიერი დარტყმა მიიყენა, ჰირდაჰირ ზღვაში ჩააგდო და იქვე დაახრჩო.

ერთ-ერთი შეტაკებისას, №14 ბატალიონის რიგითმა, კუზმა ტიმოფეევმა, დაინახა, რომ ოფიცერი ყბაში ტყვიით და თავში შამხანით დაჭრილი იყო, მაშინვე გაეშურა მის დასახმარებლად, მაგრამ თავადაც სამმა მთიელმა ალყაში მოაქცია. მიუხედავად იმისა, რომ ტიმოფეევიც იყო დაჭრილი და კონტუზია ჰქონდა მიღებული მარჯვენა ხელზე, მაინც შეძლო ორ მთიელთან ხიმტით გამკლავება. შესაძე უკვე ეხმობდა თავს, როცა მეოთხედ ერთ დარტყმაში მას მარჯვენა ხელი მოჰკვეთა, ხოლო მეორე დარტყმით თავი გაუპო.

მტრის დევნისას, როცა ჯარისკაცი იარაღს ტენიდა, ხელში აუფეთქდა ყუმბარის მილი; ყუმბარა გვერდით გაიტყორცნა, მაგრამ არტილერიისტმა სერგეი ივაშენკომ დაიჭირა ის და შორს გადაგდებდას ეცადა, თუმცა ყუმბარა აფეთქდა და მამაცი ივაშენკო საკუთარ თავგანწირვას ემსხვერპლა.

ძნელია კავკასიური კორპუსის ჯარისკაცების მსგავსი გმირობების ჩამოთვლა: ისინი არ იხოცებიან თავიანთი თანამებრძოლების მენსიერებაში. მათი სახელები გადაეცემა პოლიკიდან პოლკს. ბივაკი<sup>140</sup> ცეცხლთან შეკრებისას, როგორც ახალგაზრდა, ისე ასაკოვან ჯარისკაცებზე მაგიურად მოქმედებს მათი ამბები, უპირველესად იწვევს მაღალ სამხედრო შთაგონებას – ღირსეულად მოკვდეს ისეთივე პატივით და გახდეს მეგობრების თავყვანისცემის ღირსი; ხოლო მეორე მხრივ, ლტოლვას რჩეულობისაკენ, შექების დამსახურებას და მამაცის სახელის მოხვეჭას.

რა მშვენივრად გამოიყურება კავკასიური ბანაკები ზამთრის დამით! ხშირი, გაუვალე ბარდები, დიდი გარშემოწერილობის ერთმანეთში ჩახლართული გიგანტური ხეები, ყველაფერი ეს ერთმანეთზე გადახლართული, ერთგვაროვანი, მჭიდრო, ხვეული მცენარეულობით ფარავდა რამდენიმე ათეულს, ხოლო ადგილ-ადგილ ასობით ვერსის ვაკეებსა და მთებს ჩერქეზეთში, დაღესტანსა და ჩეჩნეთში. ეს ტყეები, როგორც ჩანს, დაუძლეველი და ასევე, დაუმორჩილებელი აულების გამაგრებას წარმოადგენდა, რადგან მათში შეღწევა მხოლოდ ვიწრო ბილიკებით შეიძლებოდა, რომელიც წაქეული ხეებით ჩახერგილ ხშირ ფიჭვნარში გადიოდა. ამ ბილიკებს მთიელები თავგანწირვით იცავდნენ. ყოველი ნაბიჯი ასეთ ტყეში ძვირი ჯდება. ტყვიები დაფრინავდნენ სქელი ფოთლოვანის სიღრმიდან, სეტყვასავით ცვიოდნენ გვერდებიდან, ისროდნენ წაქეული ხებიდან – მტერი უხილავად ანადგურებდა, და მხოლოდ კარტეჩით, სადაც ჭურვი აღწევდა, სჯიდნენ მას და

<sup>140</sup> ბივაკი (რუს. Бивак) – ჯარების დროებითი ყოფნის ადგილი მუდმივი დისლოკაციის ტერიტორიის გარეთ.

გზას ასუფთავებდნენ. მაგრამ ტყეები დიდი ხნით გაუვალი არ რჩებოდა: დადგა ზამთარი, ხეები გაშიშვლდა. ისინი ვეღარ ზღუდავდნენ ხედვას, და უეცრად ათასობით ნაჯახმა შეუტია საუკუნოვანი ხეების ფესვებს, და ისინი, როგორც ნამგლით მოცვლილი თავთავები, ცვიოდნენ ფართო გზაზე. მოჭრილი ხეების ნაწილებიდან ჯარისკაცები ტიტანების შესაფერის გიგანტურ კოცონს ანთებდნენ, და აი, სადამოს დასვენებისას, როდესაც საშუაო დასრულდა და ყურადღებიანი გუშაგები იცავენ რაზმის უსაფრთხოებას, ცეცხლის ირგვლივ სხედან და დგანან დღის შრომის შემდეგ დასასვენებლად მომზადებული ჯარისკაცები, ეწვიან ყალიონს და ყვებიან ამავე პოლიციდან უკვე დაღუპული თავიანთი ამხანაგების გმირობისა და მამაცობის ამბებს, ან სახელგანთქმული ოფიცრებისა და მეთაურების შესახებ. შეხედეთ ნახატს, დანართ №27-ში, რომელიც ასახავს ძველ კავკასიელ ჯარისკაცს დაღესტნის რაზმიდან ზამთრის ლაშქრობის დროს.<sup>141</sup> ის არის წმინდა გიორგის ორდენის კავალერი და აქვს მედალი ახუღგოს შტურმისთვის. ეს არის მოხუცი, ბრძოლებში გამობრძმედილი, გამოცდილი როგორც ველზე, ისე იმაში, როგორ მოემზადოს ზამთრის ლაშქრობისთვის. თავზე გრძელყურებიანი ქუდი ახურავს; მოკლე ბეწვის ქურთუკი აცვია, რომლის მკერდზე დაკრებულია ტყვიებით სავსე პატრონტაჟი, ქაშირით შემოქრილი, რომელზეც ასევე ჰკიდია ვაზნების ჩანთა; მარცხენა მხრიდან მძიმე ხანჯალი, მარჯვენა მხარეს ჩანს რომელიღაც ბრძოლაში წართმეული აზიური დანა-ჩანგალი, და სახრახნე, განსაკუთრებულ

<sup>141</sup> უცნობი ავტორი გულისხმობს, ომის სცენებისა და ტიპაჟების რეალისტური გადმოცემით ცნობილი, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი რუსი სამხედრო-დოკუმენტური ილუსტრატორის და ლითოგრაფის ვასილი ფიოდორის ძე ტიმმის (1820–1895) 1849 წელს ნატურიდან შესრულებულ ნახატს – „ცალკეული კავკასიური კორპუსის ჯარისკაცი დაღესტანში ზამთრის ლაშქრობის დროს“, რომელიც გამოქვეყნდა 1853 წელს „Русский художественный листок“, №27. ტექნიკა: ტონური ლითოგრაფია; ზომები: ფურცელი – 33.7 x 52 სმ; გამოსახულება – 25 x 36 სმ.



ვასილი ფიოდორის ძე ტიმში  
„ცალკეული კავკასიური კორპუსის ჯარისკაცი დაღესტანში ზამთრის  
ლაშქრობის დროს“

გუდაში კი – ღორის ქონი იარაღის საცხად; ფეხზე – ჩექმები მუხლს ზემოთ, ბალთებზე გადაჭიმული ღვედებით, ხოლო მხრებზე – ნაბადის ნაცვლად გადაკიდებული ძველი, ყავლგასული შინელი, ისე რომ მარყუქები, რომლებიც უკან, წელზეა მიკრებული, კისერზეა შეკრული, მკლავები შიგნითაა ჩატანებული, ხოლო ზურგის ნაწილი კაკიუმონად გამოდგება ცუდ ამინდში.

ძველ, გამოცდილ ჯარისკაცს ყველაფერი მოწესრიგებული და წინასწარ გაზრებული აქვს თავის ადგილზე; მას ყველაფრის მარაგი აქვს, მაგრამ მთავარი მისი სიმდიდრე საკუთარი საქმის ცოდნა და მტრის ცოდნაა, ვის წინააღმდეგაც სასიკვდილო ბრძოლაში მიდის.

ჩეჩენი ან ლეკი მსუბუქია, კატასავით მოძრაობს, ელვასავით სწრაფია, ბალახში გველივით დასრიალებს, ქვების და ხეების უკან იმალება, ზის მტკიცედ კლდოვან ნანგრევებს შორის და როდესაც გადამწყვეტი წუთი დგება, სწრაფად და გაბედულად, ხმალამოღებული გადაეშვება შეტევაში.

რა თქმა უნდა, ჩვენი ჯარისკაციც ზამთრის ექსპედიციებისთვის არის გამოწყობილი, როგორც სურათზეა ნაჩვენები: თბილ ამინდში კი ყველაფერს ისე მოირგებს, რომ არაფერი უძლის ხელს ლაშქრობისთვის; მას შეუძლია იყოს ერთდროულად უხილავი და მოხერხებული, როგორც მთიელი: დაძვრება კლდეებზე, იყენებს ყველა შემთხვევით თავშესაფარს და გადამწყვეტ წუთს შეტევაზე გადადის ქვებით აგებული ნანგრევებიდან გამძაფრებული ყვირილით: „ურა!“, რომელსაც ვერ უძლებენ ვერც ნანგრევები, ვერც ციხესიმაგრეები, ვერც მთების აულები და სახლები, თავდამსხმელების მკრძღზეა მიბჯენილი მამხანების რიგებით და, ხმლებისა და ხანჯლების ბასრი პირებით, რომლებიც კლავენ. გამოცდილი ჯარისკაცის ხელში გამამარჯვებელი ხიმტი ყველაფრის გამანადგურებელია და მისთვის არანაირი დაბრკოლება არ არსებობს. და როგორ მხიარულად, თითქოს ნადიმზე მიდის კოლონა, არა მარტო გადასასვლელებზე, არამედ უძლიერეს ქარიშხალში, ყინვაში, ტალახსა თუ ღრმა ქვიშებში. და ყველაზე მძლავრ მტურმშიც კი მომდერლები

წინ მიდიან, მოცეკვავეები ბუქნით მიჰყვებიან და გუნდურად ისმის მათი მჭქარე ხმა:

„აჰ, რაღად გვინდოდა ბოსტნის გაშენება,  
აჰ, რაღად გვინდოდა კომბოსტოს დათესვა!..“

ტყვიების და საარტილერიო ჭურვების სეტყვაში იჭრებიან შეტევაზე და კედლებზე ძვრებიან.

საოცარი, როგორ ხდება, რომ ეს გმირი ჯარისკაცი, რომელიც მოყვანილია თავისი ფუძიდან, კომლიდან, შიდა ბარის ან სტეპის რომელიმე ჩვენი გუბერნიიდან, სულ მცირე დროში ახერხებს შეერყინოს პირდაპირ ბრძოლაში მთებში დაბადებულ მტაცებელს, რომელიც ბავშვობიდანვე კლდეებზე დაძვრება, როგორც კატა და ვეფხვივით ეცემა ნადავლს. ამასთანავე, თითქმის ყველა ასაკოვანი, გამოცდილი კავასიელი ჯარისკაცი მზად არის ერთ-ერთ ამგვარ ავზაკთან შერყინებისთვის და თითქმის ყოველთვის ღირსეულად გამოდის ამ ომიდან. ცივისსხლიანობას, სიმამაცეს და ჩვეულებრივ სიმტკიცეს, რაც ჩვენს ჯარისკაცებს დიდი დოზით აქვთ, ემატება სამხედრო დისციპლინა, რის გამოც ისინი უმეტესად იმარჯვებენ მტერზე, რომელიც მამაცი კი არის, მაგრამ ერთიანობისა და მიზნის გარეშე მოქმედებს.

და ნუთუ ამის შემდეგ არ უნდა იამაყოს ჯარისკაცმა თავისი მდგომარეობით, არ უნდა იგრძნოს საკუთარი ღირსება და არ დაიმსახუროს ყველასგან მისდამი მოწიწება?

მას შემდეგ, რაც ადამიანმა თავდაცვისთვის, და შემდეგ თავისი ახლობლების დასაცავად, ხელში იარაღი აიღო, მეომრის წოდება იყო და იქნება სამუდამოდ ყველაზე პატივსაცემი საქმე ყველა სახელმწიფოში“.

უცნობი ავტორის ნარკვევი – „კავკასიის ცალკეული კორპუსის ჯარისკაცი“ – წარმოადგენს რუსული იმპერიული იდეოლოგიის კლასიკურ ნიმუშს, რომელიც XIX საუკუნის კავკასიის ომების კონტექსტშია შექმნილი. მასში მკაფიოდ იკვეთება იმპერიული

სამხედრო ნარატივისთვის დამახასიათებელი სტრატეგიები: რუსი ჯარისკაცის ჰეროიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობის, კერძოდ, მთიელთა ნეგატიური სტერეოტიპებით წარმოდგენა და დაპყრობილი სივრცის ინტეგრაციისა და „ცივილიზაციის“ იდეით გამართლებული ექსპანსია.

ავტორი მკითხველს „სამართლიანი მეომრის“ არქეტიპს სთავაზობს, რომლისთვისაც სამხედრო მსახურება არა უბრალოდ პროფესიული მოვალეობა, არამედ პიროვნული ტრანსფორმაციის გზა და სულიერი ვალი ხდება. იგი მოქმედებს არა მატერიალური სარგებლის, არამედ სამშობლოსა და ტანტის დაცვის მოტივაციით, რაც ტექსტში წმინდა, თითქმის რელიგიური მნიშვნელობის აქტადაა წარმოჩენილი. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ჯარისკაცის ფსიქოლოგიურ სიმტკიცეზე, ცივისსხლიან სიმამაცესა და სამხედრო წესრიგზე, რომელიც მას არა მხოლოდ ომში წარმოსახავს ძლიერად, არამედ წარმოაჩენს ზნეობრივად აღმატებულადაც. ეს იდეალიზაცია მიზნად ისახავდა იმას, რომ მეომრები აღქმულიყვნენ იმპერიისათვის თავგანწირულ მებრძოლებად, რომლებიც შეგულებული იყვნენ კოლონიური ომების ტვირთს. ჯარისკაც ოსიპოვის მაგალითი შერჩეულია იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება ერთ რიგით ჯარისკაცსაც კი ჰქონდეს „მარადიული ღიღების“ უფლება და სიმბოლოდ იქცეს. მისი ქმედება თხზულებაში ყალიბდება როგორც კოლექტიური მეხსიერებისთვის განკუთვნილი მითიურ-ისტორიული აქტი, რომელიც ეროვნულ გრძნობებზე ზემოქმედებს და სახელმწიფო იდეოლოგიის მორალურ ავტორიტეტს ამყარებს.

ნარკვევში თვალსაჩინოა ავტორის მცდელობა, მრავალჯერადი განმეორებითა და რიტორიკული ხერხებით შექმნას რუსული არმიის იდეალური, ფაქტობრივად, უნაკლო სახე. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსი ჯარისკაცების ფიზიკური და გონებრივი ტრანსფორმაცია ხდება სავალდებულო სამსახურის

მეშვეობით, რაც გულისხმობს სახელმწიფოს, როგორც ზნეობრივად გარდამქმნელი სისტემის, ერთგულებას.

უცნობი ავტორის ნარკვევში ასევე რომანტიზებულები არიან კაზაკები და პლასტუნები – საზღვრის გმირული მცველები და საუკეთესო მზვერავები. ასეთი ხატები ამყარებდა კაზაკობის მორალურ ლეგიტიმაციას იმპერიის საზღვრებზე, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც მათ ენდობოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის კონტროლისა და ჩახშობის საქმეში.

რუსი ჯარისკაცის საპირისპიროდ, მთიელები წარმოდგენილნი არიან როგორც გაბოროტებული მტაცებლები, რომლებიც თავს ესხმიან რუსებს „მხეცური ინსტინქტით“ და „ქურდობის“ ან „მკვლელობის“ სურვილით. ისინი არიან ციკსისხლიანი მოძალადეები, რომლებსაც ომისთვის ბავშვობიდან ამზადებენ და ეს მათთვის ცხოვრების ნორმაა. ისინი გაბედული, მაგრამ ზნეობრივად არასრულფასოვანები არიან; მათ არ გააჩნიათ სახელმწიფოებრიობის ან ჰუმანურობის იდეა, არამედ აქვთ მხოლოდ ველური სისასტიკე. მთიელის ფიგურა ტიპურად „სხვაა“ – ველური, ქაოტური, ზნეობრივად დაბალი, რომელიც უნდა დაიპყრო, რადგან ცივილიზებული გახადო. მთიელებში ცივილიზაციის ნაკლებობის ხაზგასმის ფონზე რუსი ჯარისკაცი წარმოდგენილია როგორც „მაღალზნეობრივი მოწინააღმდეგე“.

ნარკვევი წარმოადგენს იმპერიული დისკურსის ტიპურ გამოხატულებას, სადაც რუსი ჯარისკაცი მაღალზნეობრივ გმირადაა წარმოდგენილი, ხოლო კავკასიელი მეზობელი – ველურად, ინსტინქტით მოქმედ მტაცებლად, რომელსაც მხოლოდ ძალა გააჩერებს. ავტორის ტექსტში ჩანს ისეთი იდეები, როგორებიცაა: კოლონიური დაპყრობის ლეგიტიმაცია, გლეხის სამხედროდ გადაქცევის გამართლებულობა, კულტურული უპირატესობის მტკიცება და ჩაგვრის ჰუმანური ფასადის შექმნა. უცნობი ავტორის ტექსტი უნდა წავიკითხოთ არა როგორც ობიექტური სამხედრო ანგარიში, არამედ როგორც რუსული იმპერიის იდეოლოგიური დოკუმენტი.

## დასკვნა

XIX საუკუნის კავკასია რუსეთის იმპერიის სამხედრო და პოლიტიკურ სტრატეგიაში უმნიშვნელოვანეს რეგიონად ჩამოყალიბდა, რაც მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ბუნებრივმა რესურსებმა და კულტურულმა მრავალფეროვნებამ განაპირობა. მიუხედავად დროის დინებისა და ისტორიული ეპოქების ცვლილებისა, მუდმივ ფაქტორად რჩებოდა რუსული არმია, რომელიც მხოლოდ ბრძოლის ველზე მოქმედ ძალად კი არა, არამედ იმპერიული პოლიტიკის გამტარებელ ინსტრუმენტად და, ამასთან, ისტორიული პროცესების აქტიურ შემოქმედადაც გვევლინებოდა.

ორასი წლის წინანდელ კავკასიაში მომხდარი ისტორიული პროცესების შესახებ მრავალი წერილობითი წყარო არსებობს, რომლებიც როგორც რუს, ისე ევროპელ ავტორებს ეკუთვნით. ამ ტექსტებში ასახულია რუსი სამხედროების, ოფიცრებისა და რიგითი ჯარისკაცების ყოველდღიური ცხოვრება, მათი დაკვირვებები და დამოკიდებულება კავკასიაში მცხოვრები ხალხების მიმართ. ასეთ მრავალფეროვან წყაროებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ნაწარმოებებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, მოვლენები სხვადასხვა პერსპექტივიდან გავიაზროთ: როგორც იმპერიის ინტერესების თვალსაზრისით, ასევე, იმ ადამიანების პირადი აღქმით, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ მოვლენებში. ასეთი ტექსტების გამოკვლევა და ანალიზი შესაძლებლობას იძლევა არა მხოლოდ ისტორიული ფაქტების აღსაწერად, არამედ კავკასიის რეგიონის, როგორც სივრცის, აღსაქმელად, სადაც იკვეთებოდა ძალა, იდეოლოგია, კულტურა და პირადი გამოცდილება. სწორედ ამიტომაც ამგვარი ნაწარმოებები კომპლექსური სურათის წარმოსადგენად საუკეთესო მასალაა.

წიგნში წარმოდგენილი რუსი ავტორების ნაშრომები – პიოტრ მუხანოვის სამი ნარკვევი, ეკატერინა ლაჩინოვას იმპიათი რომანი და დღემდე ქართულ ენაზე უცნობი ხელნაწერი, აგრეთვე, უცნობი ავტორის ნარკვევი, რომელიც დაწერილია რუსი სამხედრო პირის თვალთახედვით – ის წყაროებია, რომლებიც ერთად იძლევა XIX საუკუნის კავკასიის რეალიების სხვადასხვა კუთხით განხილვის შესაძლებლობას. ამ მასალებში ჩანს იმდროინდელი რუსეთის იმპერიის სტრატეგიული გათვლები, სამხედრო პოლიტიკის სპეციფიკა, ავტორების ინდივიდუალური ხედვები და ემოციური დამოკიდებულება, რაც დამატებით სიღრმეს სძენს ისტორიული ნარატივის გააზრებას.

მნიშვნელოვანია ის განსხვავებული ინტერპრეტაციები, რომლითაც კავკასია აღწერილია რუსი ავტორების ნაშრომებში: იმპერიული იდეოლოგიის წარმომადგენლები კავკასიის დაპყრობას ხედავდნენ „ცივილიზაციის შეტანის“ და რუსული სახელმწიფოებრივი იდეების გავრცელების კონტექსტში, თუმცა არსებობდნენ ისეთებიც, რომლებიც ადგილობრივ რეალიებს უფრო კრიტიკული ან ირონიული თვალით უყურებდნენ. ეს იდეათა მრავალფეროვნება, რომელიც სხვადასხვა ავტორის პოზიციაში იკვეთება, ქმნის ისტორიული სინამდვილის მეტწილად სუბიექტურ, მაგრამ შთამბეჭდავ სურათს, რომელიც ფართო საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის ცვლასაც ასახავს.

XIX საუკუნის რუსი ავტორების ნაწარმოებები დღესაც მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროდ რჩება კავკასიის რეგიონის ისტორიის კვლევისთვის, რადგან ისინი აღწერენ არა მხოლოდ სამხედრო კამპანიებს ან პოლიტიკას, არამედ გვაცნობენ იმდროინდელი საზოგადოების წარმოდგენებს, შეხედულებებსა და ღირებულებებს. ამ ტექსტებში მკაფიოდ იკვეთება იმპერიული პოლიტიკის გავლენა და მისი შედეგები ადგილობრივი მოსახლეობისთვის – დაწყებული ყოველდღიური ცხოვრების დეტალებით, დამთავრებული კულტურულ და სოციალურ

ცვლილებებზე დაკვირვებით. ამასთანავე, ავტორთა პირადი შეფასებები, ეთიკური დამოკიდებულებები და ემოციური რეფლექსიები ისტორიულ მოვლენებს უშუალო თვითმხილველის მიერ დანახულ ცოცხალ სურათად აქცევს.

დღეს, როდესაც კავკასიის რეგიონი კვლავაც გეოპოლიტიკური ინტერესების ცენტრშია, განსაკუთრებით აქტუალურია საკითხი: როგორ ვკითხულობთ იმ ეპოქის ტექსტებს და როგორ ვაფასებთ იმპერიული წარსულის მემკვიდრეობას? ნაშრომი – „XIX საუკუნის კავკასიური ისტორიები: რუსი ავტორები და პირადი ნარატივები“ – სწორედ ამ კითხვებზე პასუხის ძიებას ემსახურება. ამ კვლევის მთავარი ღირებულება არაა მხოლოდ ისტორიული ფაქტების შეკრება და გადმოცემა, არამედ ეს საშუალებაა, დავინახოთ XIX საუკუნის კავკასია მრავალმხრივი, წინააღმდეგობრივი, ცოცხალი პროცესების ერთიან კონტექსტში. წინამდებარე წიგნი გვთავაზობს მოვლენების შეფასებას არა მხოლოდ სამხედრო თუ პოლიტიკურ ქრილში, არამედ იმ კულტურულ და ადამიანურ განზომილებებში, რომლებიც განსაზღვრავდა ეპოქის ხასიათს და გავლენას ახდენდა როგორც რეგიონის მომავალზე, ასევე რუსეთისა და, მთლიანად, ევროპის ისტორიაზე.

# Кавказские истории XIX века. Русские авторы и личные нарративы

## Резюме

В XIX веке Кавказ превратился для Российской империи в один из ключевых регионов, занимавший центральное место в ее военной и политической стратегии. Процесс завоевания Кавказа длился десятилетиями и отличался крайней сложностью: в нем переплетались черты колониальных войн и национально-освободительных движений, религиозные и социальные противоречия, цивилизационные и этнические конфликты. Несмотря на смену исторических эпох и изменения военной обстановки, неизменным фактором в этих процессах оставалась русская армия, которая действовала как самостоятельный и решающий игрок в военных кампаниях, направленных против народов Кавказа.

Источниками информации о событиях той эпохи являются многочисленные произведения европейских и русских авторов – писателей, военных, путешественников. Уже в XIX веке внимание этих авторов привлекло многолетнее и кровопролитное противостояние между Российской империей и горскими народами, вошедшее в историю как Кавказская война. Наряду с этим, не менее важным представляется исторический опыт войн с Персией и Османской империей, которые велись с целью завоевания Южного Кавказа и возвращения ранее утраченных территорий, где ключевую роль неизменно играла русская армия.

Особое значение для историков и исследователей имеют письменные свидетельства той эпохи, в которых отражаются как тактика и стратегия российских войск, так и повседневная жизнь офицеров и солдат, их отношение к местному населению и восприятие ими реалий Кавказа. Эти тексты позволяют увидеть многообразие взглядов и подходов: с одной стороны – представите-

лей официальной имперской идеологии, а с другой – более личное восприятие, наблюдения и размышления очевидцев. Кавказ в XIX веке становится не только ареной военных действий, но и пространством интеллектуального и культурного осмысления, источником вдохновения для литераторов, историков, чиновников. Российская империя не только завоевывала, но и описывала, анализировала, создавая богатое наследие письменных свидетельств. Среди авторов выделяются такие имена, как Михаил Лермонтов, Лев Толстой, Александр Бестужев-Марлинский, Екатерина Лачинова и другие.

Для европейских авторов Кавказ зачастую представлялся как экзотическая, романтизированная земля, где сталкивались цивилизации, а народы сохраняли любовь к свободе и уникальные традиции. Русские авторы, напротив, демонстрировали гораздо более широкий спектр взглядов – от жестко имперских, оправдывающих экспансию как «миссию цивилизации», до критических и ироничных, основанных на личном опыте пребывания на Кавказе. Именно это многообразие делает их тексты особенно ценными как исторический источник.

Книга – «Кавказские истории XIX века: русские авторы и личные нарративы» – предлагает читателю увидеть Кавказ глазами русских военных и гражданских лиц XIX века. В книге собраны и проанализированы малоизвестные тексты, включая три очерка писателя и военного историка Петра Муханова,<sup>142</sup> в которых автор сочетает личные впечатления с наблюдениями за имперской политикой и этнокультурным многообразием региона. Кавказские очерки Петра Муханова можно считать образцом жанра «романтического путешествия», который сформировался в русской литературе в начале 1820-х годов. В жанре сочетались исторические

<sup>142</sup> Муханов П. А. Взятие Ганжи (Письмо к Р\*\*\*). Московский телеграф, 1825, ч. V, №19, с. 242-250; Муханов П.А. Елисаветпольская долина (Письмо из Грузии). Московский телеграф, 1826, ч. VIII, №5, с. 28-32; Муханов П.А. Красный мост. Воспоминания о Гильденштедте (Письмо к Р\*\*\*). Московский телеграф, 1825, ч. VI, №21, с. 57-68.

и современные реалии, поэтическое описание природы, личные воспоминания, легенды и конкретная бытовая действительность. Русский писатель своими путевыми заметками стремился пробудить интерес ученых к совершенно неизученным уголкам Кавказа. В одном из очерков он писал: «Он столь же мало проникнут, как и внутренность Африки, менее описан чем Кордильеры. Он ждет Гумбольдта – Протея на поприще изысканий».

Также рассматривается роман Екатерины Лачиновой «Проделки на Кавказе»<sup>143</sup> (опубликованный в 1844 году под псевдонимом Е. Хамар-Дабанов), отличающийся особым стилем и сарказмом. Роман имеет историческое значение. Автор осмелился с помощью литературного произведения раскрыть горькую правду Кавказской войны, которую российские высокопоставленные чиновники тщательно скрывали, а ее официальные описания нередко были искажены. В книге без всяких прикрас представлено подлинное лицо Российской империи. Следует отметить, что автор не только обличает политику империи, но и объективно оценивает черкесов, против которых сражалась русская армия. Писательница осуждает эту несправедливую и кровопролитную войну. Русская аристократка стала летописцем военных событий Кавказской войны 1830-1840-х годов.

В книге также рассматривается ранее неизвестная рукопись Екатерины Лачиновой «Путь из Тифлиса в Эривань. Эривань в 1839 году. Эчмиадзинский монастырь».<sup>144</sup> Очерк занимает важное место как в литературе о путешествиях, так и в перечне исторических источников о регионе. Екатерина Лачинова – не просто путешественница; она является представителем имперской интеллигенции. Русская аристократка служит империи не оружием,

<sup>143</sup> *Хамар-Дабанов Е.* Проделки на Кавказе, ч. 1-2. СПб, в тип. К. Жернакова, 1844.

<sup>144</sup> *Лачинова Е.* Путь из Тифлиса в Эривань. Эривань в 1839 году. Эчмиадзинский монастырь. См.: *Малахова В.Г.* Городишко. Комментарий к повести М.Ю. Лермонтова «Тамань». Издание второе. Санкт-Петербург: Найдилесоруба, 2024. с. 359-370.

а словом. Она прокладывает путь, по которому власть России распространяется спокойно и без сопротивления.

Завершается книга очерком анонимного автора «Солдат отдельного Кавказского корпуса»,<sup>145</sup> в котором события показаны глазами простого солдата, создавая выразительный контраст с нарративами интеллектуального слоя. Очерк представляет собой типичное выражение имперского дискурса, в котором русский солдат представлен героем и морально совершенным существом, а кавказский воин – диким хищником, действующим по инстинкту, которого можно остановить только силой. В тексте прослеживаются такие идеи, как легитимация колониального завоевания, оправдание превращения крестьянина в солдата, утверждение культурного превосходства и создание гуманного фасада угнетения. Очерк неизвестного автора читателю следует воспринимать не как объективный военный отчет, а как идеологический документ Российской империи.

Книга побуждает задуматься над вопросами, которые актуальны и сегодня: как представители империи писали о покоренных территориях? Как современная наука и общество оценивают эти свидетельства? Как мы можем понять и интерпретировать это противоречивое историческое наследие XXI века?

Произведения русских авторов XIX столетия представляют собой ценнейший источник для изучения истории Кавказа, позволяющий увидеть трагизм и сложность тогдашних событий глазами как завоевателей, так и завоеванных. Они показывают не только документальную сторону военных кампаний, но и мировоззренческие особенности своего времени, влияние имперской политики и ее последствия для народов Кавказа. Личные оценки, эмоциональные реакции и авторские размышления придают этим текстам особую глубину и превращают их в уникальное свидетельство эпохи.

---

<sup>145</sup> Статья неизвестного автора – „Солдаты отдельного кавказского корпуса“. Центральный архив Грузии, фонд №1087, опись 1, дело №1279.

# 19th-Century Caucasian Stories. Russian Authors and Personal Narratives

## Summary

In the 19th century, the Caucasus emerged as a region of critical importance to the Russian Empire, playing a central role in its military and political strategy. The conquest of the Caucasus was a long and complex process, in which elements of colonial warfare and national-liberation resistance were intricately interwoven with religious, social, civilizational, and ethnic conflicts. Despite changes in the military situation and even shifts between historical epochs, one constant and decisive factor remained throughout these events: the Russian army, which acted as an independent force shaping the course of the wars waged against the peoples of the Caucasus.

The main sources of information about that period are numerous works by both European and Russian authors - writers, military figures, and travelers. From the early 19th century onward, these authors turned their attention to the protracted and bloody conflict between the Russian Empire and the mountain peoples, later known as the Caucasian War. Equally important were the histories of wars waged against Persia and the Ottoman Empire, aimed at conquering the South Caucasus and reclaiming previously lost territories - campaigns in which the Russian army consistently played a leading role.

Of particular value to historians and researchers are the written testimonies from that period, which reveal not only the tactics and strategies of the Russian military but also the everyday experiences of officers and soldiers, their attitudes toward local populations, and their perceptions of the realities of the Caucasus. These texts illuminate the multilayered perspectives of the era: on one hand, accounts shaped by official imperial ideology, and on the other, more personal and reflective observations made by eyewitnesses. In the 19th century, the Caucasus became not merely a battlefield but also a space of intellectual engagement

and cultural reflection, inspiring writers, historians, and officials alike. The Russian Empire not only fought and conquered but also described, analyzed, and documented its encounters, thereby creating a rich legacy of written records. Among the prominent Russian authors of that period are Mikhail Lermontov, Lev Tolstoy, Alexander Bestuzhev-Marlinsky, Ekaterina Lachinova, and many others.

For European authors, the Caucasus often appeared as an exotic and romanticized land where civilizations clashed and the local peoples preserved a love of freedom and distinctive cultural traditions. Russian authors, by contrast, offered a broader range of perspectives - from staunchly imperial narratives that framed expansion as a “civilizing mission,” to critical, ironic accounts grounded in firsthand experience. This diversity makes their writings particularly valuable as historical sources.

The book “19th-Century Caucasian Stories: Russian Authors and Personal Narratives” invites readers to view the Caucasus through the eyes of Russian military and civilian figures of the 19th century. The book brings together and analyzes little-known texts, including three essays by writer and military historian Pyotr Mukhanov, which combine personal impressions with observations of imperial policy and the region’s ethno-cultural diversity. Pyotr Mukhanov’s Caucasian essays can be regarded as an example of the “romantic journey” genre, that emerged in Russian literature in the early 1820s. In this genre, historical and contemporary realities were interwoven with poetic descriptions of nature, personal memories, legends, and the everyday life of the period. Through his travel notes, the Russian writer sought to spark scholarly interest in the completely unexplored corners of the Caucasus. As he wrote in one of his essays: “It is as little penetrated as the interior of Africa, and less described than the Cordilleras. It is waiting for its own Humboldt - a Proteus in the field of exploration.”

The study also examines Ekaterina Lachinova’s novel “Escapades in the Caucasus” (published under the pseudonym E. Khamar-Dabanov, in 1844), notable for its distinctive style and sarcasm. The novel holds his-

torical value. through a literary work, the author dared to reveal the bitter truth about the Caucasian War, which Russian high-ranking officials had carefully concealed and whose official accounts were frequently distorted. The book presents the unembellished face of the Russian Empire, exposing not only the empire's policy but also offering an objective assessment of the Circassians, against whom the Russian army fought. The writer condemns this unjust and bloody war. The Russian aristocrat became a chronicler of the military events of the Caucasian War of the 1830s–1840s.

The book also examines a previously unknown manuscript by Ekaterina Lachinova, "Road from Tiflis to Erivan. Erivan in 1839. Etchmiadzin Monastery." The essay holds an important place both within travel literature and among the historical sources on the region. Ekaterina Lachinova is not merely a traveler; she is a representative of the intelligentsia of the empire. As a Russian aristocrat, she serves the empire not with weapons, but with words. Through her writings, she traces the path along which Russian influence extends - calmly and without resistance.

The book concludes with an anonymous essay "Soldier of the Separate Caucasian Corps," which conveys the events from the perspective of an ordinary soldier, offering a striking contrast to the narratives produced by the educated elite. The essay represents a characteristic expression of imperial discourse, portraying the Russian soldier as a heroic and a morally perfect being, while depicting the Caucasian warrior as a wild, instinct driven predator, who can only be subdued by force. The author's text reflects ideas such as the legitimization of colonial conquest, the justification for transforming peasants into soldiers, the assertion of cultural superiority, and the construction of a humane façade of oppression. The essay by the unknown author should therefore be understood not as an objective military record, but as an ideological document of the Russian Empire.

The book encourages reflection on questions that remain relevant today: How did representatives of the empire write about the territories they conquered? How do contemporary scholars and broader society

evaluate these accounts? How can we understand and interpret this complex historical legacy in the 21st century?

The writings of 19th-century Russian authors are invaluable historical sources that highlight the complexity and tragedy of geopolitical processes and cultural confrontations of that era. These texts reflect the difficult history of the Caucasus as viewed by both the conquerors and the conquered, allowing readers to approach events from multiple perspectives. Beyond their documentary value, these works reveal the worldview of their time, the influence of Russian imperial policy, and its consequences for the peoples of the Caucasus. Moreover, they capture the authors' personal attitudes, ethical reflections, and emotions, adding depth and richness to our understanding of the past.

## ბიბლიოგრაფია:

1. კანდელაკი დ., დეკაბრისტების კავკასიური ისტორიები. აკადემიკოს ნანა ხაზარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი შრომები. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2024, გვ. 155-161.
2. კანდელაკი დ., დეკაბრისტ ევდოკიმ ლაჩინოვის ცნობები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, N 9, 2016, გვ. 383-394.
3. კანდელაკი დ., ეკატერინა ლაჩინოვას აკრძალული წიგნი: XIX ს-ის კავკასიური ომის ისტორიები. მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი“, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2024, გვ. 99-100.
4. კანდელაკი დ., რუსული ჯარი კავკასიაში: რუსი მწერლების შეფასებები და ისტორიები. თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისადმი მიძღვნილი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციის – „თსუ 107“ – თეზისები. 2025, გვ. 47-52.
5. კანდელაკი დ. ტიფლისიდან ერივანამდე: ეკატერინა ლაჩინოვას უცნობი ხელნაწერი. ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 149-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. 2025, გვ. 79-83.
6. კანდელაკი დ., უცნობი კავკასია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019, 116 გვ.
7. მაგაროტო ლ., საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801). იტალიურიდან თარგმნა სალომე კენჭოშვილმა. გამომცემლობა „მწიგნობარი“. თბილისი, 2008.
8. მანაგაძე ა., ევროპული წყაროები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ (მე-19 საუკუნის 30 - 50-იანი წლები), დისერტაცია, თბილისი, 2017.
9. სულაბერიძე ზ., ომი და პოლიტიკა: რუსეთი და შავი ზღვის სანაპირო ხაზი მე-19 საუკუნის 20-50-იან წლებში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2019, 406 გვ.
10. ხორავა ბ. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“. 2011, 319 გვ.

11. საქართველოს ცენტრალურ არქივი, ფონდი №1087, აღწერა 1, საქმე №1279. Статья неизвестного автора - „Солдаты отдельного кавказского корпуса“.
12. შადური ვ., დეკაბრისტები. ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 12, 2012.
13. Акты, собранные Кавказской археографической комиссией. (АКАК). Т. IX. Тифлис: Типография Главного управления Наместника Кавказского, 1884.  
<http://elibr.shpl.ru/ru/nodes/1764-t-9-1837-1844-1884#mode/inspect/page/278/zoom/7>
14. Волконский Н.А. Война на Восточном Кавказе с 1824 по 1834 год в связи с Мюридизмом. Кавказский сборник. т. 10-14, Тифлиси, 1886-1890.
15. Газета «Кавказ». №13, №14, 1901.
16. Голикова Л. П., Шаройко, М.В. Кавказские события в художественно-публицистическом творчестве русских писателей XIX в. Наследие веков. № 2. 2016. с. 55-59.
17. Добровольский Л. М. Запрещенная книга в России 1825-1904. Архивно-библиографические разыскания. Издательствосесоюзной книжной палаты. Москва, 1962, 256 с.
18. Докудовский В. А. Мои воспоминания. Рязань, 1898, 279 с.
19. Гордин Я. А. Зачем России нежен был Кавказ. Иллюзии и реальность. СПб.: ЗАО «Журнал «Звезда», 2008, 288 с.
20. Гордин Я. А. Кавказ: земля и кровь. Россия в Кавказской войне XIX века. Санкт-Петербург. Журнал «Звезда», 2000. 465 с.
21. Дегоев В. В. Три силуэта Кавказской войны: А.П.Ермолов, М. С. Воронцов, А.И. Барятинский. Научный журнал «Вестник института цивилизации», №3, 2000, с. 62-107.
22. Дроздов И. Начало деятельности Шамиля (1831-1836 г.). Кавказский сборник. т. 20, Тифлиси, 1899, с. 250-296.
23. Зиссерман А.Л. История 80-го Пехотного Кабардинского генерал-фельдмаршала князя Барятинского полка. (1726-1880). 3 т. Сост. А. Зиссерман. Т. 1. СПб.: тип. В. Грацианского, 1881.

24. Кавказский сборник. Под ред. гвардейской артиллерии полковника Чернявского. т. 1, Тифлиси, Типография окружного штаба Кавказского военного округа, 1876.
25. Кавказцы или подвиги и жизнь замечательных лиц действовавших на Кавказе. Тип. Якова Трея. СПб. 1857-1859. <https://runivers.ru/lib/book7634/>
26. Канделаки Д. Г. Дневниковые записки декабриста Е. Е. Лачинова. Русский язык и литература в пространстве мировой культуры: материалы XIII Конгресса МАПРЯЛ. СПб., 2015, с. 247–251;
27. Клычников Ю. Ю. Русско-северокавказские отношения сквозь призму российскости. Особенности исторического партнёрства. Диалог со временем. Вып. 70, 2020, с. 203-218.
28. Клычников Ю. Ю. Российская политика на Северном Кавказе (1827–1840 гг.). Пятигорск, 2002, 494 с.
29. Колосовская Т. А., Ткаченко Д. С. Военные кавказоведы Российской империи: биобиблиографический словарь. Ставрополь: изд-во «Дизайн-студия Б», 2021, 334 с.
30. Кублицкий П. Война на Восточном Кавказе с 1824 по по 1834 год в связи с Мюридизмом. Кавказский сборник, т. 18-20, Тифлиси, 1897-1899.
31. Лапин В.В. Армия России в Кавказской войне XVIII-XIX вв. М.: Европейск. дом, 2008. 400 с.
32. Лапин В. В. Кавказская война (С. 3-51), Национальные формирования в Кавказской войне XVIII-XIX вв. (С. 52-70). сб.: Кавказская война. Россия и Кавказ – прошлое и настоящее. История, обычаи, религия. Сборник. СПб.: ЗАО «Журнал «Звезда», 2006.
33. Лачинова Е. Путь из Тифлиса в Эривань. Эривань в 1839 году. Эчмиадзинский монастырь. См.: Малахова В.Г. «Городишко». Комментарий к повести М. Ю. Лермонтова «Тамань». Издание второе. Санкт-Петербург: Найди лесоруба. 2024, с. 359-370.
34. Леонидова Клеопатра. Некоторые факты и мысли о мужьях и супружеском счастье, извлеченные из дружеской переписки двух женщин. «Библиотека для Чтения», т. 30, Отд. I, 1838, с. 17-88.

35. Лачинов Е. „Отрывок из „Исповеди“ – г. Лачинова. Кавказский сборник. Под ред. гвардейской артиллерии полковника Чернявского. Тифлиси. Типография окружного штаба Кавказского военного округа. т. 1, 1876, с. 123-196; т. 2, 1877, с. 75-115.
36. Мамышев В. Н. Георгиевские кавалеры, или Подвиги кавалеров ордена Св. Великомученика и победоносца Георгия всех степеней, с обзорением их службы и жизни : периодическое издание. - СПб., 1861-1862.  
<http://elib.shpl.ru/ru/nodes/20950-mamyshev-v-n-georgievskie-kavalery-ili-podvigi-kavalerov-ordena-sv-velikomuchenika-i-pobedonostsa-georgiya-vseh-stepeney-s-obozreniem-ih-sluzhby-i-zhizni-periodicheskoe-izdanie-spb-1861-1862>
37. Муханов П. А. Взятие Ганжи (Письмо к Р\*\*\*). Московский телеграф, ч. V, № 19, 1825, с. 242-250.
38. Муханов П. А. Елисаветпольская долина (Письмо из Грузии). Московский телеграф, ч. VIII, №5, 1826, с. 28 - 32.
39. Муханов П. А. Красный мост. Воспоминания о Гильденштедте. (Письмо к Р\*\*\*). Московский телеграф, ч. VI, № 21, 1825, с. 57 – 68.
40. Муханов П. А. Сочинения и письма. Издание подготовлено Г.В. Чагиним. Иркутск, Восточно-Сибирское книжное издательство, 1991, 496 с.
41. Никитенко А. В. Дневник в трех томах. т. 1 (1826-1857). Государственное издательство художественной литературы. Ленинград, 1955, 543 с.
42. «Отечественные записки». N 6. Отд. VI. Библиографическая хроника, 1844, с. 67-72.
43. Полиевктов М. Европейские путешественники по Кавказу 1800-1830 гг. Тб.: Типография «Заря Востока». 1946.
44. „Русский художественный листок“, №27, 1853.
45. Русские писатели 11-20 вв. Биографический словарь. 1800-1917. Т. 3. 1994. Москва.
46. Савельев А.Е. Роль российских офицеров в исследовании Кавказа. Вестник Краснодарского университета МВД России, № 2, 2010, с. 9–13;

47. Сиверс А. Памяти декабристов. Сборник Материалов. П. А. Муханов. Материалы для биографии. Ленинград, 1926. [http://az.lib.ru/m/muhanow\\_p\\_a/text\\_1854\\_materialy\\_oldorfo.shtml](http://az.lib.ru/m/muhanow_p_a/text_1854_materialy_oldorfo.shtml)
48. Сулаберидзе Ю. С. Восприятие Кавказа декабристами: культурный тип декабриста на Кавказе. Исторический курьер, № 6 (14), 2020, с. 53–71.
49. Сулаберидзе Ю. С. Декабрист Е.Е. Лачинов: размышление о прожитом. Саарбрюккен, LAP LAMBERT Academic Publishing, 2016, 108 с.
50. Титов А. Александр Бестужев – герой забытого романа. Русская литература, историко-литературный журнал, № 3, Ленинград, 1959, с. 133-138.
51. Урушадзе А. Кавказская война. Семь историй. Новое литературное обозрение, 2018, 295 с.
52. Хамар-Дабанов Е. Москвичи и черкесы. Издательство М. и В. Котляровых, 2021, 320 с.
53. Хамар-Дабанов Е. Прodelки на Кавказе. Ч. 1-2. СПб. в тип. К Жернакова. 1844.
54. Хамар-Дабанов Е. Прodelки на Кавказе. Роман. Ставрополь: Кн.изд-во. 1986. 256 с.
55. Хорошилова О. Джентльмен Джек в России. Невероятное путешествие Анны Листер. Москва: Манн, Иванов и Фербер. 2022.
56. Хорошилова О. Русская феминистка на Кавказской войне, или о прodelках, мужских штанах и литературном творчестве Екатерины Лачиновой, светской львицы. 2022. <https://knife.media/lachinova/> (08.12.2024).
57. Хурумова Р. Ю. О книге Е. Хамар-Добанова «Прodelки на Кавказе». Псалъ № 16 (19) - № 17 (20). Сборник статей. Изд-во АГУ. 2020. С. 252-256.
58. Чернов П. В. Отдельный Кавказский Корпус как военная корпорация (по материалам полковых историй). Журнал «Современная наука: Актуальные проблемы теории и практики». Серия: Гуманитарные науки № 6, 06. 2021, с. 43-48.
59. Щербина Ф. А. История Кубанского казачьего войска. Екатеринодар, 1910-1913. 2 т. Т. 2: История войны казаков с закубанскими горцами:

с военно-исторической картой Кубанской области за время с 1800 по 1860 годы. IV, 1913. 848 с.

<http://elib.shpl.ru/ru/nodes/16882-scherbina-f-a-istoriya-kubanskogo-kazachiego-voyska-ekaterinodar-1910-1913>

60. Юров А. Три года на Кавказе, 1837-1839. Кавказский сборник. т. 8-9. Тифлиς. 1884-1885. с. 523-539.
61. Moskowiter und Tscherkessen Skizzenbuch aus dem Russischen des Hamar Dabanow. Erster Theil. Leipzig. Verlag von J. J. Weber. 1846, 238 s. [https://books.google.ge/books?id=7fcWAAAAYAAJ&printsec=frontcover&source=gbs\\_ge\\_summary\\_r&cad=0#v=onepage&q&f=false](https://books.google.ge/books?id=7fcWAAAAYAAJ&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false)

გამოცემაზე მუშაობდნენ  
ნათია დვალის და მარიამ ებრაღიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი, 2026

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1  
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279  
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>





დალი კანდელაკი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსეთის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანულ წყაროებსა და საისტორიო ლიტერატურაში“ და სადოქტორო დისერტაცია „საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები გერმანულ წყაროებში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი –

XIX საუკუნის პირველი ნახევარი)“. ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 65 სტატია და 9 წიგნი. არის სწავლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების – „რუსეთისმცოდნეობა“ – ხელმძღვანელი.